სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

# თანამედროვე ომის გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში

# CHALLENGES OF MODERN WARFARE IN THE BLACK SEA REGION

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

# თანამედროვე ომის გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში

# CHALLENGES OF MODERN WARFARE IN THE BLACK SEA REGION

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

# <u>სარედაქციო კოლეგია</u>


**სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი**

| | |
|---|---|
| პოლკოვნიკი დავით რაზმაძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე |

**სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე**

| | |
|---|---|
| პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი |

**სარედაქციო კოლეგიის წევრები**

| | |
|---|---|
| პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი |
| ალექსი ბურდულაძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი |
| გიორგი კაკაშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი |
| ნანი არაბული | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი |
| რომეო გალდავა | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი |
| ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი |
| ლევან გეგეშიძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი |
| ნიკოლოზ ესიტაშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი |
| ქეთევან კვესელავა | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი |
| თინათინ კროპაძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი |

**რედაქტორი/კორექტორი**

| | |
|---|---|
| ზურაბ მჭედლიშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი |

**მთარგმნელი**

| | |
|---|---|
| იზა ჯანიაშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი |

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**

| | |
|---|---|
| დავით სტეფანიშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი |



© საავტორო უფლებები დაცულია



**გამომცემლობა:**

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის**
**საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022**

**ISBN 978-9941-8-3247-5**

# Editorial Board


**Head of the Editorial Board**

| | |
|---|---|
| Colonel Davit Razmadze | Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |

**Deputy Head of the Editorial Board**

| | |
|---|---|
| Colonel Giorgi Laghiashvili | Head of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |

**Members of the Editorial Board**

| | |
|---|---|
| Colonel Zurab Zerekidze | Head of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Aleksi Burduladze | Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Giorgi Kakashvili | Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Nani Arabuli | Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Romeo Galdava | Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze | Head of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Levan Gegeshidze | Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Nikoloz Esitashvili | Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Ketevan Kveselava | Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |
| Tinatin Kropadze | Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |

**Editor/Corrector**

| | |
|---|---|
| Zurab Mchedlishvili | Editor-in-Chief of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |

**Translator**

| | |
|---|---|
| Iza Janiashvili | Foreign Language Translator of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |

**Computer Designer**

| | |
|---|---|
| Davit Stepanishvili | Chief Specialist in Distance Learning Center Courses, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia |



© ALL RIGHTS RESERVED



PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

# სარჩევი

**თანამედროვე ომი შავი ზღვის რეგიონში**
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე 9

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) შავი ზღვის რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში**
თავდაცვის გენერალ-მაიორი გიორგი ბუბუნაური 13

**შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფოზე**
ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი 17

**„რუსული სამყარო“ და ქართული რეალობა**
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე 22

**„თანამედროვე ტექნოლოგიები და ინფორმაციის მართვა“**
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი 27

**საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევები**
ვიცე-პოლკოვნიკი ნატალია ხულორდავა 32

**2020 წლის 9 ნოემბრის „სამმხრივი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“**
პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე, შადიმან ბიწაძე 37

**თანამედროვე ომის გამოწვევების ეკონომიკური ასპექტები**
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი 44

**სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ორგანიზაცია სუამი და გამოწვევები შავი ზღვის რეგიონულ ურთიერთობებში**
თავდაცვის პოლკოვნიკი კახა პეტრიაშვილი 47

**საინფორმაციო ომის გამოწვევები და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება**
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე 51

**რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები მათი მოწყვლადობა და ეფექტიანობა (რუსეთ უკრაინის 2022 წლის ომის ჭრილში)**
ვიცე-პოლკოვნიკი ბაჩუკი გახარია 56

# Content

**Modern Warfare in the Black Sea Region**
Colonel David Razmadze 9

**Commonwealth of Independent States (CIS) in Regional Integration Processes of the Black Sea**
Major General Giorgi Bubunauri 13

**The Geopolitical Situation in the Black Sea Region and Its Impact on Georgia**
Lieutenant Colonel Davit Margiani 17

**"Russian World" and Georgian Reality"**
Colonel Zurab Zerekidze 22

**"Modern Technologies and Information Management"**
Colonel Giorgi Laghiashvili 27

**Large-Scale Cyber Attacks Against Georgia**
Lieutenant Colonel Natalya Khulordava 32

**Tripartite Ceasefire Agreement of November 9, 2020**
Colonel Mamuka Samkharadze, Shadiman Bitsadze 37

**Economic Aspects of the Challenges of Modern Warfare**
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili 44

**Interstate Regional Organization SUAM and Challenges in the Black Sea Regional Relations**
Defense Colonel Kakha Petriashvili 47

**Challenges of Information Warfare and National Security of Georgia**
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze 51

**Russia's Strategic Centers of Gravity, Their Vulnerability and Effectiveness (In the Context of the 2022 War Between Russia and Ukraine)**
Lieutenant Colonel Bachuki Gakharia 56

# თანამედროვე ომი შავი ზღვის რეგიონში

**პოლკოვნიკი დავით რაზმაძე**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის რექტორის მოადგილე

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია რუსეთ-თურქეთის შესაძლო დაპირისპირებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ საკვლევ საკითხებს: მხარეთა ინტერესები რეგიონში, წარსული გამოცდილება, არსებული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს თითოეული მათგანის გადაწყვეტილებებზე და შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ჯგუფების სახით: ეკონომიკური და პოლიტიკური. თანამედროვე რუსეთის ძირითადი ეკონომიკური ბირთვი ორიენტირებულია ენერგორესურსებზე, რომლებიც კონცენტრირებულია შავი ზღვის მიღმა. ამავდროულად, რუსეთი ცდილობს იყოს ძირითადი მოთამაშე რეგიონში, რადგან მის ინტერესებში არ შედის ძლიერი კონკურენტი შავ ზღვაზე თურქეთის სახით.

რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას, ის აკონტროლებს ერთადერთ გასასვლელს, რადგან რეგიონში მის საზღვრებს კვეთს თითქმის ყველა ტვირთი, რომელიც მოძრაობს შავი ზღვის აუზში; ამასთან, არც თურქეთისთვის არის ხელსაყრელი რეგიონში რუსეთის სახით ისეთი ძალის გააქტიურება, რომელიც შესაძლოა თითქმის მთელი რეგიონის პრობლემადაც კი იქცეს.

ამ ფაქტორების ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთ-თურქეთის პასიური დაპირისპირება რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად, დიდი საფრთხის მატარებელია სამომავლოდ სამხედრო დაპირისპირების ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:**
შავი ზღვის რეგიონი, გეოპოლიტიკური ინტერესები, პოლიტიკური ფაქტორები, კონფლიქტი, სამხედრო დაპირისპირება.

# Modern Warfare in the Black Sea Region

**Colonel David Razmadze**
Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

## Abstract

The present paper essentially emphasizes the possible confrontation between Russia and Turkey, involving the following research questions: interests of the parties in the region, past experience, current reality and future prospects. Considering the current situation, there are two important factors that influence the decisions of each of them, which can be presented in the form of the following groups: economic and political factors. The main economic backbone of modern Russia is focused on energy resources, which are concentrated beyond the Black Sea. At the same time, Russia is attempting to be a key player in the region since its interests preclude having a strong competitor on the Black Sea such as Turkey.

As for the Republic of Turkey, it controls the only exit, as almost all cargo moving through the Black Sea basin crosses the Turkish borders in the region. In addition, it is unfavorable for Turkey to activate a force in the region such a Russia, that may even become a problem for almost the entire region.

As a result of the analysis of these factors, it can be assumed, that Russia-Turkey's passive confrontation to gain influence in the region poses a great danger in terms of military confrontation in the future.

**Keywords:**
Black Sea region, Geopolitical interests, Political factors, Conflict, Military confrontation.

## შესავალი - ძალთა გადანაწილების ისტორია

ისტორიულად შავი ზღვის რეგიონი, ფაქტობრივად მუდმივ რეჟიმში წარმოადგენდა მსოფლიო გეოპოლიტიკური ინტერესების და შესაბამისად, კონფლიქტების კვეთის საგანს, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებით.

იმისათვის, რომ საფუძვლიანად იქნას წარმოდგენილი მიმდინარე პროცესების შესაძლო განვითარების მიმართულებები, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რა უძღოდა წინ აღნიშნულ მდგომარეობას.

შედარებით ადრეულ ეტაპზე, რეგიონში ინტერესთა კონფლიქტი უმეტესწილად შეიძლება დავუკავშიროთ აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების განვითარებას და თანხვედრას, რომლის ფარგლებშიც აღმოსავლეთით ვხვდებოდით ისლამურ სამყაროს, რომელიც ცდილობდა საკუთარი გავლენის განმტკიცებას ფაქტობრივად მთელი რეგიონის მასშტაბით, რაც ასევე გულისხმობდა გავლენების მოპოვებას მთლიანად შავი ზღვის რეგიონზე.

ხოლო მეორე მხარეს წარმოდგენილია დასავლეთი ევროპის სახით, რომელსაც, თავის მხრივ, გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა შავი ზღვის რეგიონში.

ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ პირობითად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის რიგი ინტერესების პარალელურად, მნიშვნელოვან განსხვავებას ვხვდებოდით რელიგიური კუთხითაც, რაც ერთგვარი დაპირისპირების საგანსაც კი წარმოადგენდა.

აღნიშნული გარემოება და დაპირისპირება პიკს აღწევს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების დროს მეთხუთმეტე საუკუნეში, რის შემდეგაც მსოფლიო რუკიდან ქრება ბიზანტიის იმპერია, ხოლო ჩნდება ახალი მოთამაშე უკვე შავი ზღვის რეგიონში თურქების სახით.[1]

შედეგად, ჩნდება და დღემდე ინარჩუნებს საკუთარ ძალებს რეგიონში თურქეთი, რომლის სიძლიერე, ერთის მხრივ, იძლევა საშუალებას სახელმწიფომ განიმტკიცოს საკუთარი ძალები რეგიონში, ხოლო მეორეს მხრივ, საფრთხეს წარმოადგენს მოსაზღვრე ქვეყნებისათვის ძალთა გადანაწილების ფარგლებში.[2]

შედარებით გვიანი პერიოდისთვის შავი ზღვის რეგიონში ასპარეზზე გამოდის ახალი მოთამაშე - რუსეთის იმპერიის სახით, რომელიც სწრაფად „იკიდებს ფეხს“ რეგიონში და ცდილობს საკუთარი გავლენის მოპოვებასაც, რადგან მისთვის შავი ზღვა შესაძლებელია ჩაითვალოს სამხრეთის მიმართულებით ერთადერთ რეგიონად, რომელიც საშუალებას აძლევს ჰქონდეს ზღვაზე გასასვლელი და შემდგომში ისარგებლოს შესაბამისი რესურსებითაც.

ზემოთ წარმოდგენილი გარემოება, რუსეთს და თურქეთს გვიხასიათებს, როგორც რეგიონში არსებულ ორ უდიდეს ძალას განსხვავებული ხედვებითა და ინტერესებით, რაც არაერთი დაპირისპირების წინაპირობა გამხდარა მათ ასპარეზზე გამოჩენიდან ფაქტობრივად დღევანდელ რეალობამდე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული ორი ძალის გამოჩენიდან დღემდე, ორივე მათგანი აქტიურად „მოღვაწეობს“ შავი ზღვის რეგიონში, ორივე მათგანს გააჩნია საკუთარი ინტერესები და სხვადასხვა კუთხით ცდილობენ მათ დაცვას.[3]

განხილული ფაქტორებიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში ,,თანამედროვე ომი შავი ზღვის რეგიონში“ - ძირითადი აქცენტები გაკეთდება რუსეთ-თურქეთის შესაძლო დაპირისპირებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ საკვლევ საკითხებს:

- მხარეთა ინტერესები რეგიონში;
- წარსული გამოცდილება;
- არსებული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები.

## მხარეთა ინტერესები რეგიონში

მხარეთა ინტერესების ანალიზის პროცესში იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს თითოეული მათგანის გადაწყვეტილებებზე და შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ჯგუფების სახით:

- ეკონომიკური ფაქტორები;
- პოლიტიკური ფაქტორები.

1. რუსეთი

რუსეთი შავი ზღვის ჩრდილოეთით არის განლაგებული, რომლის ინტერესების სფეროს ფაქტობრივად მუდამ წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონი, იქნებოდა ეს რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი თუ რუსეთის ფედერაცია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შავი ზღვის რეგიონს უდიდესი ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია, თანამედროვე რუსეთის ძირითადი ეკონომიკური ბირთვი ორიენტირებულია ენერგორესურსებზე, რომ-

1 Hudson M. (2022) „Fall of Constantinople“ Encyclopedia Britannica, November 22, https://bit.ly/3VpHv8Q..

2 Cook S.A (2018) „Neither Friend nor Foe: The Future of U.S.-Turkey Relations“, Council Special Report No. 82, Published by the Council on Foreign Relations, USA, New York, Pdf, https://on.cfr.org/3OZgGWG.

3 Ray M. Article „Russo-Turkish Wars“. Encyclopedia Britannica, https://bit.ly/3OUPZCd.

ლებიც კონცენტრირებულია შავი ზღვის მიღმა.

ამავდროულად, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენის ზრდასა და ინტერესთა კონფლიქტში აისახება: ერთის მხრივ რუსეთი ცდილობს იყოს ძირითადი მოთამაშე რეგიონში, რომლის ინტერესებშიც არ შედის ძლიერი თურქეთი შავ ზღვაზე, ხოლო მეორე მხრივ აქტუალობას იჩენს უსაფრთხოების საკითხები, რომელზზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა თურქეთისა და ამერიკის ერთგვარმა კავშირმა.[4]

2. თურქეთის, როგორც რეგიონის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ინტერესები მომდინარეობს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ფაქტორებიდან:

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია თურქეთის ეკონომიკური როლი შავ ზღვაზე, რომელიც აკონტროლებს ერთადერთ გასასვლელს და ფაქტობრივად მის საზღვრებს კვეთს ნებისმიერი ტვირთი, რომელიც მოძრაობს შავი ზღვის აუზში;

ხოლო ამავდროულად, არც თურქეთისთვის არის ხელსაყრელი რეგიონში ისეთი ძალის გააქტიურება, რომელიც ფაქტობრივად არამარტო თურქეთის, არამედ მთელი რეგიონის პრობლემაც კი შეიძლება გახდეს.

## წარსული გამოცდილება

მხარეთა შესაძლო დაპირისპირების, ზემოთ განხილული საკითხების პარალელურად აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს წარსულ გამოცდილებაზე, რომლის მაგალითადაც წარმოდგენილილი იქნება გასულ საუკუნეში განვითარებული მოვლენები, რის საფუძველზეც, ფაქტობრივად გამოწვეულ იქნა კიდეც კონფლიქტი მხარეებს შორის.

საბჭოთა კავშირსა (რომლის იდეოლოგიურ მემკვიდრესაც დღეისათვის წარმოადგენს რუსეთი) და აშშ-ს შორის, ცივი ომის პირობებში, თურქეთი იკავებს ამერიკის მოკავშირის პოზიციას, რასაც შესაბამისი თანმდევი ეფექტი აქვს რეგიონზე:[5]

თურქეთი ვითარდება, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე ქვეყანა, რაც თავის მხრივ იწვევს თურქეთის ეკონომიკის განვითარებას, შესაბამისი დარგების მიხედვით და მთლიანობაში ქვეყანა იქცევა ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად უკვე არამარტო შავი ზღვის რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც კი;

ამერიკის მოკავშირეობა, გულისხმობს თანამშრომლობას სამხედრო თვალსაზრისითაც, რაც ბუნებრივია პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საბჭოთა

კავშირთან, რომლის საზღვართანაც ძლიერდება თურქეთი და ბუნებრივია საფრთხის შემცველ გარემოებად შეიძლება იქნას აღქმული;

ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალს კი მხარეთა კონფლიქტში წარმოადგენს თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული ამერიკული რაკეტები, რომელთა პოტენციური სამიზნეც სწორედ საბჭოთა კავშირია.[6]

ზემოთ წარმოდგენილი ვითარება აქტუალურია როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევამდე არსებულ პერიოდში, ასევე შემდგომშიც, რადგანაც უკვე ისტორიული მეტოქეების დაპირისპირება გადაიზარდა რეგიონში გავლენის მოპოვების მცდელობაზე, შედეგად კი განვითარდა ახალი დაპირისპირების გაღვივების შანსიც.

## არსებული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები

კონფლიქტის განხილვა თანამედროვე რეალობის ჭრილში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ფაქტობრივად უცვლელი სქემით:

რუსეთი - ცდილობს გაზარდოს გავლენა შავი ზღვის რეგიონზე, რისი ნათელი მაგალითიც არის კონფლიქტები როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში, რაც შემდგომში ომსა, ოკუპაციასა და ანექსიაშიც კი იქნა გადაზრდილი.

აღნიშნულ გარემოებას აქტუალობას მატებს მიმდინარე ომი უკრაინაში, რომელიც პირდაპირ უსვამს ხაზს რუსეთის ინტერესებს, შეინარჩუნოს ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონში, ფლობდეს სამხედრო ბაზებს, ფლოტს და ა.შ.

თითოეული მსგავსი ქმედება რუსეთის მხრიდან ფორმულირებულია როგორც თავდაცვითი მექანიზმები, ხოლო დანარჩენი რეგიონის მხრიდან შესაძლებელია აღქმული იქნას, როგორც ოკუპაცია/ანექსიად.

თურქეთი - გასულ წლებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს თურქეთსა და აშშ-ს შორის მყარი მოკავშირეობის თანდათანობით რღვევას, რაც თურქეთს ნაწილობრივ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ტოვებს, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანია შემდეგი:

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, თურქეთი საგრძნობლად განვითარდა, როგორც და-

4 Cook S.A (2018) „Neither Friend nor Foe: The Future of U.S.-Turkey Relations“, Council Special Report No. 82, Published by the Council on Foreign Relations, USA, New York, Pdf, https://on.cfr.org/3OZgGWG.

5 იქვე, გვ. 8.

6 Zanotti J., Clayton T (2021) „Turkey-U.S. Relations: Timeline and Brief Historical Context“, Congressional Research Service, pdf. https://bit.ly/3izJ0mp.

მოუკიდებელი სახელმწიფო, გააჩნია საკუთარი, საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა და სამხედრო რესურსები. თითოეული ეს პირობა თურქეთს საშუალებას აძლევს დაიცვას საკუთარი ინტერესები დამოუკიდებლადაც კი.[7]

## დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხების საფუძველზე, დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ არსებულ რეალობას, რომელიც თურქეთსა და რუსეთს წარმოგვიდგენს რეგიონში „მოთამაშე“ ძირითადი ძალების როლში, რომელთა დაპირისპირებაც რამოდენიმე საუკუნიან ისტორიას მოიცავს.

შედეგად, მარტივად სავარაუდოა მათ შორის კონფლიქტების განვითარება თანამედროვე პირობებშიც კი, რასაც ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

ორივე ქვეყანა გამოთქვამს აქტიურ ინტერესს რეგიონის კონტროლისათვის, მათ შორის როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო კუთხითაც;

ფაქტობრივად საუკუნეზე მეტია რუსეთი არ ერიდება სხვადასხვა სახის სამხედრო კონფლიქტებს, რეგიონში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად, რაც ბუნებრივია ზრდის დაძაბულობას შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის;

თუკი გასული საუკუნის განმავლობაში თურქეთი ძირითადად ქვეყნის აღმშენებლობითა და გაძლიერებით იყო დაკავებული, მე-2 მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტის სტატუსიც ჰქონდა და საბჭოთა კავშირის დაშლამდე უფრო მეტად პასიურ რეჟიმში იყო, უკანასკნელი წლების პროცესები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ თურქეთი გადასულია საკუთარი ინტერესების დაცვის რეჟიმში და არ ერიდება თუნდაც სამხედრო ძალის გამოყენებას;

უკრაინაში განვითარებული მოვლენები და თურქეთის მხრიდან ერთის მხრივ მომრიგებლური პოზიციის დაკავება, ხოლო მეორეს მხრივ უკრაინისთვის სხვადსხვა სახის ტექნიკის მიწოდება, ასევე მეტყველებს თურქეთის ღია პოზიციასა და სამომავლო გეგმებზე.

შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთის პასიური დაპირისპირება რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად დიდი საფრთხის მატარებელია სამომავლოდ სამხედრო დაპირისპირების ჭრილში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Cook S.A (2018) „Neither Friend nor Foe: The Future of U.S.-Turkey Relations“, Council Special Report No. 82, Published by the Council on Foreign Relations, USA, New York, Pdf, https://on.cfr.org/3OZgGWG (გადამოწმებულ იქნა 12.02.22);
2. Hudson M. (2022) „Fall of Constantinople“ Encyclopedia Britannica, November 22, https://bit.ly/3VpHv8Q (გადამოწმებულ იქნა 12.02.22);
3. Kusa I. (2022) Article: „Turkey's Goals in the Russia-Ukraine War“. Wilson Center. https://bit.ly/3XQYL8x (გადამოწმებულ იქნა 02.12.22);
4. Ray M. Article „Russo-Turkish Wars.“ Encyclopedia Britannica, https://bit.ly/3OUPZCd (გადამოწმებულ იქნა 12.22.22);
5. Reynolds M. (2019) Commentary: „Turkey and Russia: A Remarkable Rapprochement“ War on the Rocks, https://bit.ly/3Y4qwuz (გადამოწმებულ იქნა 12.22.22);
6. Zanotti J., Clayton T. (2021) „Turkey-U.S. Relations: Timeline and Brief Historical Context“, Congressional Research Service, pdf. https://bit.ly/3izJ0mp (გადამოწმებულ იქნა 12.22.22).


7 Kusa I. (2022) Article: „Turkey's Goals in the Russia-Ukraine War“. Wilson Center. https://bit.ly/3XQYL8x

# დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) შავი ზღვის რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში

**თავდაცვის გენერალ-მაიორი გიორგი ბუბუნაური**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 1991 წლის 8 დეკემბერს დაფუძნდა, როცა ბელორუსის დედაქალაქ მინსკში რუსეთის პრეზიდენტის - ბორის ელცინის, ბელორუსის პრეზიდენტის - სტანისლავ შუშკევიჩის და უკრაინის პრეზიდენტის - ლეონიდ კრავჩუკის მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დაარსების შესახებ. დსთ-ს შექმნის დღიდან ყველა ფიქრობდა, რომ ამ ორგანიზაციის არსებობა რუსეთის იმპერიული ამბიციების ახალი გამოვლინება იყო. ბევრი მასში მომაკვდავ ორგანიზაციასაც ხედავდა, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ დსთ ასე თუ ისე პასუხობდა ახალ გამოწვევებს და ამ ორგანიზაციის შექმნით მხოლოდ რუსეთი არ იყო დაინტერესებული. აქ მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესები.

დსთ. ევრაზიული მიმართულების გაერთიანებაა და დღეს მიმდინარე უკრაინის ომის ფონზე აშკარად ჩანს, რომ რუსეთი იმთავითვე ითვალისწინებდა დასავლეთთან დაპირისპირების შესაძლებლობებს, ამიტომაც თავიდანვე იქნა მის მიერ ზომები მიღებული.

**საკვანძო სიტყვები:**
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სუვერენიტეტი, შავი ზღვის რეგიონი, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, სამშვიდობო ჯარები, ახალი მსოფლიო წესრიგი.

# Commonwealth of Independent States (CIS) in Regional Integration Processes of the Black Sea

**Major General Giorgi Bubunauri**
Georgian Technical University,
PhD Student, International Relations Program

## Abstract

The Commonwealth of Independent States was founded on December 8, 1991, when the Treaty on the Establishment of the Commonwealth of Independent States (CIS) was signed by the President of Russia - Boris Yeltsin, the President of Belarus - Stanislav Shushkevich and the President of Ukraine - Leonid Kravchuk in Minsk, the capital of Belarus. Since the creation of the CIS, everyone thought, that the existence of this organization was a new manifestation of Russia's imperial ambitions. Many consider it as a dying organization, but subsequent developments demonstrated, that the CIS responded to new challenges in one way or another, and not only Russia was interested in the establishment of this organization. First of all, we take into consideration the economic interests of member states of the Commonwealth of Independent States.

The CIS is a union of the Eurasian direction, and in the background of the current war in Ukraine, it is clear, that Russia was considering the possibility of confrontation with the West, that's why it took measures from the very beginning.

**Keywords:**
CIS; Sovereignty; Black Sea region; Military political cooperation; Peacekeeping troops; New world order.

## შესავალი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ სამეცნიერო წრეებში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს ორგანიზაცია ქმედითუუნარო იქნებოდა და დაიშლებოდა, მაგრამ შემდეგ ნათელი გახდა, რომ ორგანიზაციას ასე თუ ისე შეეძლო ფუნქციონირება.

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) აბრივიატურის შესახებ საუბარი დაიწყო ბელოვეჟის შეხვედრის შემდეგ, რომელმაც თავისი პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა 1991 წლის დეკემბერში. 1991 წლის 8 დეკემბერს, როცა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში რუსეთის პრეზიდენტის - ბორის ელცინის, ბელორუსიის პრეზიდენტის - სტანისლავ შუშკევიჩის და უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაარსების შესახებ. 1991 წლის 21 დეკემბერს ქ. ალმა-ატაში, დსთ-ს შექმნის ხელშეკრულებას დაემატა ოქმი, რომლის თანახმად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდნენ: ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და მოლდოვას რესპუბლიკები.

## ძირითადი ნაწილი

ალმა-ატაში საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერთა შეკრებაზე, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უარმა, შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირში, განაპირობა რუსეთის მხარდაჭერა 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში დაწყებული სამხედრო გადატრიალებისადმი.[1] მას შემდეგ, რაც გარეშე ძალების მინაწილეობით და დახმარებით რუსების, კაზაკების, ჩრდილო კავკასიელების და სხვათა ჩათვლით - აფზახებმა 1993 წლის სექტემბერში მოახერხეს საქართველოს სამხედრო ძალების დამარცხება, გადაჭრით გადაიდგა ნაბიჯები დსთ-ში შესასვლელად. ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მზადყოფნა დსთ-ში შესვლის შესახებ, აფხაზეთში რუსეთის მხარდაჭერის იმედით, მაგრამ ეს დაგვიანებული აღმოჩნდა, ამან სიტუაცია ვერ გამოასწორა.[2] მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა და სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, საქართველოს მთავრობამ რუსეთის თანადგომის იმედით განმეორებით გამოთქვა სურვილი დსთ-ში შესვლის მზადყოფნის შესახებ.[3]

1993 წლის 24 დეკემბერს საქართველო დსთ-ს შეუერთდა და გახდა მისი წევრი ქვეყანა.

1993 წლის 22 იანვარს ქ. მინსკში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს სდომაზე მიღებულ წესდებაში აღინიშნა, რომ დსთ-ს მიზნებს შეადგენდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება. თანამეგობრობა, წესდების თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფოს და მას არ გააჩნდა ზეეროვნული უფლებამოსილებანი. 1994 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება დსთ-ს წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ. დსთ-ში შესვლაზე თანხმობის განცხადებით საქართველოს ხელისუფლებამ და ე. შევარდნაძემ ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია მიიღეს რუსეთისაგან. დსთ-ში შესვლით საქართველომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში უკვე მერამდენედ გააკეთა არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ.

მართალია, საქართველო ყველაზე გვიან შეუერთდა დსთ-ს, მაგრამ იგი დსთ-ს წესდების ზოგიერთ მუხლებზე ხელმოწერას ამართლებდა იმით, რომ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ის იძულებული იყო მიეღო დსთ-ს მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი მოთხოვნა, რომელიც ზღუდავდა ქვეყნის სუვერენიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ დსთ თავისი არსებობის 31 წლისთავს ითვლის, მასში ინტეგრაციული პროცესები არაეფექტურადაა წარმოჩენილი, რადგან იგი თავიდანვე არ ეფუძნებოდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, დსთ-ს ინტეგრაციული პროცესები არ ხორციელდებოდა ნებაყოფლობით, ბუნებრივად, მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვით. საქართველოს დსთ-ში შესვლა ხორციელდებოდა რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისა და შანტაჟის პირობებში, რომელმაც 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა სრულ დაცემამდე მიიყვანა. აღნიშნულ პერიოდში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის დონე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი სწორედ საქართველოში იყო. აი ასეთი წარუმატებელი გახლდათ საქართველოს პირველი ნაბიჯები დსთ-ს ეკონომიკურ სივრცეში.

ილუზიად დარჩა დსთ-ს საწესდებო ორგანოთა პროგნოზი და გეგმა, რომლის მიხედვითაც დსთ-ს სივრცის ყველა დონის ღრმა ინტეგრაცია 2000 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრებულიყო.[4]

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანებულ 12 სახელმწიფოს ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის თავისი საკუთარი გზა გააჩნდა, რაც აფერხებდა ერთიანი ეკონომიკური პოლი-

1 გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., შავი ზღვის აუზში მიმდინარე ინტერგრაციული პროცესები (1991-2008), ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009 წ. გვ. 152.

2 ბერდიანაშვილი, ზ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, გამომც. გლობუსი. თბ., 2015 წ. გვ. 168.

3 ჩიტალაძე ა., შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი, სამაგისტრო დისერტაცია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016 წ. გვ 95.

4 ალადაშვილი ბ. „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“. თბ., 2010 წ. გვ. 145.

ტიკის განხორციელებას. რუსეთი დსთ-ში ცდილობდა ეკონომიკური ინტეგრაცია ხელოვნურად დაეჩქარებინა და დაექვემდებარებინა იგი სამხედრო პოლიტიკური მიზნებისათვის. ეკონომიკური ინტეგრაციის ხელოვნური დაჩქარება იწვევდა არა ინტეგრაციას, არამედ პირიქით-დეზინტეგრაციას. დსთ-ს ფარგლებში ინტეგრაცია უნდა დაფუძნებულიყო შემდეგ პრინციპებზე: დსთ-ს წევრი ყველა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროცესში მონაწილე სუბიექტების თავისუფალი ნება და ინტეგრაცია ეკონომიკის იმ სექტორში, რომელიც ყველაზე მომგებიანია.

დსთ-ს სივრცეში არსებობდა სხვადასხვა დონის ინტეგრაციის ფორმები, კერძოდ: მაღალი დონის ინტეგრაცია, სადაც თავიდან ჩადებული იყო ფედერაციის სამოკავშირეო-ფედერალური ხელშეკრულების გაფორმება ბელორუსთან, რომელმაც შედეგი 2000 წლის დეკემბერში გამოიღო. 2000 წლის 8 დეკემბერს რუსეთსა და ბელორუსს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე.[5] პერსპექტივაში კავშირს სხვა ატრიბუტებთან ერთად ერთიანი ფულადი ერთეული ექნებოდა. ამ კავშირის შექმნას სათავე დაუდო დსთ-ს გეოპოლიტიკური ღერძის შექმნამ, რომელიც დსთ-ს დაარსების დღიდან ასე გამოიყურებოდა: მინსკი - მოსკოვი - ერევანი - დუშანბე, რომელსაც 90-იანი წლების ბოლოს კიშინიოვიც მიემატა. ეს ქვეყნები თავიდანვე მოწადინებულნი იყვნენ შეექმნათ მჭიდრო, ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღად ბელორუსისა და რუსეთის პრეზიდენტებმა შემთხვევით როდი აირჩიეს 8 დეკემბერი.[6] ზუსტად 1991 წლის 8 დეკემბერს სამმა მოკავშირე რესპუბლიკამ დადო ე.წ. ბელოვეჟის შეთანხმება, რითაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. დსთ-ს 8 წლიან იუბილეზე რუსეთ - ბელორუსის მიერ უკრაინის გარეშე ხელმოწერილი ხელშეკრულება სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე იყო სსრ კავშირის რეანიმაციის ცდა. მაშინდელი პრემიერის ვლადიმერ პუტინის აზრით, გაერთიანებას ისეთი ფორმა უნდა მისცემოდა, რომ ბელორუსსა და რუსეთს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, ერთიანი პოზიცია დაეკავებინათ საერთაშორისო არენაზე. სწორედ ამგვარი თანადგომა გამოამჟღავნეს მათ სტამბოლის 1999 წლის ნოემბრის სამიტზე.

დსთ-ს მაღალი დონის ინტეგრაცია რუსეთ - ბელორუსის გაერთიანებით დამთავრდა, რომელშიც ისინი ცდილობდნენ ჩაერთოთ სხვა სახელმწიფოებიც.

დსთ-ს შიგნით არსებული ინტეგრაციის მეორე ფორმას წარმოადგენს საშუალო დონის ინტეგრაცია, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ და ეკონომიკურ საკითხებს. მასში გაერთიანებულია ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი. ბოლო და უკანასკნელი ფორმა ინტეგრაციისა, დაბალი დონის ინტეგრაციით არის ცნობილი და მასში გაერთიანებული არიან მოლდოვა და თურქმენეთი.[7]

90-იან წლებში იქმნებოდა პრეცენდენტი იმისა, რომ ეჭვქვეშ დამდგარიყო ინტეგრაციული პროცესები. აშკარა იყო ის გარემოება, რომ ინტეგრაციის ყველა დონეზე იკვეთებოდა რუსეთის წამყვანი და ჰეგემონისტური როლი. დსთ-ზე როდესაც მიდის მსჯელობა, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან მომენტს: თანამეგობრობამ მაშინ შეძლო პოსტსაბჭოური სივრცე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ეხსნა გლობალური კონფლიქტებისაგან. ბალკანეთში ეს მოვლენები ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა.

ინტეგრაციული პროცესების თვალსაზრისით, დსთ-მ რაიმე კონსტრუქციულის გაკეთება ვერ შეძლო. ძალიან ბევრი მიღებული დოკუმენტიდან რეალურად ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. თვით დსთ-ს სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი აპარატი სოციალისტური სისტემის ასოციაციას იწვევს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს რაღაც კეთდებოდა დსთ-ს რეფორმებისათვის, მაგრამ პრაქტიკულად იგი ერთ ადგილზე იდგა.

დსთ-ში ცენტრალური თემა სამხედრო - პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხი იყო და ამის უკან სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი იდგა. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას 1992 წელს მოაწერა ხელი დსთ-ს წევრმა ექვსმა სახელმწიფომ: რუსეთმა, სომხეთმა, ყაზახეთმა, ტაჯიკეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა. 1993 წელს მათ შეუერთდა საქართველო, აზერბაიჯანი და ბელორუსია. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ პოსტსაბჭოურ სივრცეში სამხედრო სტრატეგიული ვაკუუმი შეავსო და იგი რუსეთის მიერ თანამეგობრობაზე გავლენის ძირითად ინსტრუმენტად იქცა.[8]

90-იანი წლების ბოლოს საქართველოსა და აზერბაიჯანის პოზიცია აღნიშნული ხელშეკრულებისადმი სკეპტიკური გახდა, მათ დაიწყეს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან კავშირის დამყარება, რადგან ამ ბლოკში შესვლას ისინი უკავშირებდნენ თავიანთ სამომავლო პერსპექტივას. საქართველომ დსთ და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება დატოვა 2009 წელს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

## დასკვნა

დსთ-ს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება ობიექტური მიზეზებით არ ყოფილა განპირობებული. 2000 წლის მაისში რუსეთი შეეცადა აღნიშნული

5 გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., დასახ. ნაშრ. გვ.21.

6 გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., დასახ. ნაშრ. გვ. 158.

7 ჩიქოვანი ნ., კაკიტელაშვილი ქ., ჩხაიძე ი., წერეთელი ი., ეფაძე ქ., „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 2022. გვ. 325.

8 ჩიქოვანი ნ., კაკიტელაშვილი ქ., ჩხაიძე ი., წერეთელი ი., ეფაძე ქ., სადახ. ნაშრ. გვ. 298.

ხელშეკრულების „გაცოცხლებას“. მოსკოვს ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული, ერთგული, საყრდენი და მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში სომხეთის სახით. იგი მოსკოვის აქტიურ სამხრეთელ პარტნიორად რჩება დღემდე და სწორედ მასთან ალიანსში რუსეთი ცდილობდა აღნიშნული სამხედრო ხელშეკრულება უფრო ქმედითუნარიანად ექცია, მაგრამ 2018 წელს, როდესაც ხელისუფლების სათავეში ნიკოლ ფაშინიანი მოვიდა, რუსეთმა მას ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. რუსეთი ფიქრობდა, რომ სომხეთმა მასთან ფაქტობრივად შეწყვიტა სამხედრო თანამშრომლობა, შედეგად, როგორც ეს რუსეთის იმპერიას ხშირად ჩვეოდა, აზერბაიჯანთან კონფლიქტის დროს 2020 წლის შემოდგომაზე განცდილი მარცხის შედეგად, სომხეთმა დაკარგა ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის ქალაქი შუშა. აღნიშნულმა ფაქტმა სომხეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მიმართ ნეგატიურად განაწყო, რის დამადასტურებელი ფაქტი არის ის, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ხელისუფლების სათავეში კვლავ ომში დამარცხებულ ნიკოლ ფაშინიანს დაუჭირა მხარი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ რუსეთმა მოცემულ ეტაპზე კავკასიაში პოზიციები გაიმყარა, რადგან მთიან ყარაბაღში - აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კვლავ ჩადგა სამშვიდობო ძალების სტატუსით.

მთავარი მაინც უკრაინის ომის შედეგები იქნება, რომლის პროგნოზის გაკეთება დღეს ძალიან რთულია. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება ახალ მსოფლიო წესრიგთან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., შავი ზღვის აუზში მიმდინარე ინტერგრაციული პროცესები (1991-2008), ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009 წ.;
2. ბერდიანაშვილი, ზ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, გამომც. გლობუსი. თბ., 2015 წ.;
3. ჩიტალაძე ა., შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი, სამაგისტრო დისერტაცია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016 წ.;
4. ალადაშვილი ბ. „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“. თბ., 2010 წ.;
5. ჩიქოვანი ნ., კაკიტელაშვილი ქ., ჩხაიძე ი., წერეთელი ი., ეფაძე ქ., „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 2022 წ..

# შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფოზე

**ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში, ისტორიის ყველა პერიოდში, სახელმწიფოების შექმნის, განვითარებისა და განადგურების მთავარ მამოძრავებელ ძალას ყოველთვის, ამავე სახელმწიფობის შიდა პოლიტიკური მდგომარეობა და მის ირგვლივ არსებული ძალთა ბალანსი განსაზღვრავდა, რომელიც თავის მხრივ ადამიანის ბუნებითი[1] მდგომარეობით იყო განპირობებული. თუ თვალს გადავავლებთ მსფოლიო ისტორიას დასაბამიდან დღემდე დავინახავთ, რომ ისეთი ძლიერი იმპერიები, როგორებიც იყვნენ: რომის, მონღოლთა, არაბთა, ბიზანტიის, მაკედონიის, ოსმალეთის, შედარებით გვიან პერიოდში ბრიტანეთისა და რუსეთის (საბჭოთა) იმპერია დაიშალნენ ან საერთოდაც გაქრნენ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან, ხოლო შედარებით პატარა და ხშირ შემთხვევაში არაორგანიზებულმა სახელმწიფოებმა კი გაუძლეს საუკუნეთა ქარტეხილებს და თანამედროვეობაშიც ჰპოვეს მეტ-ნაკლებად ღირსეული ადგილები. რა თქმა უნდა, კვლევის საგანს წარმოადგენს აღნიშნული ფენომენი და ხშირ შემთხვევაში მოიცავს საკითხის სუბიექტურ შესწავლას არგუმენტირებული მაგალითებით და საერთოდაც არ გამორიცხავს მისი ხასიათის ობიექტურობასაც. არსებული ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე კი ვასკვნით, რომ სახელმწიფოს, როგორც ერთიანი სისტემური ორგანიზმის არსებობა და განვითარება, პირდაპირ პროპორციულია მის შიდა პოლიტიკურ მდგომარეობასა და საერთაშორისო სტატუსზე, რომელიც, თავის მხრივ, სხვა დანარჩენი სახელმწიფოთა ინტერესების ჭიდილის შესაბამისად შესაძლოა განვითარდეს ან არ განვითარდეს.

**საკვანძო სიტყვები:**
ძალთა ბალანსი, სახელმწიფო, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ინტერესები.

# The Geopolitical Situation in the Black Sea Region and Its Impact on Georgia

**Lieutenant Colonel Davit Margiani**
Doctoral Student of the Department of History of
Sokhumi State University

## Abstract

Throughout the existence of mankind, in all periods of history, the main driving force for the foundation, development and destruction of states was always determined by the internal political situation and the balance of power of these states, which in turn was dictated by the natural state of man. If we take a look at the world history from the beginning to the present day, we will see, that powerful empires such as Roman, Mongol, Arab, Byzantine, Macedonian, Ottoman, and, in the relatively late period, British and Russian (Soviet) empires collapsed or disappeared altogether from the world political map, while relatively small and often unorganized states have withstood the ravages of time and have found more or less worthy places in modern times. Of course, the topic of the research is the mentioned phenomenon, and in many cases, it includes the subjective study of the issue along with argumentative examples and does not exclude the objectivity of its nature at all. Based on the historical examples, we conclude, that the existence and development of the state as a single systemic organism is directly proportional to its internal political situation and international status, which in turn may or may not develop in line with the clashes of interests of other states.

**Keywords:**
Balance of power, State, Geopolitical situation, Interests.

1 თომას ჰობსი, ლევიათანნი, ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა. https://www.qwelly.com/profiles/blogs/bunebiti

# შესავალი

თანამედროვე მსოფლიო, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომამდე[2] ეგრედწოდებული **პოსტცივიომი-სეული ლიბერალური წესყობილების** (Post Cold War liberal order) სახელით იყო ცნობილი, ნგრევას მიეცა და დაიწყო ეგრედწოდებული „მეორე ცივი ომი“,[3] რომელიც განვითარებული დასავლეთისა და რუსეთის ფედერაციის ირიბ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთის მხრივ უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, რომლის წარმოების ირიბ საბაბს „საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება“[4] წარმოადგენდა, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქრთელოს ეროვნულ ინტერესებზეც. შესაბამისად სახელწიფოს მომავალი ბედი სწორედ რომ ამ საომარი მოქმედებების შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ხოლო თუ გავითვალისწინებთ **საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობასა** (Georgia's geopolitical location) და რეგიონში არსებულ მდგომარეობას დავრწმუნდებით, რომ თანამედროვეობაში საქართელოში არსებულმა „აბრეშუმის“[5] გზამ შესაძლოა ერთგვარი უარყოფითი ზეგავლენაც კი მოახდინოს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებზე. სწორედ ზემოთ აღნიშნული თეზისებიდან გამომდინარე შევეცდებით, კავკასიის რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ურთიერთდაკავშირებას საქართელოსთან მიმართებაში, განვიხილავთ ჩვენი აზრით მოსალოდნელ სცენარებსა და საქართველოს, როგორც დასავლური ღირებულებების მატარებელი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებს. რაც ჩენივე აზრით საკმაოდ პრეცენდენტულს და აქტუალურს გახდის საკვლევ თემას.

საქართელო ევროპის უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და წარმოაგენს ერთგვარ ქრისტიანულ ფლაგმანს მუსულმანურ სახელმწიფოებთან. უკრაინაში კი რუსეთის ექსპანსიონისტურმა მოქმედებებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ბუნებრივი რესურსებისა და სხვადასხვა მინერალების მიწოდების ალტერნატიული საშალებების მოძებნისა და განხორციელების აუცილებლობა. გარდა ამისა მისი როგორც განაპირა სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშნელოვანია ევროპისათვის, რადგანაც **საქართველო წარმოადგენს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოს** (Georgia is a state of the Black Sea region), რაც იმას ნიშნავს რომ ახლო აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი ლტოლვილთა მასების ევროპაში მიგრაციის შესაძლო კერად შეიძლება იქცეს უვიზო მიმოსვლის საფუძველზე.

თუ გადავხედავთ ბუნებრივი წიაღისეულის მომპოვებელი სახელმწიფოების გეოგრაფილ მდებარეობას დავინახავთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი საქართელოს აღმოსავლეთ მხარეს კასპიის ზღვის გადაღმა მდებარეობს. საუბარია ყაზახეთზე,[6] აზერბაიჯანზე[7] და თურქმენეთზე.[8] გარდა იმისა, რომ ამ სახელმწიფოებს ძალუძთ საქართელოს ტერიტორიის გავლით ევროპისათვის რესურსების მიწოდება, ასევე თვალში საცემია ის ფაქტიც, რომ მათი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში ომის წარუმატებლობისა და დასავლეთის ზეწოლის ფონზე ნელ-ნელა მცირდება. გარდა ამისა უმოკლესი სახმელეთო გზაა ჩინეთისა და ინდოეთის ევროპასთან დასაკავშირებლად. ხოლო თურქეთის დამოუკიდებელი და ხშირ შემთხვევაში დასავლური ინტერესების საწინააღმდეგო „თაშების“ საპირწონედ იძლევა ლოგისტიკური ხაზის უზრუნველყოფის შესაძლებლობას აზიის მიმართულებით. წარმოვიდგინოთ რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას ან მისი, როგორც სუვენერული სახელმწიფოს არარსებობას.

პასუხი მარტივია, **პირველ შემთხვევაში** ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და ნატოში ინტეგრაციის საპირწონედ დასავლეთი იღებს ძლიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდება. გარდა ამისა იქმნება დამატებითი შესაძლებლობა **უსაფრთხო სატრანზიტო დერეფნის** (Safe transit corridor) შექმნის, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ევროპის ენერგო დამოუკიდებლობას, ხოლო მეორეს მხრივ მინიმუმამდე დაიყვანს რუსეთის ფედერაციის ზეგავლენებს და მანიპულირების საშუალებებს ამავე სახელმწიფოებზე. ხოლო თუ ამ საკითხს პოლიტიკური ჭრილიდან შევხედავთ ეს იქნება ერთგვარი „გარღვევა“ და პრეცედენტული ხასიათის მატარებელი, რაც კიდევ უფრო გაზრდის დასავლური სახელმწიფოების მსოფლიო პოლიტიკურ იმიჯს. რათქმაუნდა ეს თეზისი დასავლეთისათის მისაღებ, თუმცა რუსეთის ფედერაციისათის მიუღებელ წინაპირობად რჩება, რადგანაც ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი კარგავს კონტროლს და ეგრედწოდებულ ბუფერულ ტერიტორიას ნატოს საზღვარზე. მეორეს მხრივ მისი თვალსაწიერიდან იქმნება საშიშროება რეგიონში კონკრეტულად კი სომხეთზე ზეგავლენის შენარჩუნებისა და ამავდროულად გრძნობს გარკვეულ საფრთეებს წლების წინ ძალით მიერთებული ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების სახით.

**მეორე შემთხვევაში**, საქართველოს ევრო მისწრაფებები და ნატოში გაწევრიანება არაპერსპექტიულად

2 ცნობილია როგორც 2022 წლის 24 თებერვალი, 2014 წელს უკრაინაში „მეიდნის“ მოვლენების შემდგომ განვითარებული მოქმედებები საერთაშორისო სამართალსა და ტერმინოლოგიაში არ არის კლასიფიცირებული, როგორც რუსეთის ფედერაციის შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

3 ტერმინი ეკუთვნის ბრენდსი ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორს ჰელს ბრენსიას.

4 Bucharest Summit Declaration, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm.

5 საქართელო აბრეშუმის გზაზე - მითები და რეალობები, https://forbes.ge/saqarthvelo-da-abreshumis/ .

6 https://trustworksglobal.com/publication/natural-resource-related-country-analysis-kazakhstan/ ასევე https://www.worldatlas.com/articles/what-are-the-major-natural-resources-of-kazakhstan.html. უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

7 https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.TOTL.RT.ZS?locations=AZ უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

8 https://www.trade.gov/country-commercial-guides/turkmenistan-oil-gas უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

იქნება მიჩნეული, დასავლეთი არა მხოლოდ **საყრდენ სახელმწიფოს დაკარგავს კავკასიის რეგიონში** (The main strategic partner in the Caucasus region), არამედ გზას გაუხსნის მუსულმანურ სახელმწიფოებს ჰეგემონობისათვის, რაც მისთვის გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ამავდროულად ის ადამიანური, მატერიალური თუ დროის ინვესტიცია რომელიც ჩენს ქვეყანაშია დასავლეთის ქვეყნებიდან ჩადებული კარგავს თავის მიზანშედეგობრივ ფუნქციას, ამავდროულად იკარგება ბუნებრივი რესურსების, რუსეთის ფედერაციისაგან დამოუკიდებლად მიღების ალტერნატივა, რაც ერთის მხრივ შეუნარჩუნებს რუსეთს გავლენებს ხოლო მეორეს მხრივ პატარა სახელმწიფოებს, დასავლეთის კრახის ფონზე იძლებულს გახდის დასავლური ორიენტირები რუსულით ჩაანაცვლოს. რათქმაუნდა ეს თეზისი ჩვენი ჩრდილო მეზობლისთის მისაღებ ფენომენად რჩება, თუმცა მიუღებელია ჩვენი დასავლეთისთვის და აშშ-თვის. სწორედ აქედან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალური მდგომარეობა ორივე სახელმწიფოსთვის არის ის მდგომარეობა რაშიც დღეს საქართველოა „**დასავლური ორიენტირებით დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანების გარეშე**“[9] (“With a Western orientation, without joining Western organizations). სწორედ გაწელილი ინტეგრაციის პროცესებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ უკრაინის საომარი მოქმედებების საბოლოო შედეგი იქნება გარდამტეხი მნიშნელობის საქართელოსთის, სადაც ამ უკანასკნელმა უნდა გააკეთოს კონკრეტული არჩევანი და დადოს ეგრედწოდებული „პოლიტიკური ფსონები“ მის სამომავლო მიზნებზე. სამწუხაროდ, საქართელოს რეგიონში მჭიდრო სამხედრო და ეკონომიკური პარტნიორი არ გააჩნია. ურთიერთობები სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან ნორმალიზებულია, რაც მხოლოდ მცირედი სუბსიდირებებითა და ეკონომიკური ურთიერთობებით გამოიხატება. განსხვავებით თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებისა, რომელთა სამხედრო მაღალი დონის თანამშრომლობამ ფაქტიურად განსაზღვრა მთიანი ყარაბაღის[10] 2020 წლის საომარი მოქმედებების ბედი. ხოლო რაც შეეხება რუსულ-სომხურ ურთიერთობებს, ის მხოლოდ „გიუმრის“ სამხედრო ბაზის არსებობაზე გადის. შესაბამისად ოფიციალური მოსკოვისთის განსაკუთრებული დამოკიდებულება არ აქვს „მთიანი ყარაბაღის“ დე იურე სტატუსის მიმართ.

მოდით საკითხს შევხედოთ პრაგმატულად. ყარაბაღის ომმა ერთის მხრივ თითქოსდა უკმაყოფილება გამოიწვია ოფიციალური მოსკოის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ კიდევ უფრო გააჭიანურა და დროში გაზარდა რუსული ბაზის სომხეთის ტერიტორიაზე ყოფნის აუცილებლობა, რომელიც ერთგვარ შიდა უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს მისთვის, რადგანაც ამ ეტაპზე სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. მეორეს მხრივ 2018 წელს ხელისუფლებაში მოსული დასავლური ღირებულებების მატარებელი ფაშინიანისთვის ერთგვარი სადამსჯელო ოპერაცია აღმოჩნდა მოსკოვის მხრიდან იმ განცხადებების საფუძელზე, რომლის მიხედვითაც ფაშინიანი სამომავლო პერსპექტივაში არცთუ ისე დადებითად აფასებდა რუსულ ბაზას სომხეთის ტერიტორიაზე. ცალკე საკითხია თურქეთი, რომელიც მოსკოვისათის ხელწამოსაკრავ ძალას არ წარმოადგენს, შესაბამისად მის მიმართ პოლიტიკური ანგარიშის გაწევაც ბევრად მაღალია. გარდა ამისა რუსეთმა, პირველ ეტაპზე შესძლო კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების[11] შეყვანა, ამავდროულად ხელი შეუწყო აზერბაიჯანისა და სომხეთის შეთანხმებას ნახჩევანის სარკინიგზო და საავტომობილო მარშუტის გახსნაზე,[12] რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც **საქართელო ფაქტიურად კარგავს თავის გეოსტრატეგიულ მნიშნელობას** (In fact, Georgia is losing its geostrategic significance), ხოლო რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მიერ ახალი სამარშტო გზის კონტროლი იძლევა კონტროლს იქ გამდინარე რესურსებზეც. რათქმაუნდა ეს იყო ოფიციალური მოსკოვის ირიბი ჩანაფიქრი, რომლის აღსრულების პირობაც დროთა განმავლობაში იცვლება. თუმცა ფაქტი ერთია, როდესაც საქართელო ცდილობს მშვიდობის ყველანაირი გზით შენარჩუნებას, მოწინააღმდეგე მხარე მის დარღვევას ყველა ხელთ არსებული საშუალებებით ებრძვის. ამ მიდგომამ კი მისი მოსაზრებით, მაქსიმალურად უნდა გააჭანუროს ჩვენი ნატოში ინტეგრაცია.

განვიხილოთ შემდგომი, ჩვენი საზღვაო მეზობლის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებები, რომელიც პირველ ეტაპზე თითქოსდა რუსეთის სასარგებლოდ იყო გადახრილი, დასავლეთის სამხედრო მაღალტექნოლოგიურმა დახმარებამ და ფინანსურმა მხარდაჭერამ ამ დროისათვის რადიკალურად შეცვალა სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობა.[13] მიუხედავად ამისა კონკრეტული დასკვნების გაკეთება ამ ეტაპისათის მიზანშეუწონლად მიგვაჩნია და მხოლოდ რამდენიმე სცენარს განვიხილავთ თუ რა შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ის საქართველოსთის.

დასაწყისში აუცილებელია გავაანალიზოთ რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრის მიზეზი. ვ. პუტინის და ს. ლავროვის განმარტებით ეს უკავშირდება ჯერ კიდევ 2008 წელს **ბუქარესტის სამიტზე** (at the Bucharest Summit) მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც საქართველო და უკრაინა

9 ნაგულისხმევია ის საერთაშორისო სტატუსკვო, რომელიც 1997 წლიდან მოქმედებს „ნატო“-სთან მიმართებაში და დღემდე არ შეცვლილა.

10 https://www.gmfus.org/news/turkeys-overlooked-role-second-nagorno-karabakh-war
უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

11 ყარაბაღის სამმხრივი შეთანხმება, https://publika.ge/ruseti-yarabaghshi-samshvidobo-dzalebis-ganlagebas-iwyebs-ra-weria-shetankhmebashi/ უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

12 ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს ანკლავს სომხეთის ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთით, მას პირდაპირი სახმელეთო კავშირი აქვს თურქეთის რესპუბლიკასთან ხოლო არ გააჩნია ადმინისტრაციული საზღვარი აზერბაიჯანთან.

13 https://pia.ge/news/analitika/rusebis-gegma-chaphlavda-zurab-batiashvili უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

აუცილებლად გახდებოდნენ „ნატო“-ს წევრი ქვეყნები. მაშინ შეგვიძლია დავსვათ კითხვები:

**პირველი**: რამ განაპირობა რუსეთის შეჭრა ევროპაში ტერიტორიით ყველაზე დიდი სახელმწიფოში და რატომ არ შეეცადა ეს უკანასკნელი საქართველოში სამარი მოქმედებების დაწყებას იმის ფონზე რომ შედარებით ნაკლები რესურსებით შეიძლებოდა სამარი მოქმედებების წარმოება?

**მეორე**: განსაზღვრა თუ არა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, რომ საქართველოში სამარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, შავი ზღვის აკვატორიის დაკეტვით რუსეთი შეძლებდა საქართველოს სრულ იზოლაციაში მოქცევას, რაც ფაქტიურად შეუძლებელს გახდიდა დასავლური სამხედრო და ეკონომიკური დახმარებების განხორციელებას, განსხვავებით უკრაინისაგან რომელსაც დასავლეთით მინიმუმ სამი ნატოს წევრი სახელმწიფო ესაზღვრება ?

**შევეცდებით ორივე კითხვაზე პასუხი ერთიანი კონტექსტით გავცეთ**: პირველ რიგში უნდა ითქვას რომ სამარი მოქმედებების ამძრავი ჯერ კიდევ **2008 წლის რუსეთ საქართელოს ომი** (The 2008 Russia-Georgia war) იყო, სადაც დასავლეთმა ფაქტიურად ვერ შესძლო რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ხელის შეშლა, რასაც 2014 წელს აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო მოქმედებები მოჰყვა. ანუ რუსეთმა ფაქტიურად 2008 წელს ერთგვარი ტესტირება ჩაუტარა დასავლეთს, რისთვისაც ოფიციალური თბილისის აღება საჭიროებას არ წარმოადგენდა. მან ფაქტიურად მცირე სამხედრო ძალებისა და რესურსების გამოყენებით მოახდინა საქართელოს სუვენერული ტერიტორიების ნაწილის ოკუპირება. ხოლო ალტერნატიული დანახარჯების არარსებობის ფონზე ჩაატარა ოპერაცია ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიებზე. შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მიერ არაეფექტურმა ნაბიჯებმა კი გამოიწვია 2022 წლის უკრაინის სამარი მოქმედებები. რომელიც რათქმაუნდა საბოლოო წითელი ხაზი აღმოჩნდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისათის, რაც ჩვენი აზრით რუსეთის კორუფციაში ჩართულმა სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ განსაზღვრა. რაც შეეხება უკრაინაში შეჭრას, მას რათქმაუნდა შესაძლოა ალტერნატივად აეღო საქართელო, თუმცა ცენტრალური კიევის დაცემის შემთვევაში მას შედარებით უფრო გაუადვილდებოდა ოფიციალური თვბილისის აღებაც. მეტიც მათი აზრით დემილიტარიზაია დენაციფიკაციის პროცესს საქართველოში, მინიმუმ შიდა არეულობაც შესაძლოა გამოეწვია, უკრაინის დამარცხების ფონზე. რაც შეეხება საქართველოში შემოჭრის ალტერნატიულ სცენარს, ამ შემთხვევაში ის მიიღებდა შედარებით პატარა სახელმწიფოს, ხოლო ფართო მაშტაბიანი ომი საქართველოსთან კიდევ უფრო გაზრდიდა პრეომისდროინდელ მხარდაჭერას უკრაინაში.

## დასკვნა

მაქსიმალურად შევეცადე განმესაზღვრა შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფოზე. თუმცა აქვე შევეცდებით პასუხი გავცეთ ჯერ კიდევ მიმდინარე სამარ მოქმედებებს რა შესძლო გავლენები შეიძლება ჰქონდეს საქართელოზე:

პირველი - **უკრაინა სამხედრო ოპერაციას დაასრულებს წარმატებით** (Ukraine will successfully complete the military operation) დასავლური მხარდაჭერის ფონზე. რაც რათქმაუნდა ქმნის გარკვეულ საფრთეს იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა და სახმედრო ხელმძღვანელობამ საკუთარი პოლიტიკური იმიჯის რეინკარნაცია შესძლონ მეორე შედარებით პატარა ომის გაჩაღებისა და მისი მოგებით. რაც პირდაპირ დაკავშირებული იქნება თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობებს შევინარჩუნებთ დასავლეთთან და შევძლებთ თუ არა დასავლური გარანტიების მიღებას ამ სცენარის დადგომამდე. ამავდროულად წაგებული ომის საპირწონდე შესაძლოა გავლენების სფეროების განაწილების პროცესის დადგომა, სადაც მოწინააღმდეგე მხარე მაქსიმალურად შეეცდება მინიმუმ მინიმალური სარგებლის მიღებას. აქ კი გადამწყვეტი იქნება ა.შ.შს-სა და ევროპის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში, ამის საფუძველი კი მას არ ექნება საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან დადებითი განწყობების გარეშე.

მეორე - **რუსეთი უკრაინაში სამარ მოქმედებებს გაყინავს** (Russia's military operations in Ukraine will be frozen), საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ და სამხედრო მოქმედებები გადავა შედარებით ნაკლებ აქტიურ ფაზაში, როგორ იყო 2014 წლიდან 2021 წლის თებერვლამდე. რაც არ იქნება დაკავშირებული მაღალ სამხედრო ხარჯებთან, ხოლო დრო იმუშავებს რუსეთის სასარგებლოდ მის ხელთ არსებული წიაღისეულის მანიპულაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში საქართველო შესაძლოა არ აღმოჩნდეს პრიორიტეტი, როგორც დასავლეთისათის ასევე რუსეთის ფედერაციისათვის და ჩვენი მომავალი დიდი ხნით გაურკვეველი აღმოჩნდეს. დრო კი ასევე იმუშავებს საქართველოს საკეთილდღეოდ, მაქსიმალურად გააუმჯობესოს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობები და საგარეო მხარდაჭერა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. თომას ჰობსი, ლევიათანნი, ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა. https://www.qwelly.com/profiles/blogs/bunebiti;
2. ცნობილია როგორც 2022 წლის 24 თებერვალი, 2014 წელს უკრაინაში „მეიდნის“ მოვლენების

შემდგომ განვითარებული მოქმედებები საერთაშორისო სამართალსა და ტერმინოლოგიაში არ არის კლასიფიცირებული, როგორც რუსეთის ფედერაციის შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე;
3. ტერმინი ეკუთვნის ბრენდსი ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორს ჰელს ბრენსიას;
4. Bucharest Summit Declaration, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm;
5. საქართველო აბრეშუმის გზაზე - მითები და რეალობები, https://forbes.ge/saqarthvelo-da-abreshumis/;
6. https://trustworksglobal.com/publication/natural-resource-related-country-analysis-kazakhstan/ ასევე https://www.worldatlas.com/articles/what-are-the-major-natural-resources-of-kazakhstan.html უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ;
7. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.TOTL.RT.ZS?locations=AZ უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ;
8. https://www.trade.gov/country-commercial-guides/turkmenistan-oil-gas უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ;
9. ნაგულისხმევია ის საერთაშორისო სტატუსკვო, რომელიც 1997 წლიდან მოქმედებს „ნატო“-სთან მიმართებაში და დღემდე არ შეცვლილა;
10. https://www.gmfus.org/news/turkeys-overlooked-role-second-nagorno-karabakh-war უკანასკნელად ნანახია 25.10.2022წ;
11. ყარაბაღის სამმხრივი შეთანხმება, https://publika.ge/ruseti-yarabaghshi-samshvidobo-dzalebis-ganlagebas-iwyebs-ra-weria-shetankhmebashi/ უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ;
12. ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს ანკლავს სომხეთის ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთით, მას პირდაპირი სახმელეთო კავშირი აქვს თურქეთის რესპუბლიკასთან ხოლო არ გააჩნია ადმინისტრაციული საზღვარი აზერბაიჯანთან;
13. https://pia.ge/news/analitika/rusebis-gegma-chaphlavda-zurab-batiashvili უკანასკნელად ნანახია 25.10.2022 წ.

# ,,რუსული სამყარო“ და ქართული რეალობა

**პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ხელმძღვანელი,
პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია ეძღვნება დღევანდელ რეალობაში არსებულ და ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას - ,,რბილი ძალის“, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ელემენტის გამოყენებას. აღნიშნული ტერმინის ფუძემდებლის, ჯოზეფ ნაის მოსაზრებით, ,,რბილი ძალა'' არის პოლიტიკური ძალაუფლების ფორმა, რომელიც გულისხმობს ვინმეს უნარს, მიიღოს ვინმესგან სასურველი შედეგი ნებაყოფლობითი მონაწილეობაზე, სიმპათიასა და მიმზიდველობაზე დაყრდნობით, განსხვავებით „ხისტი ძალისგან“, რომელიც გულისხმობს იძულებას. ნაისი აქვე აღნიშნავს, რომ ,,რბილი ძალა'' ყველაზე კარგად კულტურის, საჯარო დიპლომატიის და მედიის გონივრულად გამოყენებით მოქმედებს.

ვინაიდან თავად საკითხი ,,რბილი ძალა'' ძალზე ფართო, და თავის მხრივ, ამოუწურავი იდეოლოგიაა, ჩვენ შევეცდებით მაქსიმალური კონცენტრაცია მოვახდინოთ მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ აქტიურად გამოიყენება პოსტსაბჭოთა სივრცეში პრორუსული პოლიტიკის გატარების ბერკეტად და გადის რბილი ძალის გამოყენების კულტურისა და მედიის საშუალებებზე; ანუ ვისაუბრებთ ,,რუსულ სამყაროზე - „русский мир''. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ,,რუსული სამყარო“, მისი ფონდი და საერთაშორისო ურთიერთობის იდეოლოგიური კონცეფცია საქართველოში საკმაოდ აქტიური მოქმედებებით პრორუსული იდეოლოგიის გატარების საკმაოდ წარმატებულ მექანიზმად მოგვევლინა და აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართული საზოგადოების რუსეთისადმი ლმობიერი აზრის ფორმირებაში.

**საკვანძო სიტყვები:**
„რბილი ძალა“, პოსტსაბჭოთა სივრცე, „რუსული სამყარო“, „ხისტი ძალა“

# “Russian World” and Georgian Reality”

**Colonel Zurab Zerekidze**
Head of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctoral Student in Political Science

## Abstract

The article deals with the use of “soft power” as a defining element of modern international relations and politics, which is one of the most relevant topics in today’s reality. According to the initiator of the term, Joseph Nye, “soft power” is a form of political power, that refers to someone’s ability to obtain a desired outcome from someone, based on voluntary participation, sympathy and attraction as opposed to “hard power”, which refers to compulsion. Here, Nye notes, that “soft power” works best through sensible use of culture, public diplomacy and media.

Since the issue of “soft power” is a very broad and limitless ideology itself, we will try to concentrate on one of its parts, that is actively used by the Russian Federation as a lever for conducting pro-Russian policy in the post-Soviet space and deals with the use of culture and media of “soft power”. So, we will speak about the “Russian World” – “русский мир”. As a result of the researches carried out, it was established, that the “Russian World”, its fund and ideological concept of international relations became a very successful mechanism of pro-Russian ideology in Georgia, using active actions. It still participates in the formation of the sympathetic opinion of Georgian society to Russia.

**Keywords:**
„Soft power“, Post-Soviet space, “Russian World“, “Hard power”.

## შესავალი

## ,,რუსული სამყაროს'' წარმოშობა და განვითარება

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, ,,რუსული სამყაროს'' იდეოლოგის ისტორია გრაფი სერგეი უვოროვის ნაზარებით იწყებს დასაბამს, მან ჯერ კიდევ 1833 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს წარუდგინა მოხსენება სახელად ,,საკუთრივ რუსეთის საწყისები", სადაც აღნიშნული იყო ცნობილი ტრიადა: თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა. ასევე მკვლევარები აღნიშნავენ რუსს დრამატურგს, ალექსანდრე ოსტროვსკის, რომელიც 1823-1886 წლებში მოღვაწეობდა და ,,რუსულ სამყაროს" როგორც, საერთო სარწმუნოების, ადათ-წესების და ჩვეულებების საზოგადოებად აღიქვამდა. ასევე ძალზედ საინტერესოა ,,რუსული სამყაროს" იდეის ფუძემდებლის, თეოლოგის, ნიკოლაი დანილევსკის მოსაზრება[1] მან 1871 წლის საკუთარ ნაშრომში ,,Россия и Европа'' (რუსეთი და ევროპა) ისაუბრა რუსეთისა და ევროპის ცივილიზაციის ისტორიულ და კულტურულ განსხვავებებზე. იგი აღნიშნავს ,რომ ევროპული და რუსული სამყაროების განსხვავებები გამოწვეულია მათ შორის ფუნდამენტალური ნაციონალური ხასიათისა და მოქმედებების თავისებურებების განსხვავებულობით.

განვიხილოთ ,,რუსული სამყაროს" შემსწავლელი რამდენიმე თეორიული სკოლა:

**გეოპოლიტიკური სკოლა**: ალექსანდრე დუგინი და ვადიმ ციბურსკი. მათ მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის ,,Остров Росси'' (რუსეთის კუნძული) თანახმად, საჭიროა რუსეთის დანარჩენი სამყაროსგან იზოლაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ალიანსის შექმნა, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის უსაფრთხოება და სუვერენიტეტის შენარჩუნება. აქცენტი უნდა გაკეთდეს რუსეთის ცივილიზაციურ იდენტურობასა და პეტრე I-ის ფსევდო-მორფოზის უარყოფაზე, რომლის თანახმადაც რუსეთი აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო დასავლურ ფასეულობეთან.[2]

**გეოეკონომიკური სკოლა**. პეტრე შედროვიცკი და ალექსანდრე ნეკლესი. მათ მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის ,,русском геоэкономическом мире''(რუსული გეოეკონომიკური სამყარო), თანახმად რუსული დიასპორები უნდა გაერთიანდნენ, მათ შორის, მაღალ ტექნოლოგიებში მოღვაწე პირები. მათი მოსაზრებით, აღნიშნულ დიასპორებზე დაყრდნობით რუსეთი შეძლებს შეუერთდეს დასავლეთის მაღალტექნოლოგიურ და საფინანსო რესურსებს და ამით შეძლებს ინტეგრირებას დასავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცივილიზაციებთან, რაც გაამლიერებს რუსეთის როლს გლობალურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში;[3]

**გეოკულტურული სკოლა**. სერგეი გრადიროვსკი და ბორის მეჟუევი. მათ მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებით, ,,რუსული სამყაროს" ამოცანად უნდა იქცეს რუსეთის ინტეგრაცია მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე იმ ქვეყნებთან, რომლებიც ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარეობს. მათი მოსაზრებით, რუსეთმა უნდა შექმნას ისეთივე საზოგადოება, რა პრინციპებზე დაყრდნობითაც შეიქმნა ბრიტანელ ხალხთა გაერთიანება, ან იბერიულ-ამერიკულ სახელმწიფოთა გაერთიანება ან ფრანკოფონული ერების გაერთიანება.[4]

ასევე არსებობს მეოთხე იდეოლოგიაც, რომლის თანახმადაც ,,რუსული სამყარო" პოზიციონერებს, როგორც მართლმადიდებლური ცივილიზაცია, სახელად ,,Святой Руси'' (წმინდა რუსეთი) და სადაც რუსეთთან ერთად განიხილავენ ბელორუსიას, უკრაინას და მოლდოვას.

,,რუსული სამყაროს" საბოლოო აღიარება და ,,რბილი ძალის'' ერთერთ მოქნილ იარაღად გარდაქმნა, საბოლოოდ რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის იდეოლოგიისადმი დიდ ინტერესის გამოვლენის შემდგომ მოხდა. 2006 წლის ბოლოს პუტინმა სანკტ-პეტერბურგში რუსეთის ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ,,რუსული სამყაროს" იდეოლოგიას შეუძლია და ამიტომ უნდა გააერთიანოს ყველა ის ინდივიდი, ვისთვისაც ძვირფასია რუსული სიტყვა და რუსული კულტურა, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ისინი. მან ასევე სთხოვა საზოგადოებას, რომ რაც შეიძლება ხშირად გამოეყენებინათ თავიან ლექსიკონში სიტყვა ,,რუსული სამყარო".[5]

მოგვიანებით, 2007 წელს რუსეთის ფედერაციის კრებაზე პრეზიდენტმა თავის ყოველწლიურ მიმართვაში განაცხადა: ,,მიმდინარე წელს, რომელიც რუსული ენის წლად არის გამოცხადებული, გვეძლევა იმის მიზეზი, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: რუსული ენა - ესაა ხალხთა ისტორიული ძმობისა და მართლაც რომ საერთაშორისო ურთიერთობების ენა. იგი არა მხოლოდ ჭეშმარიტად მსოფლიო მიღწევების შემნახველ სკივრს წარმოადგენს, არამედ არის მრავალმილიონიანი ,,რუსული სამყაროს" ცოცხალი სივრცე, რომელიც, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდია, ვიდრე თავად რუსეთი".[6] და ბოლოს 2007

---

1 Данилевский Н. Я. Россия и Европа: Взгляд на культурные и политические отношения Славянского мира к Германо-Романскому. 1995.

2 Вячеслав Никонов. СМЫСЛЫ И ЦЕННОСТИ РУССКОГО МИР.. Не воспоминание о прошлом, а мечта о будущем. Москва 2010 г.

3 Вячеслав Никонов. СМЫСЛЫ И ЦЕННОСТИ РУССКОГО МИР.. Не воспоминание о прошлом, а мечта о будущем. Москва 2010 г.

4 Вячеслав Никонов. СМЫСЛЫ И ЦЕННОСТИ РУССКОГО МИР.. Не воспоминание о прошлом, а мечта о будущем. Москва 2010 г.

5 https://russkiymir.ru/fund/press/189507/.

6 http://kremlin.ru/acts/.

წლის 21 ივნისის გამოიცა N796 ბრძანება, რომლითაც პრეზიდენტმა დაარსა ფონდი ,,რუსული სამყარო".[7]

**ფონდის მიზანი**: რუსული ენის, როგორც ეროვნული სიმდიდრისა და რუსულ და მსოფლიო კულტურაში მნიშვნელოვანი ელემენტის პოპულარიზაცია, ასევე რუსული ენის შესწავლის მხარდაჭერა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.[8]

,,რუსული სამყაროს'' ფონდის დამფუძნებლები არიან:

- საგარეო საქმეთა სამინისტრო.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

,,რუსული სამყაროს" ფონდი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სამეურვეო საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი.

## იდეოლოგია

,,რუსული სამყარო" ეს არ არის მხოლოდ რუსეთი, და არ არის მხოლოდ რუსები ასევე ეს არ არის მხოლოდ ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ, ემიგრანტები და მათი შთამომავლები. ესენი ასევე არიან უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც მეტყველებენ რუსულ ენაზე, სწავლობენ ან ასწავლიან რუსულ ენას, ეს არის ყველა, ვისაც გულწრფელად აინტერესებს რუსეთი და ვისაც აინტერესებს რუსეთის მომავალი.[9]

## რუსული ფონდის მისიის მნიშვნელოვანი ასპექტები:

1. ''საზოგადოებრივი და არაკომერციული ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა, სადაც მიმდინარეობს რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლა, სწავლების მეთოდებისა და პროგრამების კვლევა და განვითარება, რუსეთის ძველი თუ უახლესი ისტორიის შესწავლა;
2. თანამედროვ რუსეთისა და მისი თანამოქალაქეების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა და, ამაზე დაყრდნობით, საერთაშორისო საზოგადოებაში დადებითი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და კეთილგანწყობის მოპოვების მხარდაჭერა;
3. რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა გაერთიანებების მხარდაჭერა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
4. თანამშრომლობა რუსულ, უცხოურ და საერთაშორისო საჯარო, სამეცნიერო, კომერციულ, არაკომერციულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუტებსა და სხვა ასოციაციებთან რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით;
5. საზღვარგარეთ რუსული დიასპორების საქმიანობის ხელშეწყობა კულტურული იდენტობისა და რუსული ენის, როგორც ინტერეთნიკური კომუნიკაციის საშუალების, შენარჩუნების მიზნით, ასევე ეთნოსთაშორისი პატივისცემისა და მშვიდობიანი კლიმატის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
6. რუსული საგანმანათლებლო პროგრამების საზღვრებს მიღმა პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
7. ფონდის მიზნებისთვის საჭირო საექსპორტო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსების გაცვლის მხარდაჭერა;
8. ფონდის მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული უცხოური, რუსულენოვანი და რუსული მედიის მხარდაჭერა, ასევე საინფორმაციო რესურსების მობილიზება;
9. რუსული ხელნაწერების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ძალისხმევის მხარდაჭერა;
10. რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით თანამშრომლობა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სხვა კონფესიებთან.''[10]

## ,,რუსული სამყაროს'' იდეოლოგია საქართველოში

,,რუსული სამყაროს" ფონდის 2020 წლის ანგარიშის ხედვით, ფონდს მსოფლიოს 52 ქვეყანაში 119 მოქმედი ცენტრი აქვს გახსნილი, რომელთაგან ყველაზე მეტი (47 ცენტრი) ევროპაში ფუნქციონირებს.[11] რათქმაუნდა გამონაკლისი საქართველოც არ არის.

განვიხილოთ ის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობით მხარს უჭერენ ,,რუსული სამყაროს" ფონდს ან ან არიან ღნიშნული ფონდის წარმომადგენლები. ,,რუსული სამყაროს" ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოდან პარტნიორთა ჩამონათვალში 46 ორგანიზაცია თუ

7 https://russkiymir.ru/fund/.
8 https://russkiymir.ru/fund/USTAV_2022.pdf.
9 https://russkiymir.ru/fund/.
10 ზურაბ ზერეკიძე ,,რუსული სამყარო" და ,,რბილი ძალის" ელემენტები. სამაგისტრო ნაშრომი ქ. თბილისი 2019.
11 https://russkiymir.ru/fund/docs/report2020.pdf.

ინდივიდუალური პირია მოხსენიებული.[12] მათ შორის საზოგადოებრივი აქტივობებით გამოირჩევა ხუთი ორგანიზაცია, რომლებიც ძირთადად კრემლის პოლიტიკურ და საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებებში ღებულობენ მონაწილეობას. ესენია: საქართველოში რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირი ,,ოტჩიზნა", ,,საქართველოში სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი", ,,საქართველოში რუს ახალგაზრდათა კავშირი", საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი ,,რუსული კლუბი" და ვადიმ გეჯაძის გამომცემლობა.

საქართველოში რუს თანამემამულეთა საერთაშორისო კავშირი ,,ოტჩიზნა" 2004 წლიდან არსებობს, ოფიციალურად ,,ოტჩიზნა'' 2016 წელს დარეგისტრირდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინიტროს პატრონაჟით ეწევა ისედ ღონისძიებებს როგორიცაა: სამედიცინო დახმარება, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების გაგზავნა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა.[13]

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოში სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი", რომელსაც ორგანიზაციის დასახულ მიზანში გაწერილი აქვს: ,,მომმე ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება".[14]

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოში რუს ახალგაზრდათა კავშირი" 2015 წლიდან აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ღონისძიებებში. ორგანიზაციის მოღვაწეობის სფეროს ძირითადი მიმართულებაა რუსული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია.[15]

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ,,რუსული კლუბი" რომელიც საქართველოში 2003 წლიდან მოღვაწეობს. მისი მიზანია საქართველოსა და რუსეთს შორის ყოვლისმომცველი სულიერი კავშირების განვითარება, მეგობრობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე.[16]

და კიდევ ერთი გამორჩეული ორგანიზაცია "ევრაზიის ინსტიტუტი" საქართველოში არსებულ იმ ორგანიზაციებს შორისაა, რომლებიც პრორუსული ორიენტაციით გამოირჩევიან. „ევრაზიის ინსტიტუტი" 2009 წელს გულბაათ რცხილაძემ და გიორგი ვეკუამ დააფუძნეს. როგორც ინსტიტუტის დამფუძნებლები საკუთარი მოღვაწეობის ამსახველ ანგარიშში აღნიშნავენ, 2008 წელს არსებობდა ინტერნეტ ფორუმი სახელწოდებით "**პოლიტფორუმი**", რომელსაც გულბაათ რცხილაძე ხელმძღვანელობდა. ის ერთ-ერთი გამოცემა იყო საქართველოში, რომელიც საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას პირდაპირ ადანაშაულებდა რუსეთის წინააღდეგ ომის დაწყებაში.[17] ასევე აღნიშნული ორგანიზაციას. და მის დამაარსებელს აქვს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი კავშირები ისეთ ანტიდასავლურ და პრორუსულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი", „სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისთვის", „ევრაზიული არჩევანი", „კავკასიური თანამშრომლობა" , „ერეკლე მეორის საზოგადოება" და სხვა.

ასევე საყურადღებოსა საქართველოს მედიასივრცეში არსებული სიტუაცია, საქართველოს მედიაში არსებული მდგომარეობა. მედიასივრცეში ,,რუსული სამყაროს" ღონისძიებების მხარდამჭერი და კრემლის პოლიტიკის აქტივობებში წინა წლების მსგავსად, ძირითადად ხუთ მედიასაშუალებამ გაავრცელა: გაზეთი და ონლაინ გამოცემა საქართველო და მსოფლიო, რომლის გამომცემელიც პრეზიდენტმა პუტინმა სპეციალური ორდენით დააჯილდოვა; ტელეკომპანია Obiqtivi, რომელიც დაკავშირებულია კრემლის მომხრე პოლიტიკურ პარტიასთან პატრიოტთა ალიანსთან; გაზეთები ასავალ-დასავალი და ალია იცავს სიძულვილით აღსავსე და დისკრიმინაციულ სარედაქციო პოლიტიკას; და საქინფორმის მქონე ინსტიტუციონალური და კონტენტზე დაფუძნებული კავშირი საქართველოსა და მსოფლიოსთან.[18]

## დასკვნა

როგორც ვხედავ რუსეთი ფედერაცია თავისი მიზნების მისაღწევად ,,ხისტი ძალის'' გვერდით საკმაოდ კარგად და ეფექტურად იყენებს ,,რბილ ძალასაც'' ხოლო ,,რუსული სამყაროს" კონცეფცია აქტიურ როლს თამაშობს და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

ფონდი ,,რუსული სამყარო" სხვადასხვა ქვეყანაში რუსული საზოგადოებრივი აქტივების მობილიზებას ახდენს და ამ „ბერკეტებით" მეზობელ სახელმწიფოების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს.

ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, რომელიც შეზღუდული თავისი მცირე რესურსებით უჭირს მსგავს ძალასთან დაპირისპირება. აუცილებელია მთლიანად საზოგადოების მობილიზება მსგავს პრობლემებთან დასაპირისპირებლად ხოლო სახელმწიფოს მხრიდა საზოგადოებისადმი სრული მხარდაჭერა და სწორი მესიჯების მიცემა.

12 მარიამ პატარიძე. ,,რუსული სამყარო'' საქართველოში. მედიის განვითარების ფონდი 2019.
13 https://www.facebook.com/profile.php?id=100063982420243.
14 https://www.facebook.com/slavyanskiy.kongress.
15 https://www.radiotavisupleba.ge/a/31921000.html.
16 http://russianclub.ge/content/view/13/38/.
17 http://damoukidebloba.ge/c/news/evraziis_instituti_da.
18 თამარ კინწურაშვილი, Anti-Western Propaganda. MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION.2019.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. თამარ კინწურაშვილი, Anti-Western Propaganda. MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION. 2019 წ;
2. მარიამ პატარიძე. ,,რუსული სამყარო'' საქართველოში. მედიის განვითარების ფონდი 2019 წ;
3. Данилевский Н. Я. Россия и Европа: Взгляд на культурные и политические отношения Славянского мира к Германо-Романскому. 1995 г;
4. Вячеслав Никонов. СМЫСЛЫ И ЦЕННОСТИ РУССКОГО МИР.. Не воспоминание о прошлом, а мечта о будущем. Москва 2010 г;
5. https://russkiymir.ru/fund/press/189507/;
6. http://kremlin.ru/acts/;
7. https://russkiymir.ru/fund/;
8. https://russkiymir.ru/fund/USTAV_2022.pdf;
9. https://russkiymir.ru/fund/;
10. https://russkiymir.ru/fund/docs/report2020.pdf;
11. https://www.facebook.com/profile.php?id=100063982420243;
12. https://www.facebook.com/slavyanskiy.kongress;
13. https://www.radiotavisupleba.ge/a/31921000.html;
14. http://russianclub.ge/content/view/13/38/;
15. http://damoukidebloba.ge/c/news/evraziis_instituti_da.

# „თანამედროვე ტექნოლოგიები და ინფორმაციის მართვა“

**პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში კაცობრიობის მთავარ გამოწვევად რჩება ტერორიზმი და ასიმეტრიული ომები. იმისათვის რათა ისეთი მცირე ქვეყნები როგორც საქართველოა გაუმკლავდნენ ამ გამოწვევებს საჭიროა კარგად აღჭურვილი, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და სათანადოდ გაწვრთნილი მობილური და ეფექტური შეიარაღებული ძალები, რათა შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობისას მიღწეული იქნას სასურველი საბოლოვო შედეგი. აღნიშნული წარმატების მისაღწევად კი საჭიროა შეიარაღებული ძალები აკმაყოფილებდეს რამდენიმე აუცილებელ კრიტერიუმს. ნაშრომში შევეცდები განვიხილო და გავაანალიზო ეფექტური ომის წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები როგორიც არის სპეციალური ოპერაციის ძალები (სოძ). აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება სოძ-ის ძლიერი და სუსტი მხარეები და ამ მსჯელობის საფუძველზე შევეცდები გამოვკვეთო ის უპირატესობები რაც სოძ-ს გააჩნია ომიანობის და მშვიდობიანობის დროს. ნაშრომში ასევე განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს როგორიც არის მართვა და კონტროლი და ინფორმაციული გადატვირთვის შედეგებს ამ პროცესის დროს. დამატებით შევეხები ისეთ მნიშვნელოვან თანამედროვე შეიარაღების ქონის აუცილებლობას როგორებიც არის უპილოტო საფრენი აპარატები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები.

**საკვანძო სიტყვები:**
ინფორმაციული გადატვირთვა, დაზვერვა, სპეციალური ოპერაციის ძალები, ჰიბრიდული ომი, მართვა და კონტროლი.

# “Modern Technologies and Information Management”

**Colonel Giorgi Laghiashvili**
Head of the Scientific Research Center
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctoral Student of the Department of Law and International Relations of
Georgian Technical University

## Abstract

Terrorism and asymmetric warfare remain to be the biggest challenges of mankind in the modern world. In order to meet these challenges by small nations like Georgia, there is an urgent need for well-equipped and properly trained mobile and capable armed forces that will be based on advanced technologies to achieve the desirable end result when armed conflicts arise. To attain success, the armed forces should meet certain necessary criteria. The paper will discuss as well as analyze the essential components for effective conduct of war such as Special Operations Forces (SOF). The present paper considers both the strengths and weaknesses of Special Operations Forces, and based on this judgment, it will identify all the advantages the SOF have in times of war and peace. The article also discusses important elements such as command and control and information overload throughout the process. In addition, it will focus on the need of having important advanced weapon systems such as unmanned aerial vehicles, air-defence assets and anti-tank assets.

**Keywords:**
Information overload, Intelligence, Special Operations Forces, Hybrid warfare, Command and control.

# შესავალი

**კვლევის ჰიპოთეზა**:

პატარა ქვეყნებისთვის რომელთაც გააჩნიათ მთაგორიანი რელიეფი და პატარა და მოქნილი თავდაცვის ძალები, შეიარაღებულ კონფლიქტებში წარმატების მისაღწევად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური შეიარაღების და აღჭურვილობის ქონა.

**საკვლევი კითხვები**:

- რომელი შეიარაღება არის უფრო ეფექტური მთაგორიან რელიეფში ბრძოლისთვის?
- რამდენად ხელმისაწვდომია აღნიშნული შეიარაღება პატარა და დაბალ ბიუჯეტიანი ქვეყნებისთვის?
- რომელი ქვედანაყოფები არიან უფრო ეფექტური მთაგორიან რელიეფზე ბრძოლის დროს?
- რამდენად მნიშვნელოვანია სწორი, საჭირო და დროული ინფორმაციის ფლობა ომში წარმატების მისაღწევად?

**სპეციალური ოპერაციების ძალები**:

ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უპირველესი მიზანია ეროვნული პოლიტიკის გატარების საფუძველზე ქვეყნის ეროვნული სტრატეგიული ინტერესების ნებისმიერი საფრთხისგან დაცვა.[1] ერთერთი მთავარი გამოწვევა თანამედროვე მსოფლიოში არის ასიმეტრიული ბრძოლის ტაქტიკა, რომლის წინასწარ პროგნოზირება და რომელიმე დოქტრინული მოდელის საფუძველზე მისი ტაქტიკის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. ასიმეტრიული ომის ტაქტიკა ძირითადად დამყარებულია არაპირდაპირ და ასიმეტრიულ მიდგომებზე, თუმცა ამგვარი ომის წარმოებისას შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებული იქნას სრული სპექტრის ოპერაციები მოწინააღმდეგის ძალაუფლების და ინიციატივის შემცირების მიზნით. ბოლო დროინდელი თანამედროვე კონფლიქტების შედეგად გამოიკვეთა, რომ ქვედანაყოფი, რომელსაც შესწევს უნარი უპასუხოს ამგვარი ომის წარმოების ტაქტიკას და მცირედი დანაკარგით შეასრულოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დავალებები არის სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფები. იგი არის მცირე კარგად გაწვრთნილი, მობილური და მოქნილი ქვედანაყოფი, რომელსაც დიდი ზიანის მიყენება შეუძლია მოწინააღმდეგისათვის. აღნიშნული ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ დამტკიცდა ჯერ ყარაბაღის მეორე 44 დღიან ომის დროს და მოგვიანებით უკრაინა რუსეთის ომის დროს რომელიც უკვე მეცხრე თვეა გრძელდება. სპეცდანიშნულების ძალები ძირითადად კომპლექტდება სხვადასხვა გვარეობის ძალებიდან სპეციალურად შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული კომპეტენციები და განსხვავებული ისტორია.[2] სპეცოპერაციის ძალები არის ყველაზე გამოცდილი და პროფესიონალური ქვედანაყოფი პირდაპირი მოქმედების ოპერაციების განსახორციელებლად. იგი დახელოვნებულია ისეთი ოპერაციების წარმოებაში როგორიც არის „მოკლე ხანგრძლივობის დარტყმები და სხვა მცირე ზომის შეტევითი მოქმედებები რომლებიც ტარდება სპეცოპერაციის სახით მტრულ, უარყოფილ ან დიპლომატიურად მგრძნობიარე გარემოში. იგი იყენებს რა სპეციალიზებულ სამხედრო აღჭურვილობასა თუ შესაძლებლობებს შეუძლია ისეთი ოპერაციების შესრულება როგორებიც არის: ჩასაფრება, რეიდი, მნიშვნელოვანი სამიზნეების განადგურება, მნიშვნელოვანი პირების განთავისუფლება-ხელში ჩაგდება, ურბანული ოპერაციების წარმოება, ლოგისტიკური მომარაგების პუნქტებზე და სამეთაურო პუნქტებზე თავდასხმა და სხვა...[3] სამყარო იცვლება, ტექნოლოგიები ვითარდება, შესაბამისად 21-ე საუკუნეში კონფლიქტები და საბრძოლო მოქმედებები განიცდის ტრანსფორმაციას. თანამედროვე ომებში ჩვენ ნაკლებად გვხვდება ეგრეთწოდებული ძალა-ძალზე მოქმედებები ან ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციები. „სამყარო კვლავ რჩება სახიფათო ადგილად, იგი სავსეა ავტორიტარული რეჟიმებით, უმართავი არა მართული ტერიტორიებით, ტერორისტული ორგანიზაციებითა და კრიმინალური დაჯგუფებებით, რომელთა ერთობლივი გავლენა ადამიანებზე ახანგრძლივებს მათ ტანჯვას“.[4] სპეცდანიშნულების ძალების კიდევ ერთი უპირატესობაა, რომ მას შეუძლია იმოქმედოს სწრაფად ცვალებად გარემოში და თავდასხმები განახორციელოს დროში სენსიტიურ სამიზნეებზე.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს სპეცდანიშნულების ძალების პრიოლიტეტულობას და აძლევს უპირატესობას სხვა გვარეობის სამხედრო ძალებთან შედარებით, არის ის, რომ მისი მცირე რიცხოვნობიდან და მობილურობიდან გამომდინარე მას არ სჭირდება დიდი ფინანსური რესურსები. სპეცდანიშნულების ძალები არის თავდაცვის არსენალის ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიური და ეფექტური ელემენტი. სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები არიან მომწიფებული და მაღალკვალიფიციური, ისინი შერჩეულნი არიან და გაწვრთნილნი არიან ბრძოლის ველზე მოქმედებისთვის ძალიან მცირე რაოდენობით, იქნება ეს ცალმხრივი მისიების განხორციელება თუ უცხოელ პარტნიორებთან ერთად.[5]

ზოგიერთი სამხედრო ექსპერტის მტკიცებით, თანამედროვე ომებსა და თანამედროვე სამხედრო სამყაროში არის ბევრი მაღალტექნოლოგიური სამხედრო ტექნიკა, რომლებმაც მომავალში შესაძლებელია შეცვალოს და ჩაანაცვლოს სპეცდანიშნულების ძალები. მაგრამ ალბათ არავისთვისაა სადავო,

1 Samuel P. Huntington, “National policy and the Transoceanic Navy,” (U.S. Naval Institute Proceedings 80, no. 5 May 1954): 483.

2 Linda Robinson, “The Future of U.S. Special Operations Forces,” (Council Special Report No. 66 April 2013): 5.

3 ADRP 3-05 Special Operations” (Headquarters Department of the Army Washington, DC, 31 August 2012): glossary 5, 87.

4 ADRP 3-05 Special Operations” (Headquarters Department of the Army Washington, DC, 31 August 2012): glossary 5, 87.

5 Linda Robinson, “The Future of U.S. Special Operations Forces,” (Council Special Report No. 66 April 2013): 5.

რომ ადამიანები თავისი ადამიანური თვისებებით და ურთულეს დროს მორალურად სწორი გადაწ-ყვეტილებების მიღების უნარით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე აპარატურა ან რობოტები. ადამიანის ბუნება და სწორ დროს სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი კონკრეტული სიტუაციიდან გამომ-დინარე უდავოდ უკონკურენტოდ ტოვებს რობოტიზირებულ ტექნოლოგიებს. ეს შესაძლებელია გამოიხატებოდეს ძალის არ გადამეტებაში როცა ეს არ არის საჭირო, ან და უფრო დიდი მიზნისთვის მსხვერპლშეწირვის გაღების უნარში და სხვა... ყველა ეს უპირატესობა სპეცოპერაციის ძალებს პოლი-ტიკოსებისთვის კომფორტულ და მძლავრ ინსტრუმენტად აქცევს, რომელსაც ისინი ალბათ ვერასოდეს შეელევიან. დადებითი მხარეების გარდა სპეცდანიშნულების ძალებს გააჩნია უარყოფითი მხარეებიც, ისეთი მაგალითად როგორიცაა სპეცდანიშნულების მებრძოლის დროში გაწელილი და მრავალ ხნიანი მომზადება. გამომდინარე იქიდან რომ სპეცდანიშნულების მებრძოლების მომზადებას მიაქვს უამრავი წლები ეს ართულებს ცოცხალ ძალაში დანაკარგების სწრაფად ჩანაცვლებას. კიდევ ერთი უარყოფითი მხა-რე არის ის, რომ არ შეიძლება სპეცდანიშნულების ძალების გრძელ ვადიან საბრძოლო დავალებებზე გაგ-ზავნა. სპეცდანიშნულების ძალების დიდი ხნით საბრძოლო თეატრში განლაგება ფიტავს მათ და აძლევს მოწინააღმდეგეს საშუალებას შეისწავლის მათი დღის განრიგი, ტაქტიკა, ტექნიკა და პროცედურები, რის შედეგადაც სპეციალური ქვედანაყოფი კარგავს ეფექტიანობას. წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპეცდანიშნულების ძალები ყოველთვის იყვნენ კარგ კონდიციაში რათა მათ შეძლონ მოულოდნელი და სწრაფი დავალებების შესრულება.

დამატებითი დადებითი მხარე რაც სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებს შეიძლება გააჩნდეს არის ის გარემოება, რომ სპეცდანიშნულების მებრძოლის ზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგაც კი შესაძლებელია მათი გამოყენება. ეს შესაძლოა იყოს სხვადასხვა საწვრთნელ და გადამზადების ცენტრებში ინსტ-რუქტორების პოზიციაზე დასაქმებით, ან ტექნოლოგიურ კვლევით ცენტრებში სხვადასხვა ინოვაციური აღჭურვილობის და შეიარაღების გამოცდის კუთხით.

**აღჭურვილობა და შეიარაღება**:

თანამედროვე ომებში გამარჯვების მოსაპოვებლად დიდ როლს თამაშობს თანამედროვე აღჭუ-რვილობა და შეიარაღება. ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოლო დროინდელი ომები, ყარაბაღის მეორე ომი და რუსეთ უკრაინის ომი. ყველა ომი გამოირჩევა თავისი თვისებებით და გან-სხვავებული ტაქტიკური თუ ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია. ეს დამოკიდებულია პირველ რიგში რელიეფზე და იმ ძალების შეიარაღების თანამედროვეობაზე რომლებიც უპირისპირდებიან ერთმანეთს. ნებისმიერი ქვეყანა რომელიც აკეთებს სამხედრო აღჭურვილობის და შეიარაღების შესყიდვას პირველ რიგში აფასებს პოტენციური მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობებს და იმ რელიეფს და გარემო პირობებს სადაც სავარაუდოთ მოუწევს მოქმედება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნები რომელთაც გააჩნიათ მწირე რესურსები და პატარა მაგრამ მობილური შეიარაღებული ძალები ძირითადად კონცენტრირებულები არ-იან თავდაცვით ოპერაციებზე და შესაბამისად საკუთარი თავდაცვის ძალებს აიარაღებენ და აღჭურვავენ შესაბამისი თავდაცვითი აღჭურვილობით და შეიარაღებით. საქართველოში განვითარებულმა ბოლო დროინდელმა მოვლენებმა, ნაგულისხმევია 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომი და შემდგომში ყარა-ბაღის მეორე ომმა, რელიეფური მსგავსებიდან გამომდინარე გამოკვეთა შემდეგი შეიარაღების პრიო-რიტეტები:

- საჰაერო თავდაცვის სისტემები
- უპილოტო საფრენი აპარატები
- ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება
- თვითმავალი არტილერია

საჰაერო თავდაცვის სისტემები აუცილებელია რათა მოწინააღმდეგეს შეეზღუდოს ჰაერში ბატონობა და მიეცეს საკუთარ ძალებს საშუალება იმოქმედოს გაბედულად და ეფექტურად. უპილოტო საფრენი აპარატები ამცირებს საკუთარი ჯარების ცოცხალ ძალის დანაკარგს, საშუალებას იძლევა მოწინააღმდეგეს დარტყმა მიაყენო ფრონტის სიღრმეში და ზურგში, ასევე მოულოდნელობის ფაქტორიდან გამომდინარე დემორალიზებას და პანიკას იწვევს მოწინააღმდეგის პირად შემადგენლობაში. ტანკსაწინააღმდეგო შე-იარაღება ყველაზე ეფექტურია ტანკებთან ბრძოლის დროს. ახალი თაობების ომებში სატანკო დუე-ლები ჩაანაცვლა ისეთი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღების გამოყენებამ როგორიცაა „ჯაველინი“. იგი გაცილებით იაფია ტანკზე, საჭიროებს ორჯერ ნაკლებ პირად შემადგენლობას და უფრო ეფექტურია. მის 2 კაციან გათვლას შეუძლია შეუმჩნევლად გადაადგილება და მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკის დაზიანება როგორც ჩასანგრებული ასევე შენიღბული პოზიციებიდან. თანამედროვე ბრძოლებში ომის 70% მოდის საარტილერიო დუელებზე. აქედან გამომდინარე მობილური და თვითმავალი არტილერიის ყოლა აუცილებელია ომში წარმატების მისაღწევად. თვითმავალ არტილერიას შეუძლია მოწინააღმდეგის პოზიციების დაზიანება და დროის უმცირეს მონაკვეთში საკუთარი პოზიციების შეცვლა რათა ვერ აღმო-აჩინოს მოწინააღმდეგის ანტისაარტილერიო რადარებმა.

**მართვა და კონტროლი და ინფორმაციული გადატვირთვა**:

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მისაღებად უამრავი წყარო და საშუალება არსებობს. ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემები და სირთულეები ინფორმაციის მართვაში აღარ ეხება მხოლოდ მდიდარი ელიტას, არამედ არის პრობლემაა რომელიც თითქმის ყოველ დღიურად ყველა ჩვენთაგანი

აწყდება.[6] სოციალური მედია, ელ. ფოსტა, ვებ-გვერდები, მობილური აპლიკაციები და ა.შ. ეს ყველაფერი ყოველდღიურ რეჟიმში გვაწვდის მონაცემებს ჩვენს ცხოვრებაში. ამ ყველაფრის გამო ბევრი ორგანიზაცია მშვიდობიან პერიოდში აწყდება ისეთ პრობლემას რომელსაც „Information overload“ ინფორმაციული გადატვირთვას უწოდებენ. ეს საკითხი ასევე პრობლემატურია ომიანობის დროსაც. იგი ხელს უშლის სამხედრო გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და განსაკუთრებით კი ბრძოლის ველზე მოქმედ მეთაურებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ალბათ უდავოა, რომ თანამედროვე ციფრულ სამყაროში სადაც ყოველდღიურად კონცენტრირდება უზარმაზარი გადაუმუშავებელი ინფორმაციათა ნაკადი ეს პროცესი უფრო რთულდება. ტერმინი „ინფორმაციული გადატვირთვა“ შემოიღო ჰანტერ კოლეჯის პოლიტიკური მეცნიერების პროფესორმა ბერტრამ გროსმა 1964 წელს თავის ნაშრომში - ორგანიზაციათა მართვა. თუმცა, მისი პოპულარიზაცია მოახდინა ამერიკელმა მწერალმა ელვინ ტოფლერმა თავის წიგნში “მომავლის შოკი” 1970 წელს.[7]

სადაზვერვო ინფორმაცია უნდა იყოს დროული, ზუსტი და მიზან მიმართული. ზოგიერთი ინფორმაცია დროში სენსიტიურია და გარკვეული დროის შემდეგ კარგავს თავის მნიშვნელობას. ამის გამო ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის კატეგორიზაცია და დახარისხება დროის მიხედვით. სხვადასხვა წყაროებიდან და საშუალებებიდან ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, საინფორმაციო ბანკში ჩნდება უამრავი მონაცემი. დამუშავებისა და ექსპლუატაციის შემდეგ, მონაცემები ვიწროვდება და გარდაიქმნება ინფორმაციად. შემდეგ ინფორმაცია გაივლის ანალიზსა და წარმოების საფეხურს და შევიწროვდება კონკრეტულ სადაზვერვო ინფორმაციამდე. ასეთი გადამუშავებული და გადამოწმებული ინფორმაცია კი მიეწოდება ინფორმაციის დამკვეთ ორგანიზაციებს თუ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს.




სურ.1

ასეთივე ციკლს გადის ინფორმაცია სამხედრო გადაწყვეტილების პროცესამდე. მეთაური ბრძოლის დაწყებამდე განსაზღვრავს „მეთაურის მოთხოვნა კრიტიკულ ინფორმაციაზე“ ჩამონათვალს (CCIR), რომელიც შედგება პრიორიტეტული სადაზვერვო მოთხოვნებისგან (PIR), რომელიც მოიცავს ინფორმაციას მტრის ძალების შესახებ და მეგობრული ძალების ინფორმაციის მოთხოვნებისგან (FFIR), რომელიც მოიცავს ინფორმაციას საკუთარი ძალების შესახებ. ამ პროცესით მეთაური ეხმარება დაქვემდებარებულ შტაბებს, რითაც იგი ავიწროებს იმ ინფორმაციაზე მოთხოვნას და ახარისხებს პრიორიტეტების მიხედვით რომელიც მას სჭირდება სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. თავის მხრივ, მეთაურის ეს გადაწყვეტილება ეხმარება დაქვემდებარებულ შტაბებს და დაზვერვას რათა ისინი იყვნენ მაქსიმალურად კონცენტრირებული იმ კონკრეტული ინფორმაციის შეგროვებაზე, რომელიც იქნება დროული, მნიშვნელოვანი და რომელიც მეთაურს წარმატებამდე მიიყვანს.

**დასკვნები და რეკომენდაციები**:

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ბრძოლის დროს თუ მშვიდობიანობის დროს სხვადასხვა კრიზისული სიტუაციებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიების სწორად გამოყენებას. ყველა თანამედროვე ქვეყანა ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო დღის წესრიგს და ყოველთვის გადაამზადოს თავისი სახელმწიფო სტრუქტურები თუ შეიარაღებული ძალები თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე კრიზისულ სიტუაციებში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის სწორად და მიზანმიმართულად მართვას, ვინაიდან თუ გადაწყვეტილების მიმღები პირები ფლობენ სწორ და დროულ ინფორმაციას ეს ერთიორად ზრდის წარმატების შანსებს და სწორე გადაწყვეტილებებს შესაბამისად მოსდევს წარმატებული შედეგიც. ისეთ პატარა ქვეყნებს როგორიც საქართველოა სასიცოცხლოდ ესაჭიროება თანამედროვე სტანდარტების შეიარაღება-აღჭურვილობა. ასევე იმ გამოწვევების საპასუხოდ რაც რეგიონში საქართველოს გარკვეული საფრთხეების ქვეშ აყენებს დასახვეწია რიგი დოქტრინებისა და დოკუმენტებისა რაც დაეხმარება ქვეყანას საფრთხეების

6 Jorge Franganillo. Information Overload, Why it Matters and How to Combat It, 2018 y.: p.1.
7 Jorge Franganillo. Information Overload, Why it Matters and How to Combat It, 2018 y.: p.1

მინიმალიზაციაში და რეგიონში ლიდერი სახელმწიფოს პოზიციის დაბრუნებაში. შესაქმნელია სწორი და ეფექტური ინფორმაციის მართვის სისტემა, რომელიც უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სპეცსამსახურებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Jorge Franganillo. Information Overload, Why it Matters and How to Combat It, 2018 y.;
2. http://www.infogineering.net/understanding-information-overload.htm;
3. Joint Publication 2-01.3. Joint Intelligence Preparation of the Operational Environment. 21 May 2014 y. Wikipedia;
4. Jamie C.Gorman, Measuring team situation awareness in decentralized command and control environments, 2006 y.;
5. Michael W. Kometer, Lieutenant Colonel, USAF, Command in Air War Centralized versus Decentralized Control of Combat Airpower, Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama, June 2007 y.;
6. M. L. Cummings, Artificial Intelligence and the Future of Warfare, International Security Department and US and the Americas Programme January 2017 y.;
7. Robert Warren Button, Artificial Intelligence and the Military, September 7, 2017 y.;
8. Samuel P. Huntington, "National policy and the Transoceanic Navy," (U.S. Naval Institute Proceedings 80, no. 5 May 1954 y.);
9. Linda Robinson, "The Future of U.S. Special Operations Forces," (Council Special Report No. 66 April 2013 y.);
10. ADRP 3-05 Special Operations" (Headquarters Department of the Army Washington, DC, 31 August 2012 y.);
11. Colonel Bernd Horn" NO ORDINARY MEN" (Special Operations Forces Missions in Afghanistan 2014 y.);
12. Robert G. Spulak, Jr Theory of special operation, the origin qualities and use of SOF (JSOU report 07-7, October 2007 y.);
13. Special operation component command manual (NATO special operation headquarters 20 October 2014 y.);
14. James Kiras, Rendering the Mortal Blow Easier: Special Operations and the Nature of Strategy, Ph.D. thesis, University of Reading, July 2004, pp. 8-9. See also his subsequent book based on the thesis, Special Operations and Strategy (New York: Routledge, 2006 y.);
15. Colin Gray, Explorations in Strategy (Westport, CT: Praeger, 1996 y.);
16. General Peter J. Schoomaker, "The Special Operations Team," Armed Forces Journal International, February 1998 y.;
17. https://armadainternational.com/2017/08/special-effects-sof/ "Special Effects" By Andrew White - August 10, 2017.y..

# საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევები

**ვიცე-პოლკოვნიკი ნატალია ხულორდავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

კიბერსაფრთხე წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. საინფორმაციო ტექნოლოგიების ერაში საბრძოლო არეალი მოიცავს არა მხოლოდ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო კომპონენტებს, არამედ მას დაემატა - კიბერსივრცეც. კიბერსივრცე არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული ზღვრებში, ეს კი კიბერსივრცი გამოწვევებს მასშტაბურ ხასიათს სძენს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოს მიმართ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევის კონკრეტული მაგალითები, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ზარალის გამოწვევა შეუძლია აღნიშნულ ქმედებებს.

ასევე, ის მოსალოდნელი კიბერსაფრთხეები, რომლებიც შესაძლოა მომდინარეობდეს ისეთი აქტორებისაგან, როგორებიც არიან: მაღალგანვითარებული კიბერშეტევითი პოტენციალის მქონე ქვეყნები, ტერორისტული ორგანიზაციების კიბერდანაყოფები და ფინანსურად მოტივირებული კიბერდამნაშავეები.

კიბერთავდასხმები არის რთულად კონტროლირებადი საფრთხე, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ერთობას, საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობას და ეფექტური თავდაცვითი მექანიზმების ჩამოყალიბებას.

**საკვანძო სიტყვები:**
კიბერუშიშროება, კიბერსივრცე, კიბერომი, კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები.

# Large-Scale Cyber Attacks Against Georgia

**Lieutenant Colonel Natalya Khulordava**
Doctoral student of the International Relations Program of
Technical University of Georgia

## Abstract

Cyber threat is one of the most important problems of global politics. In the era of information technologies, the combat area includes not only air, land, and sea components, but also cyberspace. The fact that cyberspace is not bounded by specific boundaries, adds to the scale of the challenges inherent in cyberspace.

This work discusses specific examples of large-scale cyber-attacks against Georgia, and how significant losses can be caused by these actions.

Also, the expected cyber threats may come from actors such as countries with highly developed cyber offensive potential, cyber units of terrorist organizations, and financially motivated cyber criminals.

Cyber-attacks are a difficult-to-control threat, not only for Georgia but for the whole world. The fight against it requires unity, cooperation of the international community, and the establishment of effective defense mechanisms.

**Keywords:**
Cybersecurity, Cyberspace, Cyberwar, Treats in cyberspace.

## შესავალი

კიბერუშიშროება თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება კიბერსივრცეში არასანქცირებული შეღწევის რისკი. ჩვეულებრივი საომარი მოქმედებებისგან განსხვავებით კიბერომი წარმოადგენს უფრო დახვეწილ საშუალებას, რომლის დროსაც შეიძლება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებზე სტრატეგიულმა თავდასხმებმა გაცილებით დიდი ზიანი გამოიწვიოს.

კიბერთავდასხმის შეჩერება რთული ხდება, რადგანაც დროსთან ერთად კიბერთავდამსხმელები ცვლიან თავდასხმის წესებს.[1] თავისი პროდასავლური კურსის გამო საქართველო განსაკუთრებულ საფრთხეშია და ის კიბერშეტევების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნების კატეგორიაშია.[2]

საქართველო არაერთხელ გახდა კიბერშპიონაჟისა და სრულმასშტაბიანი კიბერთავდასხმის ობიექტი. კიბერდანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის ფაქტი, რომ ძალიან რთულია ზუსტად დაადგინო არამარტო უშუალო შემსრულებლები, არამედ მათი ადგილსამყოფელი ან ის ქვეყანა, საიდანაც შეტევა განხორციელდა. ამიტომაც, კიბერდამნაშავეს ან კიბერდამნაშავეთა ჯგუფს შეუძლია მარტივად დამალოს არამხოლოდ თავისი ჩართულობა კიბერშეტევის ორგანიზებაში, არამედ თავისი თავი დააფიქსიროს სულ სხვა ქსელის მომხმარებლად ან საერთოდ დარჩეს ანონიმურად.[3]

## ძირითადი ნაწილი

სანამ განვიხილავდით საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების მაგალითებს, ასევე აღსანიშნავია მოსალოდნელი კიბერსაფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოდიოდეს ისეთი აქტორებისგან, როგორებიცაა:

- მაღალგანვითარებული კიბერშეტევითი პოტენციალის მქონე ქვეყნები (რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სხვ.);
- ტერორისტული ორგანიზაციების კიბერდანაყოფები და იდეოლოგიურად მოტივირებული ან ექსტრემისტი ჰაკერები;
- არასახელმწიფო აქტორები: ფინანსურად მოტივირებულ კიბერდამნაშავეები.[4]

აღსაღნიშნავია, რომ ექსპერტთა თვალსაზრისით, ირანის და ჩინეთის მხრიდან განხორციელებული კიბერსაფრთხეები, საქართველოსთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის გამო, მინიმუმზეა დაყვანილი. თუმცა, უპირველეს ყოვლისა უნდა, გავითვალისწინოთ ჩინეთის, არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული კიბერშპიონაჟის ალბათობა. ხოლო ირანის ექსტრემისტულად განწყობილ ჰაკერებს კი რაც შეეხება, შესაძლოა მათი ინტერესი არ წარმოადგენდეს უშუალოდ საქართველოს, არამედ საქართველოში არსებული ისეთი სახელმწიფოების ინფრასტრუქტურა და მონაცემთა ბაზები, რომლებსაც საკუთარ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ (აშშ, NATO-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები).[5]

საქართველოს კიბერსივრცისთვის ყველაზე რეალური საფრთხის შემცველია რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე კიბერსაფრთხე. კრემლმა არათუ შეცვალა საკუთარი აგრესიული კიბერპოლიტიკა, არამედ მნიშვნელოვნად აამაღლა სახელმწიფოს კიბერშეტევითი პოტენციალი და გააფართოვა კიბეროპერაციების გამოყენების არეალი.[6]

ქვემოთ აღწერილი იქნება საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევის მაგალითები:

1. 2008 წელს, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო თავდასხმებთან ერთად, რუსეთის ფედერაციამ განახორციელა მიზანმიმართული და მასიური კიბერშეტევები საქართველოს წინააღმდეგ. ამ კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოებისთვის, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა. ეს კიბერშეტევა ბევრმა საერთაშორისო ექსპერტმა შეაფასა, როგორც „ინფორმაციული/კიბერ ომი“ საქართველოს წინააღმდეგ.[7]

- სამიზნეა საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და პარლამენტის ვებგვერდები, ასევე საინფორმაციო პორტალები (Apsny.ge, News.ge) და არაქართული ახალი ამბების საიტები, ფორუმები, რომლებიც საქართველოს მიმართ მეგობრულად არიან განწყობილნი (8 აგვისტოს თავდასხმა);

1 ი. ჯღარკავა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2021წ. გვ.12.

2 მ. მალვენიშვილი, ნ. ბალარჯიშვილი, კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში:არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები, თბილისი, 2020 წ.გვ.7.

3 ვ. სვანაძე, ა. გოცირიძე, კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო, თბილისი, 2015 წ. გვ.115.

4 ი. ჯღარკავა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2021 წ. გვ.8.

5 ი. ჯღარკავა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2021 წ. გვ.9.

6 იხ.იქვე.

7 ვ. სვანაძე, კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, 2015 წ. გვ.57.

- 9 აგვისტოს თავდასხმა განხორციელდა თიბისი ბანკზე, რომელიც იმდროისთვის ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკი იყო საქართველოში;

- 10 აგვისტოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდებზე კიბერშეტევის ახალი ტალღა განხორციელდა;

- 11 აგვისტოს კი სამთავრობო ვებსაიტების უმრავლესობა გათიშული იყო, გარდა პრეზიდენტის ვებსაიტისა. ამავე პერიოდში განხორციელდა თავდასხმა აღნიშნულ ადგილზე, სადაც ჰიტლერთან იდენტიფიცირებული იყო პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის ფაშისტური სიმბოლოები და ფოტოები;

- იგივე ტიპის თავდასხმა მოხდა ეროვნული ბანკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდებზე, სადაც მე-20 საუკუნის დიქტატორების ფოტოები გამოქვეყნდა.[8]

ზემოაღნიშნული კიბერშეტევები გახლდათ კიბერომის ერთ-ერთი პირველი აშკარა ფაქტი უახლეს ისტორიაში 2007 წელს ესტონეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ. ამ შემთხვევამ გამოიწვია გლობალური შიში იმ დამატებითი შესაძლებლობების შესახებ, რაც შეიძლება ახლდეს კიბერშეტევებს. ეს თავდასხმები არ იყო გამიზნული მხოლოდ ხალხის გასაკონტროლებლად, ისინი ასევე ცდილობდნენ ქართული სამხედრო დაზვერვის დოკუმენტაციის მოპარვასა და შეგროვებას.

კავკასიური ცენტრის ვერ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჰაკერული თავდასხმები რუსეთის მხრიდან აგვისტოს ომამდე 1 თვით ადრე დაიწყო. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ამერიკელი ექსპერტების სამონიტორინგო ჯგუფის შეფასების შემდგომ, რომელიც ასევე გაზეთ "The New York Times"-ში იყო გამოქვეყნებული.

2. 2011 წლის მარტში, კომპიუტერული უსაფრთხოების რეაგირების ჯგუფმა (CERT-Georgia) აღმოაჩინა კიბერშეტევის ინციდენტი, რომელიც არის კიბერჯაშუშობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითი. მავნე პროგრამა აგროვებდა სენსიტიურ, კონფიდენციალურ ინფორმაციას ქართული და ამერიკული უსაფრთხოების შესახებ.

კიბერჯაშუშობის შედეგად დაინფიცირდა შემდეგი ორგანიზაციები:

1) სამინისტროები;

2) პარლამენტი;

3) კრიტიკული ინფორმაციის ინფრასტრუქტურები;

4) ბანკები;

5) არასამთავრობო ორგანიზაციები.[9]

თავდამსხმელთა სერვერების და მავნე ფაილების გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ ეს კიბერშეტევა მომდინარეობდა რუსეთის უშიშროების სააგენტოდან. მავნე ფაილი სრულად აკონტროლებდა ინფიცირებულ კომპიუტერებს, იგი ეძებდა „სენსიტიურ სიტყვებს" დოკუმენტის ფაილებში და საჭირო ინფორმაციას გზავნიდა ადგილობრივი მყარი დისკიდან დისტანციურ სერვერზე, აკეთებდა ვიდეო და აუდიო გადაღებას მოწყობილობაში ჩაშენებული კამერისა და მიკროფონის გამოყენებით. მავნე პროგრამა ძალიან ჭკვიანურად იყო შექმნილი. დავირუსებული იყო საქართველოს ამბებთან დაკავშირებული სხვადასხვა ვებ-გვერდი, კონკრეტულად, ახალი ამბების გვერდები (მაგ. ნატოს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, აშშ-საქართველოს შეთანხმებები და შეხვედრები). იმ პირთა კომპიუტერები, ვინც დაინტერესებული იყო მსგავსი ინფორმაციით, ხვდებოდნენ ჰაკერთა მსხვერპლთა სიაში, მიუხედავად უსაფრთხოების დაცვის ზომებისა და პროგრამული უზრუნველყოფისა. საფრთხე იყო უაღრესად დაშიფრული და რუსეთი იყენებდა თანამედროვე ფარულ ტექნიკას ისე, რომ ვერცერთ უსაფრთხოების ინსტრუმენტს ვერ შეძლებოდა მისი ამოცნობა.[10]

ეს შემთხვევა არის საინტერესო მაგალითი და ერთ-ერთი უპრეცენდენტო შემთხვევა იმ კუთხით, რომ ჩვენმა კიბერსპეციალისტებმა შეძლეს არა მარტო ჰაკერის გამოვლენა, არამედ შეძლეს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება. ასევე მიიღეს ინფორმაცია მისი ადგილმდებარეობის, ინტერნეტსერვისის პროვაიდერის, ელექტრონული ფოსტის შესახებ და ა.შ.[11]

ჩვენმა სპეციალისტებმა დაინფიცირებულ კომპიუტერში ჩაუშვეს მავნე პროგრამა, მისცეს თავდამსხმელს მისივე ვირუსი, სახელწოდებით ,,საქართველო-ნატოს შეთანხმება", თავდამსხმელმა მოიპარა ეს ფაილი და გახსნის შემდეგ, ჩვენმა სპეციალისტებმა დაამყარეს კონტროლი მის კომპიუტერზე, გადაიღეს ჰაკერის ვიდეო, დააფიქსირეს ახალი მუქარის შექმნის პროცესი, ელექტრონული ფოსტით მიიღეს რუსული დოკუმენტი, სადაც თავდამსხმელი ვიღაცას აძლევდა მითითებებს, როგორ გამოეყენებინათ ეს მავნე პროგრამა და როგორ დაენფიცირებინათ სამიზნეები.[12]

3. 2015 წლის მაისში ქართულ საფინანსო ორგანიზაციებზე განხორციელდა მასიური შეტევა.

8 ა. გოცირიძე, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის კიბერგანზომილება, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2019 წ. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/970.

9 Ministry of Justice of Georgia, ,,Cyber Espionage against Georgian Government" https://docplayer.net/2643880-Cyber-espionage-against-georgian-government-georbot-botnet-cert-gov-ge-lepl-data-exchange-agency-ministry-of-justice-of-georgia.html.

10 Ministry of Justice of Georgia, ,,Cyber Espionage against Georgian Government" https://docplayer.net/2643880-Cyber-espionage-against-georgian-government-georbot-botnet-cert-gov-ge-lepl-data-exchange-agency-ministry-of-justice-of-georgia.html.

11 იხ.იქვე.

12 იხ.იქვე.

აღსაღნიშნავია, რომ კიბერშეტევაში მონაწილეობას ღებულობდა 300 000-მდე უნიკალური IP-ი მისამართი 160-ზე მეტი ქვეყნიდან. კიბერშეტევის მასშტაბიდან, მისი მომზადების, განხორციელიბის ხარისხიდან და რეგიონისადმი გეოპოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, არა არის გამორიცხული, რომ აღნიშნული კიბერშეტევის უკან რუსეთთან დაკავშირებული ჰაკერული ჯგუფი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი მასშტაბური კიბერშეტევა არ იყო ორიენტირებული ფინანსურ ზარალზე, დიდი ალბათობით, შესაძლოა მიზანი სხვა უფრო მეტი ზიანის მომტანი შეტევის უყურადღებოდ გატარებაზე იყო გათვლილი.[13]

4. 2019 წლის ოქტომბერში, რუსეთის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს სპეციალური ტექნოლოგიების მთავარმა ცენტრმა საქართველოში განახორციელა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე. კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვის სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება.[14]

აღნიშნული შეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დარღვევას, მოსახლეობისთვის ზიანის მიყენებას, სამთავრობო სტრუქტურებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის ჩაშლას, საზოგადოებაში მღელვარების დათესვას. ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით, საყურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნული კიბერშეტევა დაგეგმილი და განხორციელებული იყო რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მიერ.[15]

5. აგრეთვე, 2020 წლის სექტემბერში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე ერთ-ერთი უცხო ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა. შეტევის არსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს რიჩარდ ლუგარის სახელობის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციის და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაუფლება-გამოყენება იყო. უკანონოდ მიღებული დოკუმენტაციის ნაწილი დღესდღეობით განთავსებულია ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა აღნიშნულ ვებ-გვერდზე ატვირთულია აშკარად ფალსიფიცირებული დოკუმენტები, რომლებიც მიზანდასახულად არის გაყალბებული საზოგადოებაში შიშის, დაბნეულობისა და უნდობლობის დასანერგად.[16]

## დასკვნა

კიბერსაფრთხეების უგულებყოფა ან არასათანადო შეფასება ქვეყანას ისეთი რისკების წინაშე დააყენებს, როგორიცაა: სახელმწიფო და ეკონომიკური სტრუქტურების დაუცველობა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დაცვა, დაუცველობა სამხედრო და ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ, თავდაცვის უნარის დაქვეითება. ამიტომ, კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.[17]

როდესაც ქვეყანა მუდმივ კონფლიქტშია და მასობრივი კიბერშეტევის რისკი მაღალია, ქვეყნის რესურსები მობილიზებული უნდა იყოს არსებული ორგანიზაციული სისტემის გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად.[18]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტრატეგიულ კიბერუსაფრთხოების დოკუმენტებში რუსეთის, როგორც დესტრუქციული კიბერ აქტორის განზრახვების, შესაძლებლობებისა და ზომების ასახვას. მართალია, კიბერსივცრიდან მომავალი საფრთხეების სრული მართვა შეუძლებელია, რადგან კიბერუშიშროების პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად, კიბერკრიმინალებიც უფრო აუმჯობესებენ თავდასხმების ახალ წესებს. თუმცა, კიბერუსაფრთხოების პროაქტიული პოლიტიკის დანერგვით, შესაძლებელია პოტენციური ზიანის შესუსტება, პრევენცია და, კიბერსივრცის მართვა.[19]

ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანამ განსაზღვროს ამ სფეროში არსებული კონკრეტული და მოსა-

13 ვ. სვანაძე, ა. გოცირიძე, კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო, თბილისი, 2015წ. გვ.216.

14 საქართველოს ახალი ამბების სააგენტო ,,GNA“, ,, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები გმობენ რუსეთის მიერ განხორციელებულ კიბერშეტევას”, 2020 წ. https://ghn.ge/news/240048-evrokavshiri-da-misi-tsevri-sakhelmtsifoebi-gmoben-rusetis-mier-gankhortsielebul-kibershetevas.

15 იხ. იქვე.

16 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ,,IDFI“, ,,კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი“, 2020 წ. https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations.

17 მ. მალვენიშვილი, ნ. ბალარჯიშვილი, კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში:არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები, თბილისი, 2020 წ.გვ.7.

18 მ. მალვენიშვილი, ნ. ბალარჯიშვილი, კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში:არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები, თბილისი, 2020 წ.გვ.7.

19 ი. ჯღარკავა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2021 წ. გვ.12.

ლოდნელი საფრთხეები, შესაბამისად დროული პრევენციის შედეგად, თავიდან იქნება აცილებული კიბერშეტევები საქართველოს ინფორმაციულ ქსელებზე და საერთოდ ინფრასტრუქტურაზე. ეფექტური კიბერთავდაცვის გარეშე კი ქვეყანა ვერ გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის საიმედო პარ-ტნიორი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ვ. სვანაძე, ა. გოცირიძე, კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო, თბილისი, 2015წ.;
2. ვ. სვანაძე, კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, 2015 წ;
3. ი. ჯღარკავა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა,გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2021წ. გვ.9;
4. მ. მალვენიშვილი, ნ. ბალარჯიშვილი, კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები, თბილისი, 2020 წ;
5. ა. გოცირიძე, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის კიბერგანზომილება, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2019 წ;
6. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/970;
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ,,IDFI“, ,,კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი“, 2020 წ;
8. https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations;
9. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო ,,GNA“, ,, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები გმობენ რუსეთის მიერ განხორციელებულ კიბერშეტევას”, 2020 წ;
10. https://ghn.ge/news/240048-evrokavshiri-da-misi-tsevri-sakhelmtsifoebi-gmoben-rusetis-mier-gankhortsiele-bul-kibershetevas;
11. Ministry of Justice of Georgia, ,,Cyber Espionage against Georgian Government”;
12. https://docplayer.net/2643880-Cyber-espionage-against-georgian-government-georbot-botnet-cert-gov-ge-lepl-data-exchange-agency-ministry-of-justice-of-georgia.html.

# 2020 წლის 9 ნოემბრის „სამმხრივი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“

**პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე**
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული
უსაფრთხოების უფროსი ინსტრუქტორი
**შადიმან ბიწაძე**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

## აბსტრაქტი

მთიანი ყარაბახის კონფლიქტს რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. XXI საუკუნის დასაწყისიდან აღნიშნულმა კონფლიქტმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით გამოთქმებს „პირველი ყარაბახის ომი“, „მეორე ყარაბახის ომი“, რაც სრულყოფილად არ გამოხატავს მოვლენის არსს. მიგვაჩნია, რომ გაცილებით სამართლიანი იქნება, თუკი ბრძოლებს მთიანი ყარაბახისთვის მოვიხსენიებთ, როგორც „მთიანი ყარაბახის ომს“, ხოლო 1918-1920, 1992-94 და 2000 წლის სექტემბერ-ნოემბრის კონფლიქტებს ეტაპებად, ფაზებად ან თუნდაც სულაც სიუჟეტებად განვიხილავთ, რადგან მოვლენების ლოგიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ სომხეთი დაელოდება „თავის დროს“ და მთიან ყარაბახში ისევ ექნება ადგილი სამხედრო დაპირისპირებას.

სტატია მიზნად არ ისახავს მთიან ყარაბახში მიმდინარე დაპირისპირების დეტალურ განხილვას და სამხედრო-ოპერატიული სურათის ჩვენებას. სტატიაში გაანალიზებულია „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სამმხრივი შეთანხმების“ სამართლებრივი პრობლემატიკა და კონფლიქტის დარეგულირების მიზნით მონაწილე მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის ასპექტები და პერსპექტივები.

**საკვანძო სიტყვები:**
მთიანი ყარაბახი, აზერბაიჯანი, სამხედრო მოქმედებები, კონფლიქტი.

# Tripartite Ceasefire Agreement of November 9, 2020

**Colonel Mamuka Samkharadze**
Senior Instructor of Defence and National Security Course,
Command and Staff College, TMEC, GDF
**Shadiman Bitsadze**
Associate Professor of the Master's of Security of David Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia

## Abstract

The Nagorno-Karabakh conflict holds an important place in the regional security architecture. Since the beginning of the XXI century, this conflict has acquired a special significance.

In the scientific literature, we often find the expressions "the first Karabakh war", "the second Karabakh war", which do not fully express the essence of the event. We believe that it would be fair if we refer to the battles for Nagorno-Karabakh as the "Nagorno-Karabakh War", and consider the conflicts of 1918-1920, 1992-94 and September-November 2000 as stages, phases or even as operations, as it is clear from the logic of events, that Armenia will wait "for its time" and military confrontation in Nagorno-Karabakh will take place again.

The article does not aim to discuss the ongoing conflict in Nagorno-Karabakh in details. The article analyzes both the legal issues of the "Trilateral Ceasefire Agreement" and the aspects and perspectives of future cooperation between the participating nations in order to settle the conflict.

**Keywords:**
Nagorno-Karabakh, Azerbaijan, Military operations, Conflict.

# შესავალი

2020 წლის 44 დღიანი ომი აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიაში შევიდა, როგორც სამამულო, ვინაიდან ერთმაც და მეორემაც ომში მონაწილეობა აღნიშნული დევიზით მიიღეს. ომი აზერბაიჯანის გამარჯვებით დასრულდა და ის, როგორც გამარჯვებული მხარე, ცდილობს ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად განხორციელებას. ზემოთაღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს 2020 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილი „სამმხრივი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“, რომელმაც საბრძოლო მოქმედებების დასრულებას კი შეუწყო ხელი, მაგრამ ბევრი კითხვის ნიშანიც დატოვა. შეთანხმება ნამდვილად არ არის იდეალური, თუმცა მშვიდობის დამყარებისათვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივი აქტს წარმოადგენს.

შეთანხმება მიღწეულ იქნა რუსეთის ფედერაციის უშუალო ჩართულობით და პატრონაჟით, პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კი შეთანხმების შესრულების გარანტორად იქნა მიჩნეული. შეთანხმებას ხელი მოეწერა მოსკოვში რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების მიერ. შეთანხმების პირველ პუნქტში განისაზღვა მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება, ხოლო ათვლის თარიღად აღებული იქნა 9 და 10 ნოემბრის ღამის 00.00 საათი. ნიშანდობლივია და გარკვეულწილად სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, რომ შეთანხმებაში მითითებული საათი საკოორდინაციოდ აღებულია მოსკოვის დროით. თითქოს განსაკუთრებული არაფერია ამაში, მაგრამ საერთაშორისო დიპლომატიაში და მითუმეტეს, როდესაც ხელშეკრულებას ეხება საქმე, ბევრი დეტალი და ნიუანსია, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ მოცემულობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მოსკოვის დროის გამოყენება რუსების მხრიდან იყო მინიშნება კონკრეტულად იმ ქვეყნისადმი, რომელმაც შეძლო კონფლიქტში მონაწილე მხარეების დაზავება.

აზერბაიჯანულმა მხარემ 9 ნოემბერს დილით აღიარა რუსული ვერტმფრენის MI-24 ჩამოგდების ფაქტი, რა დროსაც დაიღუპა ორი მფრინავი. ვერტმფრენი აწარმოებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო საზღვრის კონკრეტული მონაკვეთის მონიტორინგს, როდესაც მოძრავ საფრენ აპარატს აზერბაიჯანულმა მხარემ მიზანმიმართულად გაუხსნა ცეცხლი. აღნიშნული ცეცხლი გახსნილ იქნა გადასატანი ანტი-საჰაერო საშუალებიდან.

ომის მიმდინარეობისას საფრენი აპარატების ჩამოგდება თანმდევი პროცესია, მაგრამ იბადება კითხვა: რუსული ვერტმფრენი ხომ არ აწარმოებდა მონიტორინგს დამცავი საშუალებების გარეშე და ხომ არ იყო რუსების მხრიდან ვერტმფრენის გამოყენება, როგორც აზერბაიჯანზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რათა ამ უკანასკნელს შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები. ინციდენტამდე სულ რამდენიმე დღის წინ რუსული მხარე აკეთებდა განცხადებას, რომ აზერბაიჯან-სომხეთის მიმდინარე კონფლიქტში ჩაერთვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საბრძოლო მოქმედებები გადაინაცვლებდა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რუსული ვერტმფრენი სომხეთის ტერიტორიაზე იქნა ჩამოგდებული. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსული მხარის დეკლარირებული განცხადება კონფლიქტში ჩართვასთან დაკავშირებით იძენდა სამართლიანობის ასპექტებს. ვერტმფრენის ინციდენტის შემდეგ რფ-ის პრეზიდენტი პუტინი სასწრაფოდ უკავშირდება თურქ და ფრანგ კოლეგებს და დიდი ალბათობით განიხილავს კონფლიქტში ჩართვის შესაძლებლობას.

რაც შეეხება მხარეებს - 10 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტა აზერბაიჯანისთვის, რომელიც ახორციელებდა წარმატებულ შეტევით ოპერაციებს და ცხადია, რომ სომხეთი დღითიდღე კარგავდა წინააღმდეგობის გაწევისათვის აუცილებელ რესურსს, დიდ მიღწევად ვერ ჩაითვლება. სომხურ მხარისთვის კი, მიუხედავად წამგებიანი პოზიციისა, საზავო ხელშეკრულება უფრო უარყოფითი მოვლენა იყო, ვიდრე დადებითი, რაც აისახა კიდეც საზავო პირობებში. დაპირისპირებული მხარეებისთვის, როგორც დავინახეთ, საზავო შეთანხმება არცთუ სახარბიელო მოვლენა გახლდათ, თუმცა ამას ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომელმაც შეძლო და მიზერული რესურსის გაღებით მიიღო დივიდენდები, რაც გამოიხატა სამხრეთ კავკასიაში მე-5 სამხედრო ბაზის შექმნით. ბაზა, რომელიც ტრადიციულად სამშვიდობო მანტიაში შეფუთა და მიიღო დამატებითი ბერკეტები, რათა რეგიონში იმოქმედოს საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით საინტერესოა შეთანხმების ტექსტი:

„ჩვენ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი

ვაცხადებთ შემდეგს:

1. 2020 წლის 10 ნოემბრის მოსკოვის დროით 00:00 საათიდან ცეცხლის სრულად შეწყვეტას და საბრძოლო მოქმედებების დასრულებას მთიანი ყარაბაღის ზონაში. აზერბაიჯანის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა, შემდგომში – მხარეები, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე დარჩებიან.

2. აღდამის რაიონი და სომხეთის მიერ ყაზახის რაიონში დაკავებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიები დაუბრუნდება აზერბაიჯანის მხარეს 2020 წლის 20 ნოემბრამდე.

3. მთიანი ყარაბაღის გამყოფი ხაზისა და ლაჩინის დერეფნის გასწვრივ, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტი 1960 მცირე ზომის იარაღით აღჭურვილი სამხედრო მოსამსახურით, 90 ჯავშანტექნიკითა და 380 ერთეული საავტომობილო და სპეციალური ტექნიკით განლაგდება.

4. რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტი სომხეთის სამხედრო ძალის გაყვანის პარა-

ლელურად განლაგდება. რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტის ადგილზე ყოფნის ვადა ხუთი წლით განისაზღვრება, ავტომატური განახლებით შემდეგი ხუთი წლის პერიოდისთვის, თუკი არც ერთი მხარე არ გამოაცხადებს ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე საკუთარი მიზნების შესახებ, შეწყვიტოს ეს მოცემულობა.

5. კონფლიქტის მხარეების მიერ შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სამშვიდობო ცენტრი შეიქმნება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტას გააკონტროლებს.

6. სომხეთის რესპუბლიკა 2020 წლის 15 ნოემბრამდე აზერბაიჯანის რესპუბლიკას კელბაჯარსკის რაიონს დაუბრუნებს, პირველ დეკემბრამდე კი ლაჩინის რაიონს, თუმცა დაიტოვებს ლაჩინის დერეფანს, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის და ამავდროულად არ შეეხება ქალაქ შუშას.

მხარეების შეთანხმების მიხედვით, უახლოეს სამ წელიწადში განისაზღვრება გეგმა ლაჩინის დერეფანში მოძრაობის მარშრუტთან დაკავშირებით, რომელიც სტეპანაკერტსა და სომხეთს შორის კავშირს უზრუნველყოფს, სადაც რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო კონტინგენტი ამ მარშრუტის უსაფრთხოების დასაცავად განლაგდება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა ლაჩინის კორიდორში მოქალაქეების, მანქანებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაადგილების დაცვას უზრუნველყოფს.

7. იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები ბრუნდებიან მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე. მიმდებარე ტერიტორიები გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კონტროლის ქვეშ მოექცევა.

8. მხარეებს შორის სამხედრო ტყვეების, სხვა დაკავებული პირებისა და გარდაცვლილთა ცხედრების გაცვლა მოხდება.

9. რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი განიბლოკება. სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს სატრანსპორტო კავშირს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, რათა ორგანიზება გაეწიოს მოქალაქეების, მანქანებისა და ტვირთების შეუფერხებლად გადაადგილებას ორივე მიმართულებით. სატრანსპორტო კონტროლს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ორგანოები განახორციელებენ.

მხარეების შეთანხმებით, ახალი სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა განხორციელდება, რომელიც ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებთან დააკავშირებს“, – ნათქვამია შეთანხმების ტექსტში, რომელსაც ხელს აწერენ სომხეთის პრემიერი, აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტები.[1]

რაც შეეხება შეთანხმებას და მისი განხორციელების რეალურ ფორმულარს:

შეთანხმების **პირველი პუნქტით** მხარეებს მოპოვებულ პოზიციებზე დარჩენის ვალდებულება ჰქონდათ. ამასთან, უნდა შეეწყვიტათ ცეცხლი და არ უნდა განეხორციელებინათ აქტივობები. შედეგად მუხლი არ სრულდება, ვინაიდან სხვადასხვა ინტენსივობით მხარეები არცთუ იშვიათად არღვევენ ცეცხლის შეწყვეტის უმთავრეს პირობას. მიმდინარე წლის სექტემბრის თვე[2] ნათელი მაგალითია აღნიშნული მუხლის შეუსრულებლობის.

**მეორე პუნქტთან** დაკავშირებით მხარეებმა შეასრულეს დადებული პირობა და აზერბაიჯანული მხარის მიერ დაკავებული შვიდი რაიონი სრულიად გადავიდა აზერბაიჯანის მმართველობაში.

**მესამე პუნქტის** შესრულებას თან სდევს რიგი თანმდევი საკითხები, რომელიც აუცილებლად მოითხოვს განმარტებას. კერძოდ, სავარაუდოა, რომ რუსული კონტინგენტი რეგიონში წარმოდგენილია გაცილებით მეტი რაოდენობის სამხედროთი, ვიდრე ეს მითითებულია შეთანხმებაში. საკითხის ირგვლივ ჯერ-ჯერობით არ გამოთქვამს პრეტენზიებს არც აზერბაიჯანული და არც სომხური მხარე.

**მეოთხე პუნქტით** გათვალისწინებული აღსრულების ფაზა მიმდინარეობს და თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანული მხარის პრეტენზიებს სომხური შეიარაღებული ნაწილების გაყვანის დაჩქარებასთან დაკავშირებით, დაძაბულობა ნაკლებად შეინიშნება.

სამართლიანობა მოითხოვს გამახვილდეს ყურადღება შემდეგზე - მხარეები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას სამშვიდობოების მიმართ. უკმაყოფილობის მიზეზი ძირითადად რუსი სამშვიდობოების მიკერძოებული ქმედებებია. სომხური მხარე „სექტემბრის მოვლენებში“ პირდაპირ ადანაშაულებდა რუს სამშვიდობოებს უმოქმედობაში, რამაც, მისი აზრით, გამოიწვია აზერბაიჯანელების წახალისება. აზერბაიჯანელები კი სამშვიდობოებისგან ითხოვენ ქმედით ღონისძიებებს, რათა მთიან ყარაბახში ალაგმული იქნას სომხური შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებული უკანონო ფორმირებების თარეში.

**მეხუთე პუნქტი** ერთობ მნიშვნელოვანია რეგიონში ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად. სამხრეთ კავკასიაში თურქული სამხედრო ქვედანაყოფი სამშვიდობო ფუნქციებით კი აშკარა წარმატებაა აზერბაიჯანისთვის.

მოცემული პუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 30 იანვარს აღდამის რაიონში[3] განთავსდა „თურქულ-რუსული ერთობლივი სამშვიდობო ცენტრი“.

1 https://1tv.ge/news/ra-weria-mtian-yarabaghshi-saomari-moqmedebebis-shewyvetis-shetankhmebashi-romelic-somkhetis-azerbaijanisa-da-rusetis-liderebs-shoris-gaformda/.

2 მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის დარღვევაში ურთიერთდადანაშაულების შემდეგ აქტიური ცეცხლი გახსნეს, დაღუპულების სახით მათ ასეულობით ცხედარი მიიღეს.

3 სოფელი ქიამადდინლის უშუალო სიახლოვეს განლაგდა.

თურქეთი წარმოდგენილია 39 სამხედრო პირით. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნატო-ს წევრი ქვეყნის სამხედრო კონტინგენტი სამხრეთ კავკასიაში თავსდება. რეგიონში, როგორც მინიმუმ, რუსეთი კომფორტულად ვერ უნდა გრძნობდეს თავს, თუმცა მოცემულობას დათანხმდა, რამეთუ მის ინტერესში არ შედიოდა რეგიონის მნიშვნელოვანი მოთამაშის - თურქეთის წინააღმდეგ წასვლა. რუსეთი დათანხმდა მონიტორინგის მოცემულ ფორმას, მაგრამ სავარაუდოდ, აუცილებლად შეეცდება მომავალში თურქული კონტინგენტის შევიწროებას და მისი უფლება-მოვალეობის ხელყოფას. ეს, რათქმა უნდა, იცის თურქულ-აზერბაიჯანულმა ტანდემმა.[4]

აზერბაიჯანში მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ „თურქულ-რუსული ერთობლივი სამშვიდობო ცენტრი“ შემოიფარგლება გარკვეული ტერიტორიული და ფუნქციური დატვირთვით, დროთა განმავლობაში თურქების როლის და ფუნქცია-მოვალეობების ზრდა შესაძლებელია აზერბაიჯან-თურქეთს შორის არსებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით. ეს კი მისცემს შესაძლებლობას თურქულ მხარეს სამართლებრივად გამყარებულმა შეასრულოს სხვადასხვა სახის მისიები.[5]

თურქეთის განწყობა ზუსტად გადმოსცა ქვეყნის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა: „რუსეთთან მიღწეული გვაქვს შეთანხმებები. ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული ჩვენი აზერბაიჯანელი ძმების კანონიერი უფლებების დასაცავად და ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით“.[6]

**მეექვზე მუხლთან** დაკავშირებითაც ვერ ვხედავთ განსაკუთრებულ პრობლემებს; თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, როდესაც სომხური შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან ხდებოდა ლაჩინის რაიონში პერმანენტული პროვოკაციები.

რაც შეეხება ამავე პუნქტით გათვალისწინებულ აუცილებლობას ლაჩინის კორიდორის კონტროლთან დაკავშირებით, აქ განსაკუთრებული უკმაყოფილება არ სჩანს. რაიონში ძირითადად მიმდინარეობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის საჭირო მონიტორინგი, პარალელურად აზერბაიჯანული მხარე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სოციალური ხასიათის პროექტი განახორციელოს.

**მეშვიდე პუნქტზე** კამათობდნენ ომის დაწყებამდე; შეთანხმებამდე, შეთანხმების დროსაც და მასზე ხელმოწერის შემდგომაც. საქმე ის არის, რომ აზერბაიჯანი ლტოლვილების მართვის პოლიტიკას განიხილავს მშვიდობის გამყარების კონტექსტში. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ლტოლვილების დაბრუნება განხორციელდეს ექსცესების გარეშე და განხორციელდეს, როგორც უშუალოდ მთიან ყარაბახში, ასევე მიმდებარე იმ შვიდ რაიონში, რომელსაც აკონტროლებდა სომხური მხარე. აზერბაიჯანის მიერ დაანონსებულია შემდეგი საკითხები:

1. ლტოლვილების დაბრუნება შეზღუდული დროის სივრცეში;
2. მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა;
3. მათთვის ადგილზე დაბრუნებისას ნორმალური პირობებით უზრუნველყოფა და აღნიშნულისთვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელება. აგრეთვე, გადაადგილების უზრუნველყოფისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა.

სომხებმა, რომლებიც უკვე თვითონ გახდნენ ლტოლვილები და სომხეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ, წამოიწყეს ერთობ სარისკო თამაში:

1. მოქმედებდნენ შეიარაღებული მცირე ჯგუფები, რომლებიც საშიშროებას უქმნიდნენ ადგილზე დაბრუნებულ აზერბაიჯანელ ლტოლვილებს;
2. ტერიტორიების დატოვებისას თითქმის ყველა რაიონში დაიწყეს ინფრასტრუქტურის განადგურება/ გადაწვა;
3. გასვლისას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ რევანშისტულ განწყობას.

გაეროს ლტოლვილთა საკითხების კომისარი მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაციას ლტოლვილთა უკან დაბრუნების შესახებ, რაც აძლევს საშუალებას მონიტორინგი გაუწიოს ადგილზე განთავსებისა და მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნის მიმდინარეობას.

**მერვე პუნქტის** სრულყოფილად განხორციელება მხარეების უკმაყოფილების ფონზე მიმდინარეობდა და რომ არა უცხოელების მონაწილეობა, ალბათ, გაცილებით მეტი ექსცესი იქნებოდა.

პირველი მასშტაბური ტყვეთა გაცვლა 2020 წლის 14 დეკემბერს განხორციელდა, როდესაც 14 აზერბაიჯანელი სამხედრო „ყველა ყველაზე“ პრინციპით 44 სომეხ ტყვეზე გაიცვალა. მას შემდეგ მხარეებმა კიდევ დაახლოებით 5-ჯერ გამოიყენეს ზემოაღნიშნული პრინციპი. მათგან გამოსარჩევია 2021 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავრობისა და აშშ-ს სპეცწარმომადგენლის ფილიპ რიკნერის ჩართულობით განხორციელებული ტყვეთა გაცვლა.[7] ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს არამარტო მხარეებმა, არამედ უცხოელმა პარტნიორებმაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტყვეთა გაცვლის პროცესისას სომხური მხარის

4 ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მრავალმხრივი მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნა თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

5 https://www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-55162157 .

6 https://jam-news.net/ge/yarabaghi-samshvidoboebi-gantavseba-rusuli-turquli-jarebi-raionebi-statusi-azerbaijani-akhali-ambebi/.

7 https://jam-news.net/ge/somkhetshi-dabrunda-azerbaijanshi-dakavebuli-15-samkhedro-romlebic-danaghmuli-mindvrebis-rukebshi-gacvales/.

მიერ დანაღმული ველის რუკა გადაეცა აზერბაიჯანულ მხარეს.[8]

პუნქტის შესრულება რომ ხარვეზებით მიმდინარეობს ეს მხარეების უკმაყოფილებითაც დასტურდება. განსაკუთრებით სომხური მხარეა უკმაყოფილო. მისი უკმაყოფილება შემდეგში გამოიხატება - აზერბაიჯანული მხარე თავს არიდებს სამხედრო ტყვეების დაბრუნებას, რომლის შესახებაც აზერბაიჯანელები აცხადებენ შემდეგს - 44 დღიანი ომის დროს ყველა ტყვე სომხეთს დაუბრუნდა, ხოლო 10 ნოემბრის შემდეგ დაკავებულები არა სამხედრო ტყვეები, არამედ დივერსანტები არიან და ისინი გასამართლებულნი იქნებიან შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით. ამრიგად, აზერბაიჯანული მხარე არ ცნობს მათ როგორც სამხედრო ტყვეებს და აღნიშნულის გათვალისწინებით გაჭირდება მათი სომხური მხარისთვის დაბრუნება. სავარაუდოდ, სამომავლოდ ტყვეების პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ უცხოელების ჩართვით მოხდეს.

ბოლო, **მეცხრე პუნქტი** არის მხარეებისთვის გამორჩეული მნიშვნელობის, რადგან მასში ასახული ეროვნული ინტერესები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთის მიზნებისგან. განსხვავებული ხედვები არ აძლევს მხარეებს პუნქტთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევის საშუალებას და ვერ ხდება ხედვების დაახლოება.

შეთანხმებაზე ხელმომწერმა ლიდერებმა თავისებური შეფასება მისცეს ფაქტს: აზერბაიჯანის ლიდერმა ალიევმა მას „გამარჯვების შეთანხმება“ უწოდა,[9] სომხეთის ლიდერის ფაშინიანის განცხადებით კი იგი „იძულებითია“,[10] ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა კი აღნიშნა: -„აუცილებელია პირობები, რათა სამართლიანობის მიხედვით, მთიანი ყარაბახის ირგვლივ განვითარებული კრიზისი მოგვარებული იქნას ხანგრძლივად და სრულფორმატიანი პრინციპით.“[11]

საინტერესო და დამაფიქრებელი იყო პრეზიდენტ პუტინის მიერ ხელმოწერის დღეს გაკეთებული განცხადება: „9 ნოემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალიევის, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მიმისტრის ფაშინიანისა და რფ-ის პრეზიდენტის მხრიდან ხელი მოეწერა განცხადებას, რომლის მიხედვით, 2022 წლის 10 ნოემბერს, მოსკოვის დროით 00.00 წუთიდან, მთიან ყარაბახში გამოცხადებულია ცეცხლის შეწყვეტა და შეჩერებულია სამხედრო მოქმედებები. აზერბაიჯანის რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა ჩერდებიან მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე. მთიან ყარაბახისა და სომხეთის რესპუბლიკის შეხების წერტილებში განლაგდება რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები“.[12] რუსეთის პრეზიდენტის ეს განცხადება აძლიერებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 9 ნოემბერს ჩამოგდებული რუსული ვერტმფრენი სულაც არ ყოფილა შემთხვევით ჩამოგდებული და მას გარკვეული დატვირთვა ჰქონდა , რასაც საერთო ჯამში რუსების სტრატეგიული სვლების კომბინაცია მოჰყვა - სამშვიდობო ძალების განლაგების პრიორიტეტი და არა საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა, რასაც ოფიციალური მოსკოვი კონფლიქტის მსვლელობის დროს არცთუ იშვიათად აცხადებდა.

რუსეთმა მიაღწია მიზანს:

1. სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სადავეები მტკიცედ ჩაიგდო ხელში;
2. აზერბაიჯანს წაართვა ნამდვილი გამარჯვების ბედნიერება და ყარაბახში 2000-იანი კონტინგენტი განათავსა;
3. აზერბაიჯანზე შემდგომი ზემოქმედების მიზნით, გარდა იმისა, რომ სამხედრო კონტინგენტი განათავსა მის ტერიტორიაზე, ღია დატოვა მთიანი ყარაბახის სტატუსი, რომელიც აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობების წითელი ხაზია;
4. საერთაშორისო საზოგადოებას პირდაპირი მესიჯი გაუგზავნა - კონფლიქტის დარეგულირების გასაღები არ არის არც ანკარაში, არც პარიზში, არც ბრიუსელში, არამედ მოსკოვში;
5. საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა, რომ მოსკოვზე იქნება დამოკიდებული მეზობლებს შორის მშვიდობის დამყარების კეთილი ნება.

შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, მიზნის მისაღწევად საჭიროებას წარმოადგენდა მხარეებს შორის კონტაქტი და განსახილველი და პრობლემატური საკითხების ირგვლივ პერმანენტული სამუშაო განწყობა. დადებითი მოვლენაა, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის არის მზადყოფნა, რომ პრობლემა მოხსნილ იქნას მოლაპარაკებების გზით. აზერბაიჯან-სომხეთის შემთხვევაში მოლაპარაკებების ორგანიზების პროცესები შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა. საერთაშორისო საზოგადოებამ ადეკვატურად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და როგორც ოფიციალურად, ასევე არაოფიციალურად დაიწყო მხარეების მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომის მცდელობები. პირველ ეტაპზე აქტიურობდნენ საფრანგეთი, თურქეთი და ტრადიციულად რუსეთი. რუსეთის ფედერაცია გამორჩეული მონდომებით ცდილობდა მთავარი მედიატორის ფუნქცია შეეთავსებინა და ეს სავსებით გასაგები მიზნების ფონზე მიმდინარეობდა. მისი მიზანი იყო, არის და სამწუხაროდ, როგორც სჩანს, სამომავლოდაც დარჩება აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობებსა და დაპირისპირებაში შეუცვლელი

8 აღდამის რაიონებში დაახლოებით 97 ათასი ერთეული ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმის ზუსტი ადგილმდებარეობა.

9 https://az.sputniknews.ru/azerbaijan/20201110/425428253/Segodnya-istoricheskiy-den-dlya-Azerbaydzhana---prezident-Aliev.html.

10 https://ru.armeniasputnik.am/karabah/20201110/25248960/Voyna-budet-priostanovlena-Pashinyan-soobschil-o-trudnom-dlya-nego-reshenii.html

11 https://www.rbc.ru/politics/10/11/2020/5faa0bfb9a79472d1159c5e8

12 http://kremlin.ru/events/president/news/64381

აქტიორის სტატუსი. აღნიშნული სტატუსი კი მის ინტერესებზე მორგებული ბერკეტია, რათა, სურვილის შესაბამისად, დაპირისპირებული მხარეების ქმედებები გააკონტროლოს. რუსეთი ინარჩუნებს რეგიონში მნიშვნელოვანი ქვეყნის როლს. ამის შესახებ მეტყველებს შემდეგი ფაქტიც - პრეზიდენტი ალიევი და პრემიერი ფაშინიანი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ შვიდჯერ,[13] ხოლო აქედან ოთხჯერ რუსეთის ფედერაციაში, პრეზიდენტ პუტინის უშუალო ინიციატივით და სურვილით.

დაპირისპირებული მხარეების ლიდერების შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით გამოსაყოფია შემდეგი მოცემულობა:

1. რუსეთის ფედერაცია ცდილობს შეინარჩუნოს სამხრეთ კავკასიურ ქვეყნებზე გავლენის ბერკეტები.
2. 2020 წლის 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერით რუსეთის ფედერაციამ ყველას აჩვენა, რომ კრიზისის დარეგულირების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია;
3. მას შემდეგ, რაც ევროკავშირი ჩაერთო მედიატორობის განზრახვით, მოსკოვმა გააკეთა განცხადებები, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს - ჩვენი ჩართულობით მოხდა ცეცხლის შეწყვეტა და ევროკავშირს წარმატების დაუმსახურებლად მითვისება სურს;
4. ევროკავშირი ცდილობს კონფლიქტის მოგვარებისთვის ქმედითი ნაბიჯები გადადგას. აგვისტოს შეხვედრის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობა - მხარეები ამუშავებენ სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტს და შეძლებისდაგვარად მოკლე დროში იხილება მასზე ხელმოწერის შესაძლებლობა. მოლაპარაკების პროცესში ეს წინგადადგმული ნაბიჯია და სრულიად სამართლიანად უშუალოდ ევროკავშირის პრეზიდენტის დამსახურებად არის მიჩნეული;
5. საფრანგეთი ცდილობს არ ჩამოშორდეს სამშვიდობო მოლაპარაკებებს და ხშირად გამოდის ინიციატივით დასავლეთის აქტიური ჩართულობის შესახებ მიმდინარე პროცესში;
6. აშშ, რომელიც ისედაც იყო ე.წ. „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარე და ევალებოდა მხარეების დაზავება, ბოლო დროს იჩენს ინიციატივას, რათა მედიატორობა შეითავსოს, აღნიშნული მიზნით შედგა კიდეც დაპირისპირებული მხარეების საგარეო უწყებების ხელმძღვანელების აშშ-ში შეხვედრის ორგანიზება;
7. რაც შეეხება თურქეთს, იგი თითქოს არ აქტიურობს სხვა ქვეყნებივით, მაგრამ ის არის ყველგან, სადაც არის აზერბაიჯანი. ეს უკანასკნელი უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს თურქეთთან. მხარეები აღნიშნული თანამშრომლობის შესახებ ხშირად აკეთებენ განცხადებას.

## დასკვნა

მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი გახლდათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისას აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების შეხვედრების ორგანიზება, რადგან აღნიშნული ქმედებით პრობლემური საკითხები უფრო გადაჭრადი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში დიდი წინსვლა არ შეინიშნება, ფაქტია რომ ქვეყანებს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკების შეუქცევადი პროცესის დაწყება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

იმედია, რომ ქვეყნები შეძლებენ კონპრომისის მიღწევას და ნანატრი მშვიდობის დამყარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიაში არსებული ესკალაციის დონე კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს რეგიონის ისედაც მყიფე ვითარებას უსაფრთხოების მხრივ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბერაია თეკლე, „რა წერია მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შეთანხმებაში, რომელიც სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერებს შორის გაფორმდა“. 10.11.2020. https://1tv.ge/news/ra-weria-mtian-yarabaghshi-saomari-moq me debebis-shewyvetis-shetankhmebashi-romelic-somkhetis-azerbaijanisa-da-rusetis-liderebs-shoris-gaformda/ ;
2. Göksedef Ece, „Dağlık Karabağ için kurulacak Türk-Rus Ortak Merkezi'nin detayları neler?“. 04.04.2020. https://www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-55162157 ;
3. „ყარაბაღი: რუსი და თურქი სამშვიდობოები, აზერბაიჯანელი და სომეხი სამხედროები-ვინ რა პოზიციებზეა“. 23.11.2020.
4. https://jam-news.net/ge/yarabaghi-samshvidoboebi-gantavseba-rusuli-turquli-jarebi-raionebi-statusi-azerbaijani-akhali-ambebi/;


13 ქ. მოსკოვი (რფ, 2020 წლის 9-10 ნოემბერი, ინიციატორი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი); ქ. მოსკოვი (რფ, 2021 წლის 11 იანვარი, ინიციატორი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი); ქ. სოჭი (რფ, 2021 წლის 26 ნოემბერი, ინიციატორი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი); ქ. ბრიუსელი (ბელგიის სამეფო, 2022 წლის 7 აპრილი, ინიციატორი ევროკავშირის პრეზიდენტი შარლ მიშელი); ქ. ბრიუსელი (ბელგიის სამეფო, 2022 წლის 31 აგვისტო, ინიციატორი ევროკავშირის პრეზიდენტი შარლ მიშელი); ქ. პრაღა (ჩეხეთის რესპუბლიკა, 2022 წლის 6 ოქტომბერი, ინიციატორი ევროკავშირის პრეზიდენტი შარლ მიშელი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი); ქ. სოჭი (რფ, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ინიციატორი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი).

5. „აზერბაიჯანმა სომეხი ტყვეები დანაღმული ადგილების რუკაში გაცვალა“. 13.06.2021;
6. https://jam-news.net/ge/somkhetshi-dabrunda-azerbaijanshi-dakavebuli-15-samkhedro-romlebic-danaghmu-li-mindvrebis-rukebshi-gacvales/ ;
7. Химшиашвили Полина, „Соглашение по Карабаху. Что получают и теряют стороны Почему в Ереване недовольны условиями и кому согласованные условия выгодны“. 10.10.2020. https://www.rbc.ru/politics/10/11/2020/5faa0bfb9a79472d1159c5e8;
8. https://www.rbc.ru/politics/10/11/2020/5faa0bfb9a79472d1159c5e8 ;
9. „Заявление Президента Российской Федерации“. 10.10.2020. http://kremlin.ru/ events/ president/ news/64381.

# თანამედროვე ომის გამოწვევების ეკონომიკური ასპექტები

**ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემატიკის შესწავლა გახდა როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერებების უმთავრესი ქვაკუთხედი, ისე ფართო საზოგადობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესის ობიექტი. უსაფრთხოებას, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე, ისე არაფერი ემუქრება, როგორც თანამედროვე ომიდან მომდინარე შედეგები. განსხვავებით წინა თაობის ომებისაგან, თანამედროვე ომი მრავალგანზომილებიანია და იგი მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ არასამხედრო განზომილებებს, მათ შორის დიპლომატიურ, ეკონომიკურ, საინფორმაციო, კულტურულ, სოციალურ და ტექნოლოგიურ განზომილებებს. მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომში კარგად გამოჩნდა თანამედროვე ომის ეკონომიკური განზომილების აქტუალურობა, რაც გამოიხატება, ერთის მხრივ, დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის სანქციების დაწესებაში, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის მხრიდან ენერგოშანტაჟსა და ენერგო რესურსების პოლიტიკურ იარაღად გამოყენების არცთუ ისე წარუმატებელ მცდელობაში. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება სწორედ აღნიშნული ეკონომიკური ასპექტების როლი თანამედროვე ომში.

**საკვანძო სიტყვები:**
ეკონომიკური სანქციები, თანამედროვე ომი, ენერგოშანტაჟი, ენერგორესურსები.

# Economic Aspects of the Challenges of Modern Warfare

**Lieutenant Colonel Ioseb Turashvili**
Head of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctoral Student in Political Science of
Caucasus International University

## Abstract

In the modern world, the study of security problems has become both the main cornerstone of international political sciences and the object of vital interest of the general public. Nothing threatens security as much, both internationally and regionally, as the consequences of modern warfare. Unlike wars of previous generations, modern warfare is multidimensional and includes not only military but also non-military dimensions, including diplomatic, economic, informational, social, and technological dimensions. In the modern Russia-Ukraine war, the relevance of the economic dimension of the modern warfare was clearly demonstrated, which is manifested by the imposition of sanctions on Russia by the West on the one hand, and by the energy blackmail and not so unsuccessful attempt by Russia to use energy resources as a political weapon on the other hand. The present paper will discuss the role of the mentioned economic aspects in the modern warfare.

**Keywords:**
Economic sanctions, Modern warfare, Energy blackmail, Energy resources.

## შესავალი

კლასიკური გაგებით ომი არის ,,სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის საშუალებებით გადაწყვეტის უკიდურეს ფორმას.“[1] სამყაროს არსებობის მანძილზე ომის ბუნება მუდმივად განიცდიდა სახეცვლილებას, რაც ძირითადად დამოკიდებული იყო საბრძოლო იარაღების და შემდეგში ტექნოლოგიების განვითარების ტემპებზე. თანამედროვე ომის ბუნებას და მასშტაბებს კი უამრავი ფაქტორი განაპირობებს. შეიძლება ითქვას, რომ ომში მონაწილე აქტორები მსოფლიოს განვითარების პარალელურად ცვლიან საკუთარ მიდგომებს და სტრატეგიებს დასახული მიზნების უფრო წარმატებით მისაღწევად. გლობალიზებულ მსოფლიოში, სადაც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნებს შორის ძალზედ დიდია, არანაირი საჭიროება არსებობს იმისა, რომ მათ ფართომასშტაბიანი ომები აწარმოონ. პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციისთვის საკმარისია „ლოკალური ომები“ და არაპირდაპირი, ფარული ქმედებები. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ არასამხედრო მეთოდების გამოყენებაზე, როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ინფორმაციული, იდეოლოგიური და ფინანსური მეთოდები. თანამედროვე ომი მოწინააღმდეგის არაპირდაპირ განადგურებაზე უნდა იყოს მიმართული და მისი მთავარი მიზანია მტრის სოციო-პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანა და მისი სახელმწიფოებრიობის სრული დესტრუქცია.[2]

## ძირითადი ნაწილი

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია და არაერთი სტატია და ანალიზი დაიწერა მიმდინარე ომის თავისებურებების, მისი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ასპექტების შესახებ. როგორც უკვე ვახსენეთ თანამედროვე ომის ბუნება გასცდა მხოლოდ სამხედრო კომპონენტის გამოყენებას და იგი მრავალგანზომილებიანი ფენომენი გახდა. როგორც კლაუზევიცი ამბობდა ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა მეთოდით. უხსოვარი დროიდან ძლიერი სახელმწიფოები, სწორედაც რომ ომის გზით ცდილობდნენ თავისი ინტერესების მიღწევას, როდესაც დიპლომატია არ იყო საკმარისი. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, სამხედრო კომპონენტის გამოყენებამ ეროვნული ინტერესების განხორციელებისა და გავლენის სფეროების გაზრდის/შენარჩუნების თვალსაზრისით აქტუალობა დაკარგა, რადგან სამხედრო აგრესიას ყოველთვის დიდი მსხვერპლი და ზარალი მოყვება გამარჯვების შემთხვევაშიც კი. შესაბამისად სახელმწიფოები იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც მათ საშუალებას მისცემს მიაღწიონ მოწინააღმდეგეთა მხრიდან საკუთარი გეგმების განხორციელებაზე უარის თქმის ან კომპრომისებზე წასვლის მაღალ ალბათობას. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე რუსეთ-უკრაინის ომის ეკონომიკური ასპექტები. კერძოდ, ერთის მხრივ, დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის სანქციების დაწესება, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის მხრიდან ენერგოშანტაჟისა და ენერგორესურსების პოლიტიკურ იარაღად გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სანქციების რაობა. „სანქცია არის ჯარიმა, რომელსაც ერთი ქვეყანა მეორეს უწესებს, იმისთვის რომ მას შეაწყვეტინოს აგრესიული ქმედებები ან საერთაშორისო სამართლის დარღვევა. სანქციები ხშირად ქვეყნის ეკონომიკაზე, ინდივიდუალური მოქალაქეების ფინანსებზე ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად. სანქციები შესაძლოა ასევე მოიცავდეს მოგზაურობაზე შეზღუდვებსა და იარაღით ვაჭრობაზე ემბარგოს დაწესებას. სანქციები არის ერთ-ერთი ის უკიდურესი ზომა, რომელიც ქვეყნებს შეუძლიათ ომის მდგომარეობის დაწყებამდე მიიღონ.“[3] სანქციები მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა მიმართულებებს. რუსეთისთვის ყველაზე მძიმე ეკონომიკური სანქციებია, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: საბრძოლო და ორმაგი დანიშნულების საქონლით საგარეო ვაჭრობის აკრძალვა, გარკვეული რუსული საქონლის იმპორტის შეჩერება, ასობით რუსი ბიზნესმენისა და მათი კომპანიების საქმიანობის შეჩერება, რუსეთის ეროვნული ბანკის და ოლიგარქების უცხოური აქტივების გაყინვა, მსხვილი რუსული ბანკების „სვიფტ“-ის სისტემიდან გათიშვა, ნავთობის ახალი მილსადენის – „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შეჩერება, რუსეთიდან ცნობილი ბრენდების გასვლა და ა.შ.[4] აღნიშნული სანქციების გავლენა რუსეთის ეკონომიკას და მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა, რასაც მოყვა მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება და ომის წინააღმდეგ გარკვეული ტიპის საპროტესტო აქციები. თუმცა რუსეთმა მალევე ჩაახშო საპროტესტო მოძრაობა მისთვის დამახასიათებელი არადემოკრატიული მეთოდებით, როგორიცაა დარბევები და დაკავებები. ასევე რუსეთის ეკონომიკამ მოახერხა ენერგო რესურსებით მიღებული შემოსავლებით გადარჩენილიყო, მაგრამ აღნიშნულ სანქციებს გააჩნიათ გრძელვადიან ეფექტი და მისი მასშტაბები უფრო და

1 ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. „ომი“. ბიბლიოვიკი. http://www.nplg.gov.ge.
2 გიორგი ბუტიკაშვილი.“რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია“. რუსეთის კვლევის ცენტრი.2021. https://www.crs.ge.
3 ნია აფციაური. “დასავლეთის სანქციები რუსეთს - რას მოიცავს და რა გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე”. ფორმულა. 2022. https://formulanews.ge/News.
4 ბესო ნამჩავაძე. „გაუძლებს თუ არა რუსეთი სანქციებს?“ ფორბეს. 2022 . https://forbes.ge.

უფრო იზრდება.

რუსული აგრესიის გაგრძელებასა და ზამთრის მოახლოებასთან ერთად ევროპის ენერგომომავალი უფრო და უფრო აქტუალური საკითხი ხდება. ამას, ერთი მხრივ, განაპირობებს ევროპის მაღალი დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე, მეორე მხრივ – ალტერნატიული მომწოდებლების მოძიების გრძელი პროცესი და ასევე, მოსკოვის მხრიდან ევროპისთვის გაზის მიწოდების ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. დასავლური სანქციების რვა პაკეტმა ვერ ამოიღო მიზანში რუსული ბუნებრივი აირი მაშინ, როდესაც შეზღუდვები შეეხო ისეთ ენერგეტიკულ რესურსებს, როგორებიცაა ნედლი ნავთობი და ქვანახშირი. ფაქტია, რომ ევროპას უჭირს უარის თქმა რუსულ გაზზე, თუმცა რუსეთმა თავად დაიწყო ამ მხრივ პრობლემების შექმნა და ამ რესურსის შანტაჟის იარაღად გამოყენება.[5]

## დასკვნა

რომ შევაჯამოთ, „ეკონომიკური სანქციები არის შუალედური „გაჩერება“ პრობლემის მოსაგვარებლად წარუმატებელ დიპლომატიურ მცდელობასა და შეიარაღებულ ჩარევას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანქციების ამოქმედებით მათი ავტორი ან ავტორთა ჯგუფი აღიარებს, რომ მხოლოდ პოლიტიკური გზებით მოქმედებამ, მეტწილად, ფიასკო განიცადა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორებს აქვთ სრული სურვილი, განზრახვა და მზაობა უსწორობის გასასწორებლად ღიად მიმართონ სამხედრო ხერხებს.“[6] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე, არცერთი მხარე არ მოელოდა მოვლენების მსგავს განვითარებას. კერძოდ, რუსეთი არ მოელოდა მასზე ენერგორესურსებით დამოკიდებული დასავლეთის მხრიდან მსგავსი ეკონომიკური სანქციების დაწესებას, ხოლო დასავლეთი კი ნაკლებად ვარაუდობდა, რომ რუსეთი გამოიყენებდა თავის ძირითად შემოსავლის წყაროს-ენერგორესურსებს პოლიტიკური იარაღისა და ზეწოლის საშუალებად. თუმცა, თანამედროვე ომში აღნიშნული ეკონომიკური მეთოდების გამოყენების მიზანია მოწინააღმდეგე მხარეთა პოლიტიკური მიზნების მიუღწევლობა და ამით მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მოსახლეობის დესტრუქცია, რათა მოხდეს არსებული პოლიტიკური რეჟიმების ცვლილება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბესო ნამჩავაძე. „გაუძლებს თუ არა რუსეთი სანქციებს?“ ფორბეს. 2022. https://forbes.ge; (25.11.2022);
2. გიორგი ბუტიკაშვილი.“რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია“. რუსეთის კვლევის ცენტრი.2021. https://www.crs.ge (25.11.2022);
3. დავით შატაკიშვილი. „რუსეთ-უკრაინის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2022. (25.11.2022);
4. ვიქტორ ყიფიანი. „ეკონომიკური სანქციის რაობა: რამდენიმე მიმდინარე მოსაზრება ომის ფონზე“. ჯეოქეისი. 2022;
5. ნია აფციაური. “დასავლეთის სანქციები რუსეთს - რას მოიცავს და რა გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე”. ფორმულა. 2022. https://formulanews.ge/News (25.11.2022);
6. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. „ომი“. ბიბლიოვიკი. http://www.nplg.gov.ge (25.11.2022).


5 დავით შატაკიშვილი. „რუსეთ-უკრაინის გავლენა ევროკავშირის ეკონომიკაზე“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2022.

6 ვიქტორ ყიფიანი. „ეკონომიკური სანქციის რაობა: რამდენიმე მიმდინარე მოსაზრება ომის ფონზე“. ჯეოქეისი. 2022.

# სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ორგანიზაცია სუამი და გამოწვევები შავი ზღვის რეგიონულ ურთიერთობებში

**თავდაცვის პოლკოვნიკი კახა პეტრიაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორის ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ორგანიზაცია „**სუამი**". სუამის წევრ ქვეყნებს შორის გაჟღერდა თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ ნორმებს ეფუძნებოდნენ. ეს იყო: სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, ძალის არგამოყენების პრინციპი, პატივისცემა ტერიტორიული მთლიანობისადმი, ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და საზღვრების ხელშეუხებლობა.

„**სუამის**" წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა დინამიურად ვითარდებოდა, თუმცა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა, სხვა პრობლემებთან ერთად, სუამის საქმიანობაშიც გამოიწვია შეფერხება. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბოლო დროს საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური რეალიზმის პრინციპები კვლავ აღორძინდა და ძალის ფაქტორმა ახალი როლი შეიძინა, ამიტომაც უმთავრესი აქცენტი სახელმწიფოებს შორის ორმხრივ თანამშრომლობაზეა გადატანილი.

**საკვანძო სიტყვები:**
სუამი, ასამბლეა, შავი ზღვის რეგიონი, უსაფრთხოება, მსოფლიო ახალი წესრიგი, უკრაინა, საქართველო.

# Interstate Regional Organization SUAM and Challenges in the Black Sea Regional Relations

**Defense Colonel Kakha Petriashvili**
Doctoral student of the International Relations Program of
Technical University of Georgia

## Abstract

GUAM is an international regional organization established in October 1997 by several republics of the former Soviet Union. (Georgia, Ukraine, Azerbaijan, Moldova). The most important principles of the cooperation, which were based on the basic norms of international law, were announced among the member countries of GUAM.

These principles were: the equality of states, the principle of non-use of force, respect for territorial integrity, non-interference in the internal affairs of countries and inviolability of borders.

The cooperation between the member countries of GUAM was developing dynamically, however, the recent events and the ongoing war in Ukraine, along with other problems, caused a delay in the activities of GUAM.

In addition to this, recently, the principles of political realism have been revived in international relations and the force factor has acquired a new role, therefore the main emphasis has been shifted to bilateral cooperation between states.

**Keywords:**
GUAM; Assembly; Black Sea Region; Safety; New Word Order; Ukraine; Georgia.

## შესავალი

აღსაღნიშნავია, რომ სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ორგანიზაცია-„**სუამი**“, რომელიც შეიქმნა 1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის - საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის მიერ (1999 წლიდან 2005 წლამდე იგი ასევე მოიცავდა უზბეკეთს). ორგანიზაციის სახელწოდება არის აკრონიმი, რომელიც შედგება მასში გაერთიანებული სახელმწიფოების სახელებისგან. უზბეკეთის გამგზავრებამდე მას სუვამის ქვეყნები ერქვა.

1997 წლის 10 ოქტომბერს სტრასბურგში „სუამის“ ფარგლებში საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის თანამშრომლობა მიმდინარეობდა საკონსულტაციო ფორუმით, სადაც მიღებული იქნა დეკლარაცია. 1999 წლის 25 აპრილს ორგანიზაციას შეუერთდა უზბეკეთი და მას ეწოდა „**სუუამი**“.

## ძირითადი ნაწილი

„**სუუამის**“ უმთავრეს პრინციპს და დეკლარაციას მემორანდუმით, წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს 2000 წლის სექტემბერში გაეროს შტაბბინაში გამართულ შეხვედრაზე. მემორანდუმში აისახა ისეთი პრინციპები, როგორიცაა ერთგულება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისადმი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, ძალის გამოუყენებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, საშიანო საქმეებში ჩაურევლობა და საზღვრების ხელშეუხებლობა. დოკუმენტში დადასტურებულია, რომ წევრი სახელმწიფოები ვერ შეურიგდებიან ვერავითარ კანონსაწინააღმდეგო აქტს და რაც მთავარია ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. გაკეთებულ იქნა მიმართვა გაეროსადმი, რათა მის ფარგლებში შექმნილიყო ანტიტერორისტული ცენტრი.[1]

იალტის სამიტზე 2001 წლის 6-7 ივნისს ხელი მოეწერა „**სუუამის**“ ქარტიას, რომელიც ითვლება ორგანიზაციის შექმნის ფორმალურ თარიღად. შემდეგ 2002 წელს კი უზბეკეთმა განაცხადა, რომ ორგანიზაციიდან გადიოდა და უგულებელყო „**სუამის**“ სამიტები და შეხვედრები.[2]

მომდევნო წლებში ორგანიზაციამ სტაგნაცია განიცადა: 2004 წელს იალტის შეხვედრას ხუთიდან მხოლოდ ორი ესწრებოდა, მაგრამ შემდგომმა ფერადმა რევოლუციებმა - პროდასავლური და ანტირუსული მმართველი აპარატების დაპირისპირება საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. „**სუუამის**“ ორგანიზაციში გაერთიანებული წევრების თანამშრომლობა და კოორდინაცია უფრო აქტუალურია, რაც ანალიტიკოსთა აზრით, **SUAM**-ის მნიშვნელობას ზრდის.

„**სუუამის**“ შემდეგი სამიტი გაიმართა 2005 წლის 22 აპრილს კიშინიოვში (მოლდოვა). შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი და პოლონეთის პრეზიდენტი, რომლებიც ასევე იყვნენ მიწვეული. თუმცა, დამკვირვებლთა ჯგუფს წარმოადგენდნენ: **ტრაიან ბასესკუ** რუმინეთის პრეზიდენტი, **ვალდას ადამკუსი** ლიტვის პრეზიდენტი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი ევრაზიაში სტივენ მანი და ეუთოს გენერალური მდივანი იან კუბისი. კიშინიოვში რუსეთის ელჩმა რუსეთის წარმომადგენლის არმოწვევისათვის გამოთქვა უკმაყოფილება.

უზბეკეთმა 2005 წლის 5 მაისს ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა, „**სუუამს**“ კი კვლავ „**სუამი**“ ეწოდა.

„**სუამის**“ ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების საბჭო ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა. ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტი კი სამუშაო ორგანოა, იგი შედგება „**სუამის**“ ორგანიზაციში გაერთიანებული წევრების თითო ერთი კოორდინატორისგან.

კიევში მდებარეობს „**სუამის**“ საინფორმაციო ოფისი. იგი შედგება რვა სამუშაო ჯგუფისაგან მიმართულებების მიხედვით: სატრანსპორტო, ენერგო-საინჟინრო, საინფორმაციო საშუალებები და ტელეკომუნიკაციები, სავაჭრო - ეკონომიკური, მეცნიერება და განათლება, კულტურა, ტურიზმი, ანტიტერორიზმი, ორგანიზებული კრიმინალისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა.[3]

2005 წლის 22 აპრილს კიშინიოვის სამიტზე პრეზიდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება „**სუამის**“ კავშირის საფუძველზე ახალი საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა 2001 წელის „**სუამის**“ ქვეყნების პრეზიდენტების ხელის მოწერაზე იალტის ქარტიაზე და 2005 წელს მიღებული კიშინიოვის დეკლარაციაზე.

2005-2006 წლებში განხორციელდა „**სუამის**“ ექსპერტთა 5 შეხვედრა და ევროპის კოორდინატორთა კომიტეტის სხდომები, ახალად დაფუძნებელი ორგანიზაციის დოკუმენტების შემუშავებისა და შეთანხმებისათვის. ქ. კიევში 2006 წლის 22-23 მაისს, „**სუამის**“ მომდევნო სამიტზე, „**სუამის**“ გაერთიანების საფუძველზე დაარსდა ახალი ორგანიზაცია - „**დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების**“ ორგანიზაცია - „**სუამი**“. ახალი ორგანიზაციის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა „**სუამის**“ კიევის დეკ-

1 გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., შავი ზღვის აუზში მიმდინარე ინტერგრაციული პროცესები (1991-2008), ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009. გვ. 159.

2 http://geoeconomics.ge/?p=2906 ალადაშვილი ბ., სუამი – ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება: პრობლემები და პერსპექტივები.

3 სუამის წესდება https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/GUAM-Docs/Charter-Of-Organization-GUAM.aspx.

ლარაციით გაერთიანრბულ ქვეყანათა სახელმწიფო მეთაურების მიერ, ორგანიზაციის წესდებისა და სხვა დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერით.

ახალ ორგანიზაციას ნაწილობრივ შეუნარჩუნდა სახელწოდება და ახალ დასახელებაში კვლავ ფიგურირებს გაერთიანების ადრე არსებული აბრევიატურა „**სუამი**". აღსაღნიშნავია, რომ ახალი ორგანიზაციის გაფართოების შემთხვევაშიც კი, ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) აბრევიატურა მაინც რჩება „**სუამი**". ამ სახელწოდების შენარჩუნება გამოწვეულია ორგანიზაციის პოპულარობით საერთაშორისო ასპარეზზე.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - „**სუამის**" ძირითადი მიზნებია:

- დემოკრატიული ღირებულებების, კანონის უზენაესობის დამკვიდრება და ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა;
- სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერება;
- ევროინტეგრაციის გაღრმავება უსაფრთხოების საერთო სივრცის შესაქმნელად, ასევე ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება;
- მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება;
- პოლიტიკური ურთიერთობისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურება ორმხრივი ინტერესის სფეროში.

ახალი ორგანიზაციის სტურქტურა წარმოადგენს:

1. საბჭო - არის ორგანიზაციის ძირითადი ორგანო, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს სახელმწიფო მეთაურების (სამიტი), საგარეო საქმეთა მინისტრების, ეროვნული კოორდინატორებისა და მუდმივი წარმომადგენლების დონეზე;
2. სამდივნო - ახორციელებს „**სუამის**" საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სამდივნო ფუნქციონირებს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

„**სუამის**" ორგანოებში ყველა მხარის მონაწილეობით მიიღება გადაწყვეტილებები, არჩევნების გარეშე, კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმებით. „**სუამი**" წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის. ორგანიზაციას ყავს თავმჯდომარე, რომელიც როგორც წესი წარმოადგენს ერთ-ერთ მხარეს და მისი დანიშვნა ხდება ერთი წლის ვადით, ინგლისური ანბანის, წევრი სახელმწიფოების სახლწოდებათა რიგითობის მიხედვით.

„**სუამი**" ღიაა სხვა სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იღებენ ვალდებულებას დაიცვან, როგორც ამ ქარტიის დებულებები, ასევე 2001 წლის „**სუამის**" იალტის ქარტიის დებულებები და „**სუამის**" 2005 წლის კიშინიოვის სახელმწიფო მეთაურების დეკლარაციის „დემოკრატიის, სტაბილურობისა და განვითარების" დებულება.[4]

საყურადღებოა, რომ ახალ ორგანიზაციაში ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი დარგებია ეკონომიკა, უსაფრთხოება და დემოკრატია. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია „**სუამის**" წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში, ასევე უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარების, სტაბილურობისა და დემოკრატიის გასაძლიერებლად და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ძალისხმევის კოორდინაცია. ამ მიმართულებით ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა უნდა ემსახურებოდეს ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

შეთანხმების შედეგად ახლად დაარსებული ორგანიზაციის ფარგლებში აქტიურად უნდა გაგრძელებულიყო არსებული ხელშეკრულებებისა და პროექტების განხორციელება და რათქმაუნდა პრიორიტეტულ სფეროებს უნდა მინიჭებოდათ თანამშრომლობის ახალი კომპონენტები. დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციამ - „**სუამმა**" პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგა, როდესაც 2006 წლის სამიტზე პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს „**სუამის**" ორგანიზაციაში მონაწილე სახელმწიფოების საქონლის წარმოშობის დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა 2002 წელს ხელმოწერილი შეთანხმებას, სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ზონის შექმნას. საყრადღებოა, რომ ხსენებულ ოქმზე ხელმოწერა, შეთანხმების სრულყოფილად შესრულების შესაძლებლობას იძლევა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და განვითარებას „**სუამის**" ქვეყნებს შორის.[5]

პარალელურად, გაგრძელდა მუშაობა „**სუამის**" ფარგლებში საპარლამენტო ასამბლეისა და დარგობრივი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის გააქტიურება. „**სუამის**" ქვეყნების მუდმივი დიპლომატიური მისიები აქტიურად თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ნატო და ევროკავშირი, ასევე ევროპის საბჭო.). აღნიშნულ ორგანიზაციებში „**სუამის**" სახელით რეგულარულად კეთდებოდა განცხადებები სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე.[6]

„**სუამის**" ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებების <u>გაფართოება. მნ</u>იშვნელოვანი იყო უშიშროების საბჭოს მდივნების შეხვედრები, „**სუამის**" ორგანიზაციაში

4 https://geomissionguam.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=638&lang=1.

5 სუამი ოფიციალურ რეგიონალურ ორგანიზაციად ყალიბდება https://civil.ge/ka/archives/138065.

6 https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx.

ახალი ინიციატივების დანერგვის მიზნით. განსაკუთრებით აქტუალობა მოიპოვა კონფლიქტების მოგვარებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებმა. კონფლიქტების მოგვარებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე „**სუამის**“ ფარგლებში არსებობდა სასწავლო ჯგუფები, მათი შეხვედრები იმართებოდა ხშირად და იყო მოთხოვნა, რომ შეემუშავებინათ „**სუამის**“ ერთიანი პოზიცია აღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

„**სუამის**“ ბოლო სამიტი ჩატარდა 2008 წელს ბათუმში,[7] თუმცა შეხვედრები სხვადასხვა დონეზე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგ. 2019 წლის 12 დეკემბერს, კიევში ჩატარდა „**სუამის**“ წევრი სახელმწიფოების მთავრობათა ხელმძღვანელების მესამე შეხვედრა; 2018 წლის 5 ოქტომბერს კიშინიოვში გაიმართა „**სუამის**“ წევრი ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელების მეორე შეხვედრა; 2017 წლის 27 მარტს ისევ კიევში, გაიმართა „**სუამის**“ წევრი ქვეყნების პრემიერ-მინისტრების პირველი შეხვედრა (და „**სუამის**“ პირველი ბიზნეს-ფორუმი);[8] „**სუამის**“ ბოლო სამიტი ქვეყნების პრეზიდენტების დონეზე გაიმართა 2008 წელს ქ. ბათუმში; 2017 წლის 8 ოქტომბერს თბილისში გაიმართა „სუამის“ საგანგებო მინისტერიალი, „**სუამის**“ 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით; 2017 წელს აღინიშნა „**სუამის**“ და იაპონიის თანამშრომლობის 10 წლის იუბილე;[9] 2019 წლის 17-23 მარტს გაიმართა თემატური სემინარი ინვესტიციების ხელშეწყობის საკითხებზე; 2018 წლის 28 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით იაპონიაში „**სუამის**“ ექსპერტებისთვის ტრადიციული სემინარი გაიმართა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებზე; 2017 წლის 21-24 სექტემბერს იაპონიაში საერთაშორისო გამოფენაზე „Japan Expo 2017“ მოეწყო „**სუამის**“ ერთობლივი სტენდი.[10]

## დასკვნა

დღეისათვის „**სუამი**“ ერთ-ერთი საყურადღებო რეგიონული ორგანიზაციაა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იგი უმაღლეს დონეზე ასრულებს თავის მოვალეობებს. ეს განპირობებულია დღეისათვის შექმნილი საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარებით. ომმა უკრაინაში აშკარად გვიჩვენა, რომ ორმხრივ ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე გლობალურ მიმართულებებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოთ შორისი გაერთიანებები საერთაშორისო არენაზე ვერ ამბობენ თავიანთ სიტყვას, ამის მაგალითად მარტო დასავლეთის ქვეყნების დახმარება გამოდგება უკრაინის მიმართ, მაგრამ აშკარაა, რომ დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური რეალიზმის დომინირება შეინიშნება და სახელმწიფოს როლი კვლავაც გაზრდილია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გრიგოლია თ., ამირგულაშვილი მ., კვეტენაძე ზ., შავი ზღვის აუზში მიმდინარე ინტერგრაციული პროცესები (1991-2008), ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009;
2. http://geoeconomics.ge/?p=2906 ალადაშვილი ბ., სუამი – ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება: პრობლემები და პერსპექტივები;
3. სუამის წესდება https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/GUAM-Docs/Charter-Of-Organization-GUAM.aspx;
4. https://geomissionguam.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=638&lang=1
5. სუამი ოფიციალურ რეგიონალურ ორგანიზაციად ყალიბდება https://civil.ge/ka/archives/138065;
6. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx;
7. ბათუმში სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეისა და ბალტიის ასამბლეის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა; https://parliament.ge/media/news/the-guam-pa-and-baltic-assembly-joint-international-conference-in-batumi
8. https://netgazeti.ge/news/182648/;
9. სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროსა და კომიტეტის წევრების შეხვედრა https://parliament.ge/media/news/suam-is-saparlamento-asambleis-biurosa-da-komitetis-tsevrebis-shekhvedra;
10. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx.


7 ბათუმში სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეისა და ბალტიის ასამბლეის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.
https://parliament.ge/media/news/the-guam-pa-and-baltic-assembly-joint-international-conference-in-batumi
8 https://netgazeti.ge/news/182648/.
9 სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროსა და კომიტეტის წევრების შეხვედრა.
https://parliament.ge/media/news/suam-is-saparlamento-asambleis-biurosa-da-komitetis-tsevrebis-shekhvedra
10 https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/About-GUAM.aspx.

# საინფორმაციო ომის გამოწვევები და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

**ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე**
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი,
თავდაცვის ანალიზის მაგისტრი

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ომების ტრანსფორმაციის ოთხი ეტაპი და მეოთხე თაობის ომი დაკავშირებულია თანამედროვე ომის გამოწვევებთან. მეოთხე თაობის ომის სხვადასხვა მახასიათებლიდან აქცენტი გაკეთებულია საინფორმაციო ომიდან მომდინარე საფრთხეებზე.

მსოფლიო გლობალიზაცია და თანამედროვეობის გამოწვევები მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, და კონკრეტულად, შავი ზღვის რეგიონი მოწყვლადია მეოთხე თაობის ომის გამოწვევების მიმართ, რადგან რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსი მნიშვნელოვნად აუარესებს რეგიონის უსაფრთხოებას. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები ცხადყოფს, რომ ქვეყნის მოსახლეობის განწყობების ცვლილება და მათ აზროვნებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება ხელს შეუშლის ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის პროცესს.

რუსეთის მძლავრი საინფორმაციო და პროპაგანდისტული მანქანისთვის საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ქვეყანას რეგიონში, რადგან მისი მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური მოსახლეობა იძლევა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების მოშლის შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ჰქონდეს ნათლად განსაზღრული და ჩამოყალიბებული სტრატეგია დეზინფორმაციისა, და ზოგადად, საინფორმაციო ომის გამოწვევების აღმოსაფხვრელად.

**საკვანძო სიტყვები:**
საინფორმაციო ომი, პროპაგანდა, ეროვნული უსაფრთხოება.

# Challenges of Information Warfare and National Security of Georgia

**Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze**
Head of Defence and Security Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Degree in Defence Analysis

## Abstract

The present paper discusses the four stages of the transformation of wars and relates the fourth generation warfare to the challenges of modern warfare. Among the different characteristics of the fourth generation warfare, the emphasis is placed on the threats arising from the information warfare.

World globalization and the challenges of modernity indicate that the current processes in the world, and specifically, in the Black Sea region, they are vulnerable to the challenges of the fourth generation warfare, as the geopolitical position in the region and the course of Russia's foreign policy significantly worsen the security of the region. Accordingly, the national security challenges of Georgia make it clear, that the changes in the attitudes of the population of the country and the stirring up of anti-Western attitudes in their thinking will hinder the integration process into the Euro-Atlantic organizations.

For Russia's powerful information and propaganda machine, Georgia is one of the most vulnerable countries in the region, as its multi-ethnic and multi-religious population provides an opportunity to undermine the internal security of the country. Accordingly, it is important for the Georgian state to have a clearly defined and established strategy eliminating the challenges of disinformation and information warfare in general.

**Keywords:**
Information warfare, Propaganda, National security.

## შესავალი

კაცობრიობის არსებობის და განვითარების ისტორიული რაკურსი ნათლად წარმოაჩენს ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებსა და ქვეყნებს შორის უთანხმოების გადაჭრის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, რომელსაც შეიარაღებული დაპირისპირება/ომი ეწოდება. რას ნიშნავს ომი? თავისთავად ტერმინმა საუკუნეების განმავლობაში შინაარსობრივი დატვირთა შეიცვალა და სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის და მასშტაბის მოვლენად ჩამოყალიბდა. კლასიკური გაგებით, ომი არის სახელმწიფოებს შორის უთანხმოების სამხედრო გზით გადაწყვეტის საშუალება. ქვეყნებს შორის დაპირისპირება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ეკონომიკური, იდეოლოგიური, რელიგიური, ტერიტორიული ან სხვა ისეთი მიზეზით, რომელიც სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების გატარებისთვის ხელსაყრელი ან საფრთხის შემცველი მოცემულობაა.[1] ომის განმარტებაში, სახელმწოფოებს შორის ურთიერთობაზე ხაზგასმა თავისთავად მიანიშნებს, რომ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია ომის წარმოების საშუალებებზე. კლაუზევიცი თავის ნაშრომში ,,On War'' წერს, რომ ომი არ არის დამოუკიდებელი ფენომენი და ის არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით.[2]

დროთა განავლობაში, მსოფლიოს განვითარებასთან, გლობალიზაციასთან და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად დაიხვეწა ომის წარმოების მეთოდებიც. შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნეში მიმდინარე ომების წარმოების მეთოდები არის განსხვავებული, თანამედროვე ტექნოლოგიების და სხვა არასამხედრო ფაქტორების დახმარებით, როგორიცაა დიპლომატიური, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებების ერთობლივი, კოორდინირებული, ღია და ფარული გამოყენება.[3] ჩამოთვლილი არასამხედრო ასპექტებიდან ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გამოწვევად შეიძლება მიჩნეულ იქნას საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში საინფორმაციო ომის ან საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის სახელწოდებით გვხვდება. საინფორმაციო ომის უმთავრესი დანიშნულება არის ,,ფუნქციათა ერთობლიობა, რომელთა ინტეგრირებული, კოორდინირებული მოქმედებები უზრუნველყოფს კოორდინირებულ და სინქრონიზებულ ზემოქმედებას მოწინააღმდეგის, პოტენციური მოწინააღმდეგისა და სხვა განსაზღვრულ სამიზნე აუდიტორიებზე, საინფორმაციო პროცესებსა და სისტემებზე, ასევე მათ განზრახვაზე, აღქმის უნარსა და შესაძლებლობებზე სასურველი ეფექტის მოსახდენად".[4] საონფორმაციო ომის განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის, მრავალეთნიკური მოსახლეობის, პროდასავლური პოლიტიკური კურსის და იმპერიალისტური მიდგომების მქონე მეზობელი სახელმწიფოს გათვალისწინებით ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ქვეყანაა საინფორმაციო ომის გამოწვევების წინააღმდეგ.

სტატიის **საკვლევ პრობლემას** წარმოადგენს მძლავრი საინფორმაციო ომის კამპანიისთვის მოუმზადებელი მოსახლეობა, მათი იდეოლოგიის და ეროვნული ერთიანობის ნაკლებობა მოწყვლადია საინფორმაციო ომი გამოწვევებისთვის, რაც, თავის მხრივ, საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების საფრთხეს ქმნის. აღნიშნული მოცემულობა ასევე პირდაპირ პროპორციულად ზრდის რუსეთის სამხედრო საფრთხის ალბათობას და რადიკალურად ამცირებს პროდასავლური კურსით განვითრების პერსპექტივას.[5]

ნაშრომის **მიზანია** დაადგინოს, რა გამოწვევები გააჩნია საინფორმაციო ომს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხებასთან მიმართებაში, კერძოდ, რა საშუალებებით ახდენს უარყოფით გავლენას მოსახლეობის იდეოლოგიის, აღქმის შეცვლა-ჩამოყალიბებაზე და სახელმწიფოს დასავლური კურსით განვითრების ვექტორზე.

## ძირითადი ნაწილი

სამხედრო ექსპერტები, უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები და მეცნიერები ბოლო ათწლეულში მიმდინარე ომებს მოიხსენიებს, როგორც თანამედროვე, ჰიბრიდულ ან ახალი თაობის ომებად. რომელიც ტარდიციული საომარი კამპანიებისგან განსხვავებით მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების, შეიარაღბის და მეთოდების გამოყენებით. ახლად დამკვიდრებული ტერმინების უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ომების ტრანსფორმაციის შესწავლაზე. სამხედრო სპეციალისტებმა ამერიკიდან უილიამ ლინდსმა და გრეგორი თეილმა წიგნში ,,4th Generation Warfare Handbook'' მოახდინეს ომის ტრანსფორმაციის ოთხ თაობად დაყოფა.

**პირველი თობის ომის** საფუძველი ეყრება ვესტფალის ზავის პერიოდიდან როდესაც დაიწყო სრულიად ახალი სამხედრო კულტურის აღმოცენება. სამხედრო კულტურის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ახალი ცნების შემოტანამ საზოგადოებაში, გაჩნდა ,,სამხედრო'' და ,,სამოქალაქო'' მიმართულების წარმომადგენლები. ამ პერიდში ხდება არმიების, ფორმირებების ტრანსფორმაცია, რომელიც გამოიხატებოდა სამხედრო უნიფორმაში, დისციპლინაში და ქვედანაყოფების საბრძოლო წყობაში. ამ პერიოდის ბრძოლები

1 Clauzewits Carl Von. On War. New Jersey. Princeton University Press. 1989 y, 75.
2 Clauzewits Carl Von. On War. 1989 y, 57.
3 „ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში", Europe for Georgia. 2017 წ.
4 თავდაცვის სამინისტრო. საინფორმაციო ოპერაციები. თბილისი. 2019 წ., 15.
5 საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი. 2013 წ., 5-9.

მიმდინარეობდა ხაზის და კოლონის ტაქტიკის გაოყენებით.[6]

**მეორე თაობის ომის** დაწყებას ინიცირება გაუკეთა ხრახნლულიანი იარაღის, ტყვიამფრქვევის, არტილერიის და სხვა ახალი ტექნოლოგიების გამოჩენამ. ტექნოლოგიურმა განვითერბამ თვისთავად გავლენა მოახდინა სამხედრო ტაქტიკის განვითერებაზეც და ასპარეზზე ბრძოლის წარმოების ახალი სამხედრო მიდგომები გამოჩნდა. მეორე თაობის ომში საცეხლე საშუალებების ეფექტურობას მანიშნებელია ფრანგების გამოთქმა ,,არტილერია იპყრობს ქვეითი იკავებს''. მკვლევარების აზრით მეორე თაობის ომმა კულმინაციას მიღწია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.[7]

**მესამე თობის ომის** ნათელი მაგალითი არის მეორე მსოფლიო ომი, სადაც სამხედრო ტაქტიკა სრულიად სხვა მიმართულებით ვითრდება. ნაცვლად მასირებული ცეცხლის, სწორხაზოვანი ტაქტიკის და გამოფიტვისა სამხდრო დოქტრინები ორიენტირებული გახდა მოწინააღმდეგის სისუსტის მიმართ მანევრის განხორციელებაზე. საბრძოლო მოქმედებებში მანევრის და მობილურობის შემოტანას ეწოდა ,,ბლიცკრიგი'' რომელსაც გერმანელები წარმატებით იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს.[8]

**მეოთხე თაობის ომში** ლინდსის და თეილის განმარტებით ქრება ცნებები კლაუზევიცის ,,სამების შესახებ. თანამედროვე საომარი მოქმედებები აქრობს საზღვრებს სამხედროებს, ხალხა და მთავრობას შორის. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა დაკარგა ფრონტის ცნებამ რადგან ტექნოლოგიბის სწრაფმა განვითრებამ და გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ბრძოლის წარმოების შესაძლებლობას ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერში და საინფორმაციო სივრცეში. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე თაობის ომი მიმდინარეობს ყველგან და ყველა მიმართულებით.[9]

ზემოდ განხილული ექსპერტთა მოსაზრებების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ახალი თაობის, თანამედროვე, ჰიბრიდული და მეოთხე თობის ომი მათი სპეციფიკის მიხედვით ერთი და იგივე მოცემულობაა. როგორც უკვე ვთქვით მეოთხე თაობის ომს აქვს განხორციელების სხვადასხვა მიმართულელები სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით და ასევე აქვს განხორციელების ფაზები.

ა) მნიშვნელოვანია სამხედრო სპეციალური მოქმედებები დაიწყოს მშვიდობიან პერიოდში, როცა კონფლიქტის ესკალაცის ნიშნები თვალსაჩინოდ არ შეიმჩნევა.

ბ) მიზანშეწონილია არა სამხედრო არამედ გაურკვეველი ტიპის შენაერთების, დანაყოფების, დაჯგუფეფების გამოყენება, რომელთ იდენტიფიცირება შეუძლებელია.

გ) ბრძოლები უფრო მეტად მიმდინარეობს საინფორმაციო ველზე ნაცვლად ხმელეთის, ზღვის და ჰაერისა.[10]

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ თანმიმდევრობით ახორციელებს მეოთხე თაობის ომს რუსეთის ფედერაცია პროდასავლურად განწყობილი ქვეყნების წინააღმდეგ. რუსეთი განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩევა პოსტ საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური მიდგომებით და აქტიურად იყენებს საინფორმაციო ომის საშუალებებს. გასული საუკუნიდან მოყოლებული რუსი სამხედრო თეორიტიკოსები და პროპაგანდისტები საუბრობენ რუსული სამხედრო თეორიის სახეცვლილებაზე და ვექტორი ტრადიციული მიდგომიდან სხვა მიმართულებით გადააქვთ. სამხედრო თეორიტიკოსები ალექსამდრე დუგინი, ევგენი მესნერი, ვალერი გერასიმოვი და სხვები თავიანთ ნაშრომებში აქცენტს აკეთებენ განსხვავებულ მიდგომებზე. მათი აზრით ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს, ,,არასამხედრო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ინფორმაციული, იდეოლოგიური და ფინანსური მეთოდების გამოყენებაზე და მოწინააღმდეგის, ამ გზით, არაპირდაპირ განადგურებაზე უნდა იყოს მიმართული. მთავარი მიზანია მტრის სოციო-პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანა და მისი სახელმწიფოებრიობის სრული დესტრუქცია''.[11]

საინფორმაციო ომის ეფექტურად წარმოებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღროს ომის წარმოების მეთოდები და სამიზნე აუდიტორია. სამიზნე აუდიტორიის შერჩვისას უნდა განისაზღვროს მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. მსგავს სამიზნე აუდიტორიებში შედარებით მარტივად ხდება განსხვავებული აზრის ჩანერგვის, არსებული იდეოლოგიის მოშლის და უკმაყოფილების გაღვივება. კრემლის საინფორმაციო კამპანიისთვის საქართველოში ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფები არიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები. რუსულ ენოვანი ინტერნეტ, სატელევიზიო, წერილობითი მედიის საინფორმაციო წყაროების პოპულარობის ხარისხი ეთნიკურ უმცირესობებით სადახლებულ რეგიონებში განპირობებულია სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი ხარისხით. ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე წარმოადგენს სამოქალაქო ჩართულობის და ინტეგრაციის ერთ ერთ ყველაზე დიდ ბარიერს. შესაბამისად რუსეთის საინფორმაციო პროპაგანდისთვის ეთნიკური უმცირესობებში განსხვავებული იდეოლოგიის ფორმირებისთვის სასურველი ნიადაგია შექმნილი. გარდა ეთნიკური უმცირესობებისა

6 Lind William and Thiel Gregory.4th Generation Warfare Handbook. Published by Castalia House Kouvola, Finland. 2015 y., 360-362.

7 Lind William and Thiel Gregory.4th Generation Warfare Handbook. 2015 y., 363-365.

8 Lind William and Thiel Gregory.4th Generation Warfare Handbook. Finland. Published by Castalia House Kouvola 2015 y., 366-369.

9 Lind William and Thiel Gregory.4th Generation Warfare Handbook. 2015 y., 371-377.

10 „ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში“ Europe for Georgie. 2017 წ.

11 ბუტიკაშვილი გიორგი. „რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია“. თბილისი. The Center For Russian Studies. 2021 წ.

პროპაგანდის საშუალებით კრემლი ცდილობს ქართულ საზოგადოებაში დასავლური ვექტორის მიმართ ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას ტრადიციული ღირებებულებებზე დაფუძნებული მორალურ-ზნეობრივი ნორმების აპელირებით.[12]

საქართველოსთან მიმართებაში კრემლი აქტიურად იყენებს სატელევიზიო და ინტერნეტ საინფორმაციო საშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს და პრორუსულად განწყობილი სასულიერო პირებს. აღნიშნული ფაქტი დასტურდება სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის 2020-2021 წლების ანგარიშებშიც. რუსეთის საინფორმაციო ომის მიზნები საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად. საქართელოს მოსახლეობაში ანტი დასავლური განწყობების გაღვივება და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების მცდელობის შეფერხება, რუსული განწყობების პოპულარობის გაზრდა, საზოგადოებაში ცრუინფორმაციის გავრცელებით გაურკვევლობის, სიძულვილის, შიშის დანერგვა და სხვა.

მასობრივ საინფორმაციო საშუალებების გამოყენების კუთხით აღსანიშნავია მედია საშუალებების მასშტაბური გამოყენება. ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის'' კვლევების შედეგად დასტურდება, რომ საქართველოს მოსახლეობის 77% პოლიტიკურ და მიმდინარე ამბებს ტელევიზორის საშუალებით იღებს. მათგან თითქმის ნახევარი 47 % ქართულ არხებთან ერთად ხშირად უცხო ენეოვან არხებსაც უყურებს, ხოლო გამოკითხულთა 23 % მათი ენობრივი ბარიერის გათალისწინებით სრულად რუსულენოვან მედია საშუალებებიდან იღებს ინფორმაციას. ქართულ საინფორმაციო სივრცეში ყველაზე პოლულარული რუსული ტელეარხებია HTB, ORT და RTR, ხოლო იგივე ნარატივის ქართული ტელეარხი არის ,,ალტ ინფო'', რომელიც ღიად უჭერს მხარს რუსეთის საგარეო პოლოტიკურ კურსს. ამ მედია საშუალებების პროპაგანდა დამყარებულია დასავლური ღირებულებების დამახინჯებულად წარმოჩენაზე, ასევე ევროკავშირის უსარგებლო პოლიტიკის აპელირებაზე. რუსულ მედია სივრცეში ხშირია დეზინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირის ეკონონიკა ინგრევა და მათთნ სავაჭრო ურთიერთობები ნაკლებად მომგებიანია. ვიზალიბერალიზაციის სარგებლიანობის ეჭქვეშ დაყენება და ადამიანის თავისუფლების და უფლებების დამახინჯებულ ფორმით გავრცელება. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სხვა და სხვა მექანიზმებით ცდილობს არსებული სატელევიზიო არხების ტრანსლაციის დაბლოკვას, თუმცა უმეტესი მათგანი მინც ახერხებს მაუწყებლობის გაგრძელებას, განსაკთრებით საზღრისპირა რეგიონში.[13]

უნდა აღინიშნოს პრორუსული განწყობის მქონე არასამთავრობო ორგაიზაციების და პოლიტიკური პარტიების მეშვეობით მოსახლეობაზე ზემოქმედების ფაქტი. ეს ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ძირითადად დაკავებულები არიან დასავლური ღირებულებების დემონიზებით და პირდაპირ ან ირიბად ავრცელებენ კრემლისთვის სასარგებლო პროპაგანდას. პრორუსი პოლიტიკოსები ავრცელებენ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საწინააღმდეგო მოსაზრებებს. დასავლური კურსი წარმოჩენილია, როგორც უშედეგო და უპერსპექტივო დამახინჯებული არგუმენტების გამოყენებთ. პოპულარობას უწევენ საქართელოს ნეიტრალიტეტის ან უკიდურეს შემთხვევაში რუსეთთან თანამშრომლობის იდეას. ასეთი პარტიების რიცხვს მიეკუთვნება პატრიოტთა ალიანსი, კონსერვატიული მორაობა და სხვები. ისინი ღიად გამოთქვამენ რუსეთთან მოლაპარაკების და გარიგებაში შესვლის სურვილს. მათივე განმარტებით ქვეყნის დასავლური კურსით განვითარება არასახარბიელოა ნატოს/ევროკავშირის სუსუტი გავლენების და სუსტი პოლიტიკის გამო. იგივე დატვირთვის მატარებელია პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მესიჯ ბოქსებიც, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულია საზოგადოებასთან პირდაპირი კონტაქტის გზით სასურველი იდეოლოგიის ფორმირებაზე. გარდა მათი ნარატივებისა მათ პრორუსულობას სხვა ფაქტებიც ამყარებს. მაგალითად, ალექსანდრე დუგინის ორგანიზაციას ,,საერთაშორისო ევრაზიული კავშირის'' ვებ გვერდზე მითითეული აქვს ინფორმაცია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ევრაზიული არჩევანი'' საქართველოში მათი პარტნიორია.[14]

ასევე აღსანიშნავია სასულიერო პირების მიერ ორგანიზებული პროპაგანდის უდიდესი გავლენა მოსახლეობის აზრის ფორმირებაზე. პრორუსულად განწყობილი სასულიერო პირები ქადაგებისას აქტიურად ავრცელებენ მოსაზრებას, რომ დასავლურ კულტურასთან და ცხოვრების წესთან მიმართებაში ქართული ტრადიციების სრულიად შეუთავსებელია. ამავდროულად პოპულიზებას უწევენ ,,ერთ მორწმუნე რუსეთთან'' ცივილიზებული ერთობის და თანაცხოვრების იდეას. რთულია იმის თქმა რამდენად დიდია მსგავსი სასულიერო პირების რაოდენობა ქართულ ეკლესიაში, თუმცა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული ვიდეო მასალა ადასტურებს, რომ ასეთი ტიპის სასულიერო პირები ნამდვილად არიან საეკლესიო წრეებში. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი პროპაგანდისტული მესიჯების გავრცელება სასულიერო პირების მხრიდან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან საზოგადოებაში ისინი ძალიან მაღალი ნდობით სარგებლობენ.[15]

12 ფუტკარაძე კახა.ეთნო-რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში ეროვნული თავდაცვის აკადემია. Defense and Science (საქართველოს ქეისი). თბილისი 2022 წ., 7.

13 კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ინფორმაციის თვისუფლების განვითარების ინსტიტუტის. 2016 წ., 11-12.

14 კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ინფორმაციის თვისუფლების განვითარების ინსტიტუტის. 2016 წ., 12-13.

15 კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ინფორმაციის თვისუფლების განვითარების ინსტიტუტის. 2016 წ., 14.

## დასკვნა

განხილული ფაქტების და მოსაზრებების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კრემლი საინფორმაციო ომის მანქანის გამოყენებით ცდილობს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქართული საზოგადოების აზრის და იდეოლოგიის ფორმირებაზე, ევროატლანტიკურ კურსის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენის და რუსული პოლიტიკის პოპოლარიზებით. მათი პერმანენტული პრორუსული ნარატივის გავრცელება ნელი ტემპით, თუმცა მაინც ახდენს გავლენას მოსახლეობის იდენტობის, აღქმების და ეროვნული ერთიანობის მოშლის კუთხით. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შეიმჩნევა პრორუსული განწყობების მომრავლება და დასავლური კურსის კრიტიკა, რაც კრემლის პროპაგანდის ნაწილია. ისინი აქტიურად იყენებდნენ უკრაინის მოვლენებს დასავლეთის დაკნინებისთვის. ფაქტების დამახინჯებით აპიარებდნენ რუსულ ,,ძლევამოსილ'' და ,,განმანთავისუფლებელ'' სამხედრო პოლიტიკის. როგორც უკვე აღინიშნა მათი მხრიდან ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სექტორების გამოყენებით, წარმატებული გავლენა აქვს საზოგადოების იმ ნაწილზე რომელიც შერჩეული იქნა სამიზნე აუდიტორიად.

საინფორმაციო ომის გამოწვევების წინააღმდეგ მნიშვნელოვანია სრულიად სახელმწიფო სისტემების მობილიზება და კორდინირებული მუშაობა, თუმცა რეკომენდაციის სახით შევეცდები რამდენიმე მოსაზრების ჩამოყალიბებას:

მნიშვნელოვანია საინფორმაციო ომი/ პროპაგანდა შეტანილი იყოს პრიორიტეტულ საფრთხეების სიაში. (როგორც ეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშებშია)

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო საშუაებების გამოყენებით, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების ყველა ასაკიბრივი ჯუგუფისთვის.

მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი ეთნუკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით. ენის ბარიერის დაძლევა იქნება მათი სამოქალაქო იტეგრაციის სწრაფად განხორციელების დასაწყისი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Clauzewits Carl Von. On War. Princetion University Press. New Jersey. 1989 წ.;
2. https://antilogicalism.com/ (წვდომა) 19.11.2022 წ.;
3. Lind William and Thiel Gregory. 4th Generation Warfare Handbook. Published by Castalia House Kouvola, Finland. 2015 წ.;
4. საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი. 2013 წ.;
5. ბუტიკაშვილი გიორგი. რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია. The Center For Russian Studies. თბილისი. 2021 წ.;
6. https://www.crs.ge/academic-essays-2021ka/giorgi-butikashvili (წვდომა) 20 .11.2022 წ.;
7. ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში. Europe for Georgie. თბილისი. 2017 წ.;
8. https://www.crs.ge/academic-essays-2021ka/giorgi-butikashvili (წვდომა) 20 .11.2022 წ.;
9. თავდაცვის სამინისტრო. საინფორმაციო ოპერაციები. თბილისი. 2019 წ.;
10. ფუტკარაძე კახა.ეთნო-რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში ეროვნული თავდაცვის აკადემია. Defense and შcience (საქართველოს ქეისი). თბილისი. 2022 წ.;
11. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ინფორმაციის თვისუფლების განვითარების ინსტიტუტის.თბილისი. 2016 წ.

# რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები მათი მოწყვლადობა და ეფექტიანობა (რუსეთ უკრაინის 2022 წლის ომის ჭრილში)

**ვიცე-პოლკოვნიკი ბაჩუკი გახარია**
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების,
წვრთნებისა და სამხედრო განათლეის სარდლობის
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის გაერთიანებული
და ერთობლივი ოპერაციების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანია რუსეთ უკრაინის მიმდინარე ომში, რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტ-რების განსაზღვრა, მათი მოწყვლადი მხარეების დადგენა და ეფექტების გაზომვა. კვლევაში გამოიკვეთა სამი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი: 1) რუსეთის სტრატეგიული ბირთული ძალები, 2) რუსეთის პრეზიდენტი 3) შეიარაღებული ძალები. რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების ძირითადი მოწყვლადობა გამოვლინდა იმაში, რომ მათ ვერ აღკვეთეს დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინისადმი, ვერ შეძლეს უკრაინის სწრაფი დამარცხება, ვერ მოიპოვეს ლეგიტიმაცია გაუმართლებელი ომის. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გრავიტაციის ცენტრები არიან ურთიერთკავშირში, ისინი ვერ ავსებენ ერთმანეთის სისუსტეებს, რაც აისახება რუსეთის პრეზიდენტის მიერ დასახელებული სტრატეგიული მიზნების ვერმიღწევაში.

**საკვანძო სიტყვები:**
სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი, გრავიტაციის ცენტრის მოწყვლადობა, გრავიტაციის ცენტრის სისუსტეები, გაერთიანებული საბრძოლო ფუნქციები.

# Russia's Strategic Centers of Gravity, Their Vulnerability and Effectiveness (In the Context of the 2022 War Between Russia and Ukraine)

**Lieutenant Colonel Bachuki Gakharia**
Senior Instructor of United and Joint Operations Course, of Command and Staff College of Training and Military Education of defense forces of Ministry of Defense of Georgia

## Abstract

The purpose of the research is to determine the Russias' strategic centers of gravity in the current war as well as their vulnerableties and effectvines. The study has identified three strategic centers of gravity: 1) Russian Strategic Nuclear Forces, 2) Russian President, 3) Russian Armed Forces. The main vulnerability of Russia's strategic centers of gravity was revealed in the fact, that they could not prevent Western support for Ukraine, were not able to defeat Ukraine quickly, could not gain legitimacy for an unjustified war. Moreover, despite the fact, that the centers of gravity are interconnected, they cannot compensate for by the Russian president.

**Keywords:**
Strategic center of gravity, Center of gravity vulnerability, Center of gravity weaknesses, Joint combat function.

## შესავალი

ომის წარმოების ხელოვნებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრავიტაციის ცენტრებს, რადგან მათზეა დამოკიდებული წარმატება და წარუმატებლობა. გრავიტაციის ცენტრი არის ძირითადი სიძლიერის წყარო, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური, ერთი ან რამდენიმე, ხოლო მასზე ნეგატიური ზემოქმედება გამოიწვევს მხარის გარდაუვალ წარუმატებლობას (Strange n.d.).[1]

კვლევის მიზანია გამოვავლინოთ რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები, მიმდინარე საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში და განვსაზღვროთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე გავცეთ პასუხები კითხვებს:

1. რა არის რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები?
2. რა არის რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების მოწყვლადობა?
3. რამდენად ეფექტურები არიან სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები სტრატეგიული მიზნების მისაღწევად?

კვლევა ეყრდნობა არსებულ თეორიებს გრავიტაციის ცენტრის შესახებ, თუმცა გამოყენებული იქნება როგორც დოქტრინული ასევე არადოქტრინული მიდგომები. აღნიშნულ კვლევაში მოშველიებული იქნება ისტორიული ფაქტები შედარებისათვის. მოცემული ნაშრომი საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს დამატებითი და ალტერნატიული ინფორმაცია მიიღოს სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრის განსაზღვრაზე.

როცა ვსაუბრობთ სტრატეგიულ გრავიტაციის ცენტრებზე უნდა ავღნიშნოთ, რომ წარმატებული სამხედრო კამპანია, მეტად არის დამოკიდებული სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების სიძლიერესა და ეფექტურობაზე, ვიდრე ქვეყნის სიდიდეზე. აგრეთვე რამდენად დაუჭერენ გრავიტაციის ცენტრები ერთმანეთს მხარს მიზნების მიღწევაში.

## რუსეთის სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ რუსეთის სტრატეგიული მიზნები, შემდეგ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები, მეთოდები, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვავლინოთ სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები.

რუსეთის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისათვის შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ვლადიმერ პუტინის 2022 წლის 24 თებერვლის სიტყვით მიმართვიდან. სადაც მან დაასახელა, შემდეგი მიზნები: დონეცკის, ლუგანსკის მოსახლეობის დაცვა გენოციდისგან, უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია, ასევე ნატოს შეკავება აღმოსავლეთით გაფართოებისგან, უკრაინის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება (T. Team 2022).[2] რამდენად ადეკვატურია პუტინის სტრატეგიული მიზნები დამატებით განხილვის საკითხია, რასაც მოცემულ ნაშრომში არ განვიხილავთ.

რუსეთ უკრაინის, ომში განვითარებული მოვლენებიდან გამოვლინდა, რომ კიევის დაპყრობა და უკრაინის მთავრობის განადგურება იყო რუსეთის ერთერთი მიზანი, რაც ნათლად გამოჩნდა 2022 წლის 25 მარტამდე შესრულებულ სამხედრო ოპერაციებში. გამოიკვეთა შეტევის ოთხი ძირითადი მიმართულება: კიევი, ხარკოვი, დონბასი, ხერსონი. რუსეთის შეიარაღებული ძალების ცენტრალური დაჯგუფების ქვედანაყოფებმა პირველ 24 საათში გაარღვიეს უკრაინელების თავდაცვა ჩრდილოეთიდან და დედაქალაქში არსებულ პარლამენტს მიუახლოვდნენ 27 კილომეტრამდე. ამა წლის 25 მარტამდე რუსეთის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ დაჯგუფებას მხარი დაუჭირეს დასავლეთის და აღმოსავლეთის დაჯგუფებებმა და მათ სამი მხრიდან მოაქციეს ალყაში კიევი თუმცა ვერ დაიპყრეს და სახმელეთო კომპონენტმაც მიაღწია შეტევის კულმინაციას (F. W. Mason Clark 2022).[3] ზემოთ აღწერილიდან ჩანს, რომ 'ძირითადი სიძლიერის წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედების თავისუფლებას ან ბრძოლის ნებას' (SHAPE 2021, pp K-2)[4] არის რუსეთის პრეზიდენტი, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირი.

აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ დოქტორი ჯო სტრეინჯის შეხედულებას პიროვნების როგორც გრავიტაციის ცენტრის არსებობაზე, მის ნაშრომში მოყვანილია, ისტორიული ფაქტი, მაგალითად, ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალი, სადამ ჰუსეინი არის განხილული როგორც სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი 1991 წელს, რადგან მან შეძლო ერაყის მოსახლეობის მობილიზება კოალიციური ძალების წინააღმდეგ, მიუხედავად მასზე განხორციელებული საერთაშორისო პოლიტიკური ზეწოლისა (Strange თ. გ.).[5] პარალელს თუ გავავლებთ რუსეთის ერთერთ სტრატეგიულ გრავიტაციის ცენტრთან, რუსეთის

1 Strange, Joe Richard Iron. n.d. Part 1: What Clausewitz (Really) Meant by Center of Gravity. Washington: USMC War College.

2 Team, The print. 2022. Full text of Vladimir Putin's speech announcing 'special military operation' in Ukraine. 2 24. Accessed 11 7, 2022. https://theprint.in/world/full-text-of-vladimir-putins-speech-announcing-special-military-operation-in-ukraine/845714/.

3 Mason Clark, Fredrick W. Kagan, and George Barros. 2022. RUSSIAN OFFENSIVE CAMPAIGN ASSESSMENT. 03 25. Accessed 11 14, 2022. https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-march-25.

4 SHAPE. 2021. Comprehensive Operations Panning Directive. Belgaum: Suprema, Headquarters Allied Power Europe. Pp. k-2.

5 Strange, Joe Richard Iron. n.d. Part 1: What Clausewitz (Really) Meant by Center of Gravity. Washington: USMC War. College.

პრეზიდენტთან, მანაც შეძლო რუსეთის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება, თუმცა მობილიზაციის გამოცხადებამ საპირისპირო აჩვენა და რუსეთი დაახლოებით 600,000-700,000-მა მოქალაქემ დატოვა, ვინც აკმაყოფილებდა გაწვევის კრიტერიუმს (frontnews 2022).[6] გარდა ამისა ვერ მოიპოვა საერთაშორისო მხარდაჭერა და უკრაინაში მისი ინტერვენციის ლეგიტიმაცია. უფრო მეტიც ომის დანაშაულად არის შეფასებული მისი გადაწყვეტილება და რუსეთის ჯარის მიერ ჩადენილი ქმედებები, საკმარისია ბუჩა და ირპინი მოვიყვანოთ მაგალითად (Howard 2022).[7] უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ომი შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს მხოლოდ სამ შემთხვევაში, როგორც ამას თავის სტატიაში წერს პროფესორი ლიზა მორჟე ჰოვარდი: პირველი, თავდაცვის მიზნით, მეორე თუ მიიწვია კონფლიქტის ერთ ერთმა მხარემ, მაგალითად სირიაში რუსეთი ასადის ხელისუფლების მიერ იყო მიწვეული. მესამე შემთხვევაა როდესაც გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი ადგენს, რომ ომი არის გაეროს წესდების 51 მუხლის შესაბამისი და ითვალისწინებს კოლექტიურ თავდაცვას. მაგალითად ჰუსეინის მიერ ქუვეითის დაპყრობას მოყვა უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის რეზოლუცია მულტი-ნაციონალური კოალიციური ჯარების გამოყენებაზე 1991 წ. (Howard 2022).[8] რათქმაუნდა, საბოლოოდ რუსეთი მისი არალეგიტიმური ქმედების გამო აღმოჩნდა პილიტიკურად, ეკონომიკურად, ინფორმაციულად და სამხედრო იზოლაციაში (Minami Funakoshi 2022).[9] მიუხედვად ყველაფრისა, ვხედავთ რუსეთი აშკარად ახერხებს ნატოს, დასავლეთის და აშშ შეკავებას, სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობისგან, რაც ერთ ერთი მიღწევაა ბირთული შეკავების კონცეფციის, რითაც აშანტაჟებს დასავლეთს (Ball 2022).[10] მაგრამ, ბირთულმა ხსენებულმა არ იმოქმედა დასავლეთის ნებაზე, დაეხმაროს უკრაინას ეკონომიკურად, საინფორმაციო, სადაზვერვო ოპერაციებში, შეიარაღება ტექნიკის მიწოდებაში და პირადი შემადგენლობის მომზადებაში, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს, მიმდინარე ომში. მოცემული ვითარებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის პრეზიდენტი იყო სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი ომის დაწყებისას, ხოლო მისი არალეგიტიმური ქმედება, არასაკმარისი რესურსები, მცდარ გათვლებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ხოლო სტრატეგიული ბირთული ძალები ძლიერი მხარე.

მეორე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრის გასარკვევად მოვიშველიოთ კლაუზევიცის შეხედულება. 'ალექსანდრე დიდისთვის, გუსტავ ადოლფისთვის, ჩარლზ მეთორმეტესთვის და ფრიდრიხ დიდისთვის გრავიტაციის ცენტრები იყო მათი არმიები. ეს სახელები ისტორიაში, როგორც წარუმატებელი მმართველები ისე დარჩებოდა, თუ მათი არმიები განადგურდებოდა' (Paret 1989, pp 596).[11] რუსეთის შეიარაღებული ძალები შეიძლება იყოს განხილული როგორც ერთერთი, სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი. მათი მიზანი იყო, სწრაფი შეტევით დაეპყროთ: კიევი, ხარკოვი, ხერსონი, დონბასი, მარიუპოლი. ფაქტია მათ პირველ სამ დღეში საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს თუმცა ვერ შეძლეს მიზნების მიღწევა. ხოლო, მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში რუსეთის სახმელთო ძალებმა მიაღწიეს შეტევის კულმინაციას, რამაც აიძულა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, შეეცვალათ სტრატეგიული მიზნები (F. W. Mason Clark 2022).[12] საფუძვლიანად, რომ განვიხილოთ ომის დაწყებამდე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ქვედანაყოფების ეფექტური მობილიზება უკრაინის საზღვრებთან, როგორც სახმელეთო ძალების, ასევე საზღვაო ძალების და შექმნეს პლაცდარმი შეტევითი ოპერაციისათვის. ძალების კონცენტრირებიდან გამომდინარე, კრემლის განზრახვები ნათელი გახდა და ის ეფექტი რომელიც მათ მოულოდნელობით უნდა მიეღწიათ დაიკარგა. (Invasion 2022).[13] სამხედრო ოპერაციები ომის პირველ დღეებში სინქრონული და ინტეგრირებულად გამოიყურებოდა. რუსულმა ქვედანაყოფებმა დაიწყეს უკრაინული საჰაერო თავდაცვის სისტემების და რადარების განადგურება, რის შემდეგაც შეტევა განავითარეს ქალაქებისკენ: კიევი, ხარკოვი, დონბასი, ხერსონი. პარალელურად საზღვაო ძალებმა აზოვის ზღვის კონტროლი მოახდინეს და შავ ზღვაში უკრაინის ტერიტორიული წყლის საზღვაო აღკვეთა განახორციელეს. მიუხედავათ რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილობრივი წარმატებებისა რუსეთის საჰაერო ძალებმა ვერ მოიპოვეს უპირატესობა. უფრო მეტიც, ვერ მოახერხეს გაერთიანებული საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება და მიმართვა უკრაინის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია ტემპის დავარდნა და გამოფიტვა. საბოლოოდ კულმინაციას მიაღწიეს 2022 წ. მარტის დასაწყისში და მარტის ბოლოსკენ დაიწყეს სტრატეგიული მიზნების შეცვალა. ძირითადი გამოწვევები

6 Frontnews. 2022. At least 600,000-700,000 leave Russia after announcement of partial mobilisation - Forbes. 10 05. Accessed 11 13, 2022. https://frontnews.ge/en/news/details/31493.

7 Howard, Lise Morjé. 2022. A Look at the Laws of War — and How Russia is Violating Them. 09 29. Accessed 11 13, 2022. https://www.usip.org/publications/2022/09/look-laws-war-and-how-russia-violating-them.

8 Howard, Lise Morjé. 2022. A Look at the Laws of War — and How Russia is Violating Them. 09 29. Accessed 11 13, 2022. https://www.usip.org/publications/2022/09/look-laws-war-and-how-russia-violating-them.

9 Minami Funakoshi, Hugh Lawson and Kannaki Deka. 2022. Tracking sanctions against Russia. 07 07. Accessed 11 22, 2022. https://graphics.reuters.com/UKRAINE-CRISIS/SANCTIONS/byvrjenzmve/.

10 Ball, Joshua. 2022. Escalate To De-Escalate: Russia's Nuclear Deterrence Strategy. 03 07. Accessed 11 14, 2022. https://globalsecurityreview.com/nuclear-de-escalation-russias-deterrence-strategy/.

11 Paret, Michael Howard and Peter. 1989. On War. New Jersey: Princeton University Press. Pp.596.

12 Mason Clark, Fredrick W. Kagan, and George Barros. 2022. RUSSIAN OFFENSIVE CAMPAIGN ASSESSMENT. 03 25. Accessed 11 14, 2022. https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-march-25.

13 Invasion, Ukraine. 2022. US intelligence believes Russia has ordered Ukraine invasion – reports. 02 20. Accessed 11 17, 2022. https://www.theguardian.com/us-news/2022/feb/20/russia-invasion-ukraine-biden-blinken-us-national-security-council.

გამოვლინდა სამხედრო კომპონენტებს შორის კოორდინაციაში, ლოჯისტიკაში, მომარაგების მარშუტების დაცვაში, თანამედროვე ზუსტი დამიზნების იარაღის ნაკლებობაში, პერსონალის მომზადებაში, სამხედრო მიზნების პრიორიტეტებად დახარისხებაში (Povey 2022).[14] საყურადღებო ფაქტია, რომ როგორც კი უკრაინულმა მხარემ დაიწყო ეფექტური კონტრშეტევების განხორციელება რუსეთმა დაიწყო ბირთული შეიარაღებით მანიპულირება (K. L. Mason Clark 2022).[15] ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ 2000 წელს რუსეთმა მიიღო ახალი დოქტრინა, ბირთული შეიარაღების გამოყენებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ მათ ბირთული იარაღის გამოყენება შეუძლიათ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე კომფლიქტის დეესკალაციის მიზნითაც (Ball 2022).[16] ზემოთ აღწერილიდან ჩანს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები გრავიტაციის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს ოპერაციის გარკვეულ ეტაპზე განსაზღვრული პირობებით, არა იმიტომ, რომ მათ რამე სტრატეგიული მიზნების მიღწევა შეძლეს, არამედ მათი უნარისა გამოიწვიონ ზიანი.

ზემოთ განხილული სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების, რუსეთის პრეზიდენტის და რუსეთის შეიარაღებული ძალების, დაკვირვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ ზურგს უმაგრებს სტრატეგიული ბირთულ ძალები. უფრო მეტიც რუსეთმა ბირთული წვრთნები ჩაატარა ომის დაწყებამდე, ასევე თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში და სტრატეგიული ბირთული ძალები გადაიყვანა სპეციალურ მზადყოფნის რეჟიმში. რუსეთი ევროპაში ყველაზე დიდი ბირთული შეიარაღების არსენალის მფლობელია, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ უკრაინის წინააღმდეგ არ გამოიყენებს, გარდა იმ შემთხვევისა როცა ნატო ან აშშ ჩაერთვება კონფლიქტში, აშკარა სამხედრო გზებით (Brumfiel 2022).[17] სტრატეგიული ბირთული ძალები, რუსეთის პრეზიდენტს აძლევს რისკზე წასვლის საშუალებას, ნებას განახორციელოს სამხედრო აგრესია და შეაკავოს ნატო (NATO) და აშშ. მისი გამოყენების შემთხვევაში შეუძლია გამოიწვიოს რეგიონალური და გლობალური კატასტროფა. თუ მოხდება სტრატეგიული ბირთული ძალების განეიტრალება ნატო (NATO) და აშს, შეძლებენ თავისუფლად იმოქმედონ უკრაინის მხარდასაჭერად, რაც მთლიანად შეცვლის დადებითისკენ შავი ზღვის რეგიონის და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს. მიმდინარე პროცესებში გამოიკვეთა, რომ პუტინი კრიტიკულად არის დამოკიდებული სტრატეგიულ ბირთულ ძალებზე. პუტინისათვის ეს ქვედანაყოფი გახდა დასაყრდენი ძალა, ხოლო, ნატო (NATO) და აშშ-თვის შემბოჭავი ძალა. სტრატეგიული ბირთული ძალები გამოდის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი რუსეთისათვის, მისი განეიტრალება და კონტროლი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არამედ მომავალშიც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პრევენციისთვისაც.

## სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების კრიტიკული მოწყვლადობები

მოცემულ თავში განხილულია გამოვლენილი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების 1) რუსეთის პრეზიდენტი, 2) რუსეთის შეიარაღებული ძალები, 3) რუსეთის სტრატეგიული ბირთული ძალების ძირითადი მოწყვლადი მხარეები, რაც დაგვეხმარება გამოვააშკარაოთ უპირატესი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი.

პირველი, სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრის, რუსეთის პრეზიდენტის, მთავარი მოწყვლადობები აღმოჩნდა: მისი არალეგიტიმური გადაწყვეტილება ომის დაწყებაზე, რამაც მოაქცია რუსეთი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საინფორმაციო იზოლაციაში (Minami Funakoshi 2022);[18] მისი მცდარი მოლოდინი, რომ შეძლებდა უკრაინაზე სწრაფად კონტროლის დამყარებას; მისი ოლიგარქიული გარემოცვა და მათი უუნარობა გაუძღვეს მსგავსი მასშტაბის სამხედრო კამპანიას (Dr Robert Johnson 2022).[19] აღნიშნულმა მოწყვლადობებმა რუსეთის პრეზიდენტი როგორც ერთერთი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი დააკნინა, თუმცა ჯერჯერობით მასზე არის დამოკიდებული რუსეთის პოლიტიკური ამინდი და მყარად უკავია თავისი პოზიცია.

მეორე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრის, შეიარაღებული ძალების მოწყვლადობები აღმოჩნდა: არაეფექტური სამეთაურო რგოლი, ფაქტია სამხედრო კამპანიის მეთაურიც კი შეცვალა პუტინმა (Ab-

14 Povey, Oliver. 2022. What are the biggest problems that the Russian military is experiencing recently in Ukraine? 09 19. Accessed 11 14, 2022. https://en.as.com/latest_news/what-are-the-biggest-problems-that-the-russian-military-is-experiencing-recently-in-ukraine-n/.

15 Mason Clark, Katherine Lawlor, and Kateryna Stepanenko. 2022. SPECIAL REPORT: ASSESSING PUTIN'S IMPLICIT NUCLEAR THREATS AFTER ANNEXATION. 09 30. Accessed 11 14, 2022. https://www.understandingwar.org/backgrounder/special-report-assessing-putin%E2%80%99s-implicit-nuclear-threats-after-annexation.

16 Ball, Joshua. 2022. Escalate to De-Escalate: Russia's Nuclear Deterrence Strategy. 03 07. Accessed 11 14, 2022. https://globalsecurityreview.com/nuclear-de-escalation-russias-deterrence-strategy/.

17 Brumfiel, Geoff. 2022. As Russia's Ukraine war intensifies, some warn nuclear escalation is possible. 03 01. Accessed 11 14, 2022. https://www.npr.org/2022/03/01/1083696555/russia-ukraine-war-putin-nuclear-escalation-risk.

18 Minami Funakoshi, Hugh Lawson and Kannaki Deka. 2022. Tracking sanctions against Russia. 07 07. Accessed 11 22, 2022. https://graphics.reuters.com/UKRAINE-CRISIS/SANCTIONS/byvrjenzmve/.

19 Dr Robert Johnson. 2022. Expert Comment. Ukraine war: Putin's masterclass in delusion, denial and defeat. 03 23. Accessed 11 23, 2022. https://www.ox.ac.uk/news/2022-03-23-expert-comment-ukraine-war-putin-s-masterclass-delusion-denial-and-defeat.

basi 2022).[20] ასევე როგორც აშშ თადარიგის პოლკოვნიკმა და პროფესორმა პიტერ მანსურიმ განაცხადა AP NEWS-სთან ინტერვიუში, რუსეთის ჯარის სისუსტე აღმოჩნდა არასინქრონული გამოყენება გაერთიანებული საბრძოლო ფუნქციების, სამხედრო კომპონენტებს შორის კორდინაციის ნაკლებობა, აგრეთვე კოორდინაციის არქონა სამანევრო კომპონენტებსა და ლოჯისტიკას შორის, "ეს ძალიან ცუდი კომბინაცია თუ გინდა ქვეყნა დაამარცხო" (Burns 2022).[21] აღწერილი მოწყვლადობები არის წარუმატებელი შეტევების საფუძველი, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ უნარს თავდაცვთი ოპერაციების განხორციელების, ასევე მათ შესაძლებლობებს გამოიწვიონ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევა.

მესამე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრის, სტრატეგიული ბირთული ძალების ,მოწყვლადი მხარე არის, ის რომ მუშაობს გამოყენებამდე და ასევე ვერ უზრუნველყო დასავლეთის, ნატოს და აშშ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საინფორმაციო და მხარდაჭერის აღკვეთას. სამაგიეროდ სტრატეგიული ბირთული ძალების ძლიერი მხარე აღმოჩნდა,ის რომ მათ შეკავეს დასავლეთი ომში ჩაერიონ სამხედრო კომპონენტებით და დაეხმარონ უკრაინას ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენაში (Kimball 2022).[22] აქედან გამომდინარე რუსეთის შეიარაღებული ძალები და რუსეთის პრეზიდენტი აგრძელებენ ინტერვენციას უკრაინაში. ზემოთ მოყვანილმა მოწყვლადობებმა გამოაშკარავა რომ ზემოთ მოყვანილი სამი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრიდან ,რუსეთის სტრატეგიული ბირთული ძალები არის დანარჩენ ორზე უფრო ძლიერი, რადგან ის ნაკლებად მოწყვლადია.

## სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების ეფექტურობა

სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრების ეფექტურობის განსაზღვრისათვის კვლევაში განხილული იქნება რამდენად მიაღწიეს მათ სტრატეგიულ მიზნებს. აგრეთვე რუსეთის დანაკარგებს შევადარებთ ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალის მონაცემებს, რათა ვნახოთ განსხვავება ეფექტურ შეტევით ოპერაციასა და არაეფექტურს შორის.

თუ გავითვალისწინებთ რუსეთის პრეზიდენტის მიერ დასახულ სტრატეგიულ მიზნებს დონეცკის, ლუგანსკის მოსახლეობის დაცვა გენოციდისგან, უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია, ასევე ნატოს შეკავება აღმოსავლეთით გაფართოებისგან, უკრაინის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას (T. Team 2022).[23] აშკარაა, რომ სტრატეგიული მიზნები არ არის მიღწეული. პირიქით რუსეთი აღმოჩნდა ცივილიზებული სამყაროდან იზოლირებული, რადგან რუსეთის პრეზიდენტმა ვერ შეძლო მიმდინარე ომის საერთაშორისო ლეგიტიმაცა და მხარდაჭერის მოპოვება. მეორეს მხრივ, უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო სიძლიერე და ეფექტურობა გაიზარდა ვიდრე ომამდე, რაც აისახება მათ ეფექტურ კონტრშეტევებში, დაიბრუნეს ხარკოვის რეგიონი, ლიმანი, იზუმი და ხერსონი (V. J. Team 2022).[24] ხოლო უკრაინის მთავრობამ 30 სექტემბერს დაჩქარებული წესით ნატოში (NATO) გაწევრიანების განაცხადს მოაწერა ხელი (ჩოხელი 2022).[25] უფრო მეტიც ფინეთმა და შვედეთმაც შეიტანეს განაცხადი ნატოში (NATO) გაწევრიანებაზე (NATO 2022).[26]

რაც შეეხება რუსეთის შეიარაღებული ძალების ეფექტურობას შედეგებიდან ჩანს, რომ მხოლოდ საზღვაო ძალებმა იმოქმედეს ეფექტურად, თუმცა საერთო ჯამში მთლიანმა შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მიაღწიეს სტრატეგიულ მიზნებს: დაეკავებინათ კიევი, ხარკოვი, დონბასი რაც მათ შეძლეს არის ის, რომ ჩაიდინეს ომის დანაშაულები, არა სამხედრო მიზნებზე არტილერიის ცეცხლის გამოყენებით, ასევე გამოიწვიეს ინფრასტრუქტურის ნგრევა. არასამართლიანი იქნება არავღ ნიშნოთ, რომ ისინი ჯერჯერობით ინარჩუნებენ პოზიციებს მდინარე დნეპრის აღმოსავლეთით ხარკოვის მარცხენა სანაპიროზე, მელიტოპოლსა და მარიუპოლზე რაც ნამდვილად არ იყო რუსეთის სტრატეგიული მიზანი. უფრო მეტიც თუ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს 23.11.2022-ის მონაცემებს დავუჯერებთ რუსეთის დანაკარგია: პერსონალი 85410 (+410), ტანკი 2897 (+2), ქვეითთა საბრძოლო მანქანა 5832 (+5), თვითმფრინავი 278, თუ შევადარებთ ამ მონაცემებს კოალიციური ჯარების მიერ ჩატარებულ უდაბნოს ქარიშხალს, კოალიციური ჯარების მხარეს 300 ჯარისკაცი დაიღუპა, როცა სადამ ჰუსეინის მხარეს დანაკარგი იყო 8000-დან 10000-

20 Abbasi, Hyder. 2022. Russia appoints new overall commander for its military in Ukraine. 10 08. Accessed 11 22, 2022. https://www.nbcnews.com/news/world/russia-ukraine-war-new-commander-sergey-surovikin-vladimir-putin-rcna51331.

21 Burns, Robert. 2022. Russia's failure to take down Kyiv was a defeat for the ages. 04 07. Accessed 11 22, 2022. https://apnews.com/article/russia-ukraine-war-battle-for-kyiv-dc559574ce9f6683668fa221af2d5340.

22 Kimball, Daryl G. 2022. A Turning Point on Nuclear Deterrence. 07. Accessed 11 22, 2022. https://www.armscontrol.org/act/2022-07/focus/turning-point-nuclear-deterrence.

23 Team, Theprint. 2022. Full text of Vladimir Putin's speech announcing 'special military operation' in Ukraine. 2 24. Accessed 11 7, 2022. https://theprint.in/world/full-text-of-vladimir-putins-speech-announcing-special-military-operation-in-ukraine/845714/.

24 Team, Visual Journalism. 2022. Ukraine in maps: Tracking the war with Russia. 11 15. Accessed 11 17, 2022. https://www.bbc.com/news/world-europe-60506682.

25 ჩოხელი, ქეთი. 2022. უკრაინას ნატო-ში დაჩქარებულად გაწევრიანებაზე განაცხადი შეაქვს. 09 30. Accessed 11 17, 2022. https://1tv.ge/news/ukrainas-nato-shi-dachqarebulad-gawevrianebaze-ganackhadi-sheaqvs/.

26 NATO. 2022. Finland and Sweden submit applications to join NATO. 05 18. Accessed 11 17, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_195468.htm.

მდე ჯარისკაცი მაში როცა ერაყს მობილიზებული ყავდა 300 000 ჯარისკაცი (Editors 2022).[27] პირველ 100 საათში კოალიციურმა ძალებმა გაანადგურეს ერაყელების 3,000 ტანკი, 1,400 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და 2,200 არტილერიის დანადგარი (U.S n.d.).[28] შედარებიდან ჩანს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები დამარცხებულ მხარეს გავს ვიდრე გამარჯვებულს.

რაც შეეხება სტრატეგიულ ბირთულ ძალებს, ისინი ეფექტურად ასრულებენ შეკავების ამოცანას და დასავლეთს ნატოს და აშშ არ აძლევენ საშუალებას სამხედრო ქვედანაყოფებით მხარი დაუჭირონ უკრაინას მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვაში. თუმცა დასავლეთი ეხმარება ფინანსურად, პოლიტიკურად, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ანალიზში, საინფორმაციო ოპერაციებში რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა უკრაინისათვის, ხოლო რუსეთისათვის გამოწვევა.

## დასკვნა

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი არის რუსეთის სტრატეგიული ბირთული ძალები, რომელიც ქვეყნის შიგნით მოქმედებს, როგორც ძალისა და უსაფრთხოების სიმბოლო, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ზღუდავს ნატოს (NATO) და აშშ მხარდაჭერის დიაპაზონს უკრაინისადმი. მეორე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი გამოიკვეთა რუსეთის პრეზიდენტი, მიუხედავად მისი, ზემოთ ნახსენები, მოწყვლადი მხარეებისა ის არის გადაწყვეტილებების მიმღები და რუსეთის პოლიტიკის განმსაზღვრელი, იგი ქვეყნის შიგნით ახერხებს ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას და სახელმწიფოს სიძლიერის ელემენტების მობილიზებას. მესამე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი არის რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლია ზარალის გამოწვევა და სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერა.

კვლევაში ჩანს, რომ გრავიტაციის ცენტრები არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. შესაბამისად მათზე ზემოქმედება უნდა მოხდეს სისტემურად და თანმიმდევრულად ისე, რომ ვერ შეძლონ ერთმანეთის მხარდაჭერა. მაშასადამე უნდა განისაზღვროს პრიორიტეტულობის მიხედვით. მაგალითად ეკონომიკური და სამხედრო იზოლაცია გამოიწვევს რუსეთის ეკონომიკურად დასუსტებას, რაც აისახება რუსეთის შეიარაღებული ძალების არაეფექტურობაზე. რომელიც გამოიწვევს პირველ რიგში ჯარისკაცების და შემდეგ მოსახლეობის მოტივაციის დაკარგვას, რაც ზეგავლენას მოახდენს რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგზე, თუმცა მიმდინარე ომში ერთ ერთი სასურველი საბოლოო შედეგი უნდა იყოს რუსეთის სტრატეგიული ბირთული ძალების შეზღუდვა და მასზე კონტროლის დაწესება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რაც რადიკალურად შეცვლის გეოპოლიტიკურ ვითარებას და უსაფრთხოების საკითხებს უკეთესობისკენ, როგორც რეგიონში ასევე გლობალურად. კვლევამ გამოავლინა, რომ შეიძლება ქვეყანა იყოს დიდი და მრავალრიცხოვანი, მაგრამ თუ მისი სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრები არ იქნება ინტეგრირებული და სინქრონიზირებული ერთმანეთთან და სტრატეგიულ მიზნებთან ისინი არა ეფექტურები გახდებიან. ასევე გასათვალისწინებელია მათი ინდივიდუალური ეფექტურობა, რადგან თუ რომელიმე სტრატეგიული გრავიტაციის ცენტრი ვერ აღწევს მასზე დასახულ სტრატეგიულ მიზანს საერთო საბოლოო შედეგი მიუღწეველი დარჩება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Abbasi, Hyder. 2022. Russia appoints new overall commander for its military in Ukraine. 10 08. Accessed 11 22, 2022. https://www.nbcnews.com/news/world/russia-ukraine-war-new-commander-sergey-surovikin-vladimir-putin-rcna51331;
2. Ball, Joshua. 2022. Escalate To De-Escalate: Russia's Nuclear Deterrence Strategy. 03 07. Accessed 11 14, 2022. https://globalsecurityreview.com/nuclear-de-escalation-russias-deterrence-strategy/;
3. Brumfiel, Geoff. 2022. As Russia's Ukraine war intensifies, some warn nuclear escalation is possible. 03 01. Accessed 11 14, 2022. https://www.npr.org/2022/03/01/1083696555/russia-ukraine-war-putin-nuclear-escalation-risk;
4. Burns, Robert. 2022. Russia's failure to take down Kyiv was a defeat for the ages. 04 07. Accessed 11 22, 2022. https://apnews.com/article/russia-ukraine-war-battle-for-kyiv-dc559574ce9f6683668fa221af2d5340;
5. Celestino, Perez. 2012. Addressing the Fog of COG: Perspectives on the Center of Gravity in US Military Doctrine. Kansas City: Combat Studies Institute Press, US Army Combined Arms Center, Fort Leavenworth, Kansas;
6. Dr Robert Johnson. 2022. Expert Comment. Ukraine war: Putin's masterclass in delusion, denial and defeat. 03 23. Accessed 11 23, 2022. https://www.ox.ac.uk/news/2022-03-23-expert-comment-ukraine-war-putin-s-masterclass-delusion-denial-and-defeat;


27 Editors, History.com. 2022. History.com Editors. 11 1. Accessed 11 17, 2022. https://www.history.com/topics/middle-east/persian-gulf-war#:~:text=In%20all%2C%20an%20estimated%208%2C000,was%20not%20forced%20from%20power.

28 U.S, Army. n.d. Operation DESERT STORM. Accessed 11 17, 2022. https://history.army.mil/html/bookshelves/resmat/desert-storm/index.html.

7. Editors, History.com. 2022. History.com Editors. 11 1. Accessed 11 17, 2022. https://www.history.com/topics/middle-east/persian-gulf-war#:~:text=In%20all%2C%20an%20estimated%208%2C000,was%20not%20forced%20from%20power;
8. Frontnews. 2022. At least 600,000-700,000 leave Russia after announcement of partial mobilisation - Forbes. 10 05. Accessed 11 13, 2022. https://frontnews.ge/en/news/details/31493;
9. Howard, Lise Morjé. 2022. A Look at the Laws of War — and How Russia is Violating Them. 09 29. Accessed 11 13, 2022. https://www.usip.org/publications/2022/09/look-laws-war-and-how-russia-violating-them;
10. Invasion, Ukraine. 2022. US intelligence believes Russia has ordered Ukraine invasion – reports. 02 20. Accessed 11 17, 2022. https://www.theguardian.com/us-news/2022/feb/20/russia-invasion-ukraine-biden-blinken-us-national-security-council;
11. Kimball, Daryl G. 2022. A Turning Point on Nuclear Deterrence. 07. Accessed 11 22, 2022. https://www.armscontrol.org/act/2022-07/focus/turning-point-nuclear-deterrence;
12. Mason Clark, Fredrick W. Kagan, and George Barros. 2022. RUSSIAN OFFENSIVE CAMPAIGN ASSESSMENT. 03 25. Accessed 11 14, 2022. https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-march-25;
13. Mason Clark, Katherine Lawlor, and Kateryna Stepanenko. 2022. SPECIAL REPORT: ASSESSING PUTIN'S IMPLICIT NUCLEAR THREATS AFTER ANNEXATION. 09 30. Accessed 11 14, 2022. https://www.understandingwar.org/backgrounder/special-report-assessing-putin%E2%80%99s-implicit-nuclear-threats-after-annexation;
14. Minami Funakoshi, Hugh Lawson and Kannaki Deka. 2022. Tracking sanctions against Russia. 07 07. Accessed 11 22, 2022. https://graphics.reuters.com/UKRAINE-CRISIS/SANCTIONS/byvrjenzmve/;
15. NATO. 2022. Finland and Sweden submit applications to join NATO. 05 18. Accessed 11 17, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_195468.htm;
16. Paret, Michael Howard and Peter. 1989. On War. New Jersey: Princeton University Press;
17. Povey, Oliver. 2022. What are the biggest problems that the Russian military is experiencing recently in Ukraine? 09 19. Accessed 11 14, 2022. https://en.as.com/latest_news/what-are-the-biggest-problems-that-the-russian-military-is-experiencing-recently-in-ukraine-n/;
18. SHAPE. 2021. Comprehensive Operations Panning Directive. Belgam: Suprema, Headquarters Allied Power Europ;
19. Strange, Joe Richard Iron. n.d. Part 1:What Clausewitz (Really) Meant by Center of Gravity. Washington: USMC War College;
20. Team, Theprint. 2022. Full text of Vladimir Putin's speech announcing 'special military operation' in Ukraine. 2 24. Accessed 11 7, 2022. https://theprint.in/world/full-text-of-vladimir-putins-speech-announcing-special-military-operation-in-ukraine/845714/;
21. Team, Visual Journalism. 2022. Ukraine in maps: Tracking the war with Russia. 11 15. Accessed 11 17, 2022. https://www.bbc.com/news/world-europe-60506682;
22. U.S, Army. n.d. Operation DESERT STORM. Accessed 11 17, 2022. https://history.army.mil/html/bookshelves/resmat/desert-storm/index.html;
23. ჩოხელი, ქეთი. 2022. უკრაინას ნატო-ში დაჩქარებულად გაწევრიანებაზე განაცხადი შეაქვს. 09 30. Accessed 11 17, 2022. https://1tv.ge/news/ukrainas-nato-shi-dachqarebulad-gawevrianebaze-ganackhadi-sheaqvs/.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 30

ISBN 978-9941-8-3247-5